

K 216359
3



ცნახალვა

საქართველო
საქართველოს
არქივები
XVIII სუკუნის
გერმან ნახევარუკუნე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ
ИМ. И. ДЖАВАХИШВИЛИ



И. М. ТАБАГУА



ГРУЗИЯ НА МЕЖДУНАРОДНОЙ
АРЕНЕ
ВО ВТОРОЙ ПОЛОВИНЕ XVIII В.

I. TABAGUA

AÜSSENPOLITIK GEORGIENS IN
DER ZWEITEN
HÄLFTE DES XVIII JAHRHUNDERTS

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“—VERLAG „METSNIEREBA“
ТБИЛИСИ—1979—TBILISSI

ილია ტაბაღუა



საქართველო საერთაშორისო
არენაზე
XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

(ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან)



გამომცემლობა „მცენიკობა“
თბილისი
1979



წინამდებარე ნაშრომი — „საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში“ — ძირითადად ეხება ერეკლე II-ის (უფრო ადრე ვახტანგ VI-ის) ცდას, დაემყარებინა კავშირ-ურთიერთობა ვეროპის სახელმწიფოებთან, კერძოდ ავსტრიასთან.

ნაშრომი ძირითადად დაწერილია 1965 წლის აგვისტოსა და 1969 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ავტორის არქივებსა და წიგნსაცავებში მუშაობის დროს, ჩვენ მიერ მიკვლეული მასალების საფუძველზე.

ნაშრომის პირველ ნაწილში მოკლედ განვიხილავთ ავსტრიის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე, ხოლო მეორე ნაწილში — საქართველო-ავსტრიის ისტორიულ-კულტურულ და დიპლომატიურ ურთიერთობას.

ნაშრომში მოცემულია დოკუმენტები ორიგინალის — ქართულ, ლათინურ, იტალიურ, გერმანულ, თურქულ და ფრანგულ ენებზე, მათ შორის ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის წერილები, გაგზავნილი რომის პაპის, ავსტრიის იმპერატორისა და ვეროპის სხვა მონარქების სახელზე. ზემოხსენებული დოკუმენტები პირველად ქვეყნდება.



თავი პირველი

ავსტრიის მოკლე ისტორია

1. ავსტრია უმკვლესი დროიდან 1918 წლამდე

უძველესი დროიდანვე ავსტრიის ტერიტორიას გადაუარა სხვადასხვა ტომების მძლავრმა ტალღამ. იგი თავისი ხელსაყრელი მდებარეობით იზიდავდა სხვადასხვა ხალხებს. აქ თავს იყრიდნენ ილირიელები, კელტები, კიმერიელები, ტევტონები, მარკომანები, ვანდლები, ალემანები, ჰუნები, გოთები, ავარები, სლავები, მაღიარებლები და ალბათ, მრავალი სხვა ხალხიც, რომელთა სახელები არ შეგვივხვია.

აქვე მოვიდნენ ხალხები ხმელთაშუა ზღვის ნაპირებიდან, ხოლო იბერიის (დღეს პირენეის) ნახევარკუნძულიდან — იბერიელები. უფრო გვიან მათ შეუერთდნენ კელტები და ეტრუსკები.

დაახლოებით 2000 წლის წინათ დღევანდელი ავსტრიის ტერიტორია, ალბათ, შედიოდა ილირიის იმპერიის შემადგენლობაში, რომელიც გადაჭიმული იყო ადრიატიკის ზღვიდან სილეზიამდე.

დღევანდელი ტიროლისა და ფორარლბერგის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ რეტების (ალპების ინდოევროპულამდელი მოსახლეობა) ტომები.

იმ დროის ევროპის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს შორის ხანდახან ნორმალური, სავაჭრო ურთიერთობაც მყარდებოდა. ვაჭრობის საგანი ძირითადად იყო ცვილი, თაფლი, ფიჭვის სანთელი, ტანისამოსი, საბრძოლო იარაღი. იმ პერიოდში ორი სავაჭრო გზა იყო ცნობილი — ერთი გადიოდა მდ. დუნაიზე, ხოლო მეორე მიდიოდა იუტლანდიის სანაპიროებიდან, ბალტიის ზღვიდან, ბოჰემიის (ჩეხეთის) გავლით და მიემართებოდა სამხრეთის მიმართულებით — რომსა და ალექსანდრიაში.

დაახლოებით 170 წელს ძვ. წ. თანამედროვე ავსტრიის ტერიტორია დაიპყრეს რომაელებმა. ამავე პერიოდში აქ შეიქმნენ სლა-

ვეები, კიმერები (გერმანელი ტომები, რომლებიც ცხოვრობდნენ იუტლანდიის ნახევარკუნძულზე).

რომის იმპერატორის ავგუსტუსის მმართველობის პერიოდში (27 წ. ძვ. წ. — 14 წ. ახ. წ.) თანამედროვე ავსტრიის ტერიტორიის დიდი ნაწილი მდ. დუნაიმდე ხელთ იგდეს რომაელებმა. 17 წ. ახ. წ. თანამედროვე ბრანდენბურგის (გერმანია) ტერიტორიიდან აქ მოვიდნენ ძველი გერმანული ტომები — მარკომანები.

რომაელთა ბატონობის პერიოდში ხდება სოფლის თემების დაშლა. იქმნება საზოგადოება, სადაც ბატონობენ ტომთა ბელადები და სამხედრო მეთაურები. ამ დროს ევროპაში ხდება ხალხთა დიდი გადასახლება, ჩნდება ახალი ტომები: ჰუნები, მაღიარები, ბულგარები. ადგილი აქვს დანიელთა თავდასხმებს ბრიტანეთის კუნძულების მოსახლეობაზე, გოთებისას — იტალიასა და ესპანეთზე და სხვ.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ (476 წ.) თანამედროვე ავსტრიის ტერიტორია ერთხანს ხელიდან ხელში გადადიოდა, ხოლო VI საუკუნის ბოლოდან მის დასავლეთ ნაწილში საბოლოოდ გაბატონდნენ გერმანული ტომები — ბავარები, აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ნაწილში — სლავები.

V—IX სს. რომსა და მის იმპერიაზე გაბატონებისათვის იბრძოდნენ ავარები, ჰუნები და უნგრელები აღმოსავლეთიდან, ნორმანები — ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, არაბები — სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ამ პერიოდში შეიქმნა დიდი იმპერიები: ოსტგოთების სახელმწიფო, დიდი მორავიის სახელმწიფო, კარლოს დიდის იმპერია.

VIII ს. ბოლოს ფრანკთა მეფემ კარლოს დიდმა დაამარცხა ავარები და ავსტრიის ტერიტორია თავის იმპერიას შეუერთა. კაროლინგების იმპერიის დაშლის შემდეგ (843 წ.) ავსტრიის ტერიტორია შედიოდა აღმოსავლეთ ფრანკთა (გერმანია) სამეფოში. ამ პერიოდში ხდება ავსტრიის ტერიტორიის დასახლება გერმანელი ტომებით. თუმცა ეს პროცესი ერთხანს შეჩერდა უნგრელების შემოსევის გამო, მაგრამ გერმანელთა მეფის ოტონ I-ის მიერ ლეხესთან უნგრეთის დამარცხების (955 წ.) შემდეგ კვლავ გაგრძელდა გერმანელი ტომების კოლონიზაცია ამ მხარეში, სადაც ჩამოყალიბდა რამდენიმე გერმანული ფეოდალური სამეფო.

976 წელს შეიქმნა ბავარიის აღმოსავლეთის მარკა (შემდგომში ავსტრია) და ამ მარკის საკუთარი ღინასტია — ბაბენბერგების დი-



ნასტია. ამ პერიოდში პირველად ჩნდება სახელწოდება „ოსტარაიხი“ (აღმოსავლეთის იმპერია).

996 წელს უნგრელთა მიწების ხარჯზე გაფართოებული ოსტარაიხი უკვე აღწევდა დღევანდელი ვენის ტყეებამდე. ამ დროიდან მოიხსენიება წყაროებში ქალაქი ვენა.

XI საუკუნიდან აღმოსავლეთის მარკა თანდათანობით ჩამოსცილდა ბავარიას და შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ — ავსტრიად (ქვეყნის დღევანდელი თვითსახელწოდებაა „ოსტერაიხ“).

1156 წელს, ჰენრიხ II-ის დროს, ავსტრიის მარკას ეწოდა ავსტრიის საჰერცოგო, რომელიც უკვე აფართოებდა თავის ტერიტორიას მეზობელი ხალხების მიწების ხარჯზე: ავსტრიის ჰერცოგმა ლეოპოლდ V-მ (1177—1194 წწ.) შემოიერთა შტირია, ლეოპოლდ VI-მ (1198—1230 წწ.) — კრაინას ზოგადი რაიონი, ხოლო შემდეგ — კარინტია და სხვ.

XII ს. ბოლოსათვის ფეოდალური ევროპის სხვა საჰერცოგოების მსგავსად ავსტრია გადაიქცა სამიწათმოქმედო ქვეყნად, სადაც ვითარდებოდა ვაჭრობაც და ხელოსნობაც. მისი დედაქალაქი ხდება ვენა.

ბაბენბერგების დინასტიის უკანასკნელი ჰერცოგის გარდაცვალების (1246 წ.) შემდეგ ავსტრიაში გამეფდა ჰაბსბურგების დინასტია (1276 წ.).

1438 წლიდან ჰაბსბურგები ისე გაძლიერდნენ, რომ პრეტენზიას აცხადებდნენ გერმანიის სამეფო ტახტზე. 1438—1439 წწ. გერმანიის სამეფო ტახტზე იჯდა ჰაბსბურგი ალბერტ II, ხოლო 1440 — 1493 წწ. ავსტრიას მართავდა ჰაბსბურგების მეორე შტოს წარმომადგენელი ფრიდრიხ III.

ავსტრიის ამ პერიოდის ისტორიაში განსაკუთრებით ცნობილია ფრიდრიხ III-ის შვილი — მაქსიმილიან I, რომელიც ავსტრიას მართავდა 1493—1519 წწ. მან გააერთიანა ჰაბსბურგების ყველა მიწა და გააფართოვა იგი, განამტკიცა ქვეყნის მმართველობა. ავსტრია ამ დროს მოიცავდა: ზემო და ქვემო ავსტრიას, შტირიას, კარინტიას, კრაინას, ტიროლს და სამფლობელოებს შვაბიასა და ელზასში. ამასთანავე, მაქსიმილიან I-ის მარიამ ბურგუნდიელზე დაქორწინებით, ხოლო მათი შვილის ესპანეთის ტახტის მემკვიდრესთან შეუღლებით ავსტრია გადაიქცა უზარმაზარ იმპერიად.

1526 წელს ავსტრიის იმპერატორმა ფერდინანდ I-მა ისარგებლა თურქების მიერ უნგრელთა ლაშქრის დამარცხებით მოხაჩთან

(სადაც დაიღუპა უნგრეთის მეფე ლუდოვიკო II) და იმითაც, რომ მას ცოლად ჰყავდა უნგრეთის მეფის და, მიაღწია იმას, რომ იგი აირჩიეს უნგრეთისა და ჩეხეთის მეფედ. ამის შედეგად ფერდინანდმა შემოიერთა უნგრეთის ნაწილი (დანარჩენი ნაწილი კი ოკუპირებული იყო თურქების მიერ).

XVII საუკუნის ბოლოსათვის ავსტრია დასუსტდა. 1683 წელს თურქები მეორეჯერ მივიდნენ ვენამდე და ალყა შემოარტყეს მას. ავსტრიას დაეხმარა პოლონეთის მეფე იან III სობესკი, რის შედეგადაც ავსტრიამ შესძლო კონტრშეტევაზე გადასვლა და კარლოვიცის ზავით (1699 წ.) დაიბრუნა თურქების მიერ მიტაცებული ტერიტორიის ნაწილი.

ავსტრია აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის წინააღმდეგ ე. წ. ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში (1701—1714 წწ.). ამ ომის შედეგად რაშტადტის ზავით (1714 წ.) ავსტრიამ მიიღო სამხრეთ ნიდერლანდები (ბელგია), მილანი და ნეაპოლიტანიის სამეფო.

ავსტრიის იმპერატორს კარლოს VI-ს (1711—1740) არ ჰყავდა ვაჟიშვილი, ამიტომ ტახტის მემკვიდრედ დატოვა თავისი ასული მარია ტერეზა. კარლოს VI-ის გარდაცვალების შემდეგ ევროპის ზოგიერთმა სახელმწიფომ კანონიერად არ ცნო მარია ტერეზა ავსტრიის სამეფო ტახტზე. ასე დაიწყო ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომი, რომელიც 1740 წლიდან 1748 წლამდე გაგრძელდა. მას მოჰყვა შვიდწლიანი ომი (1756—1763), რომელთა შედეგად, მართალია, ტახტზე დარჩა მარია ტერეზა, მაგრამ ავსტრიამ დაკარგა მთელი რიგი სამფლობელოები.

მარია ტერეზას გარდაცვალების შემდეგ (1780 წ.) ავსტრიის იმპერატორი გახდა იოსებ II (1780—1790). მისი მეფობის დროს ხდება ქვეყნის მმართველობის ცენტრალიზაცია, რის ხარჯზეც შესუსტდა ადგილობრივი მმართველობა. ქვეყანა დაიყო 15 ოლქად. გერმანული გახდა იმპერიის ოფიციალური ენა.

ავსტრია პოლონეთის სამივე (1772, 1792, 1795 წწ.) გაყოფის მონაწილე იყო.

საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ავსტრია აქტიურად მონაწილეობდა სამივე ანტიფრანგულ კოალიციაში (1792, 1799, 1805 წწ.). 1805 წლის ოქტომბერში ნაპოლეონ I-მა დაამარცხა ავსტრიის ჯარები ულმისთან და შევიდა ვენაში. ამიერი-

დან შეწყდა ე. წ. „გერმანული ერის წმ. რომის იმპერიის“ არსებობა!¹

1809 წელს ავსტრია ისევ გამოვიდა საფრანგეთის წინააღმდეგ, მაგრამ კვლავ დამარცხდა. რუსეთში ნაპოლეონის ლაშქრობის დროს (1812 წ.) ავსტრია საფრანგეთის მხარეზე იყო. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ვენის კონგრესმა (1814—1815) ავსტრიას დაუბრუნა დაკარგული სამფლობელოები (გარდა ბელგიისა და პოლონეთის ზოგიერთი ნაწილისა). ავსტრია კვლავ გახდა მრავალეროვანი იმპერია.

1848 წლის მარტში, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, ავსტრიაშიც იწყება რევოლუცია, რომელიც მაშინვე ჩახშვს. 1848 წლის 2 დეკემბერს ავსტრიის იმპერატორი გახდა ფრანც იოსები (1848—1916), რომელმაც ბოლო მოუღო რევოლუციის ყოველგვარ მონაპოვარს. რევოლუციის ჩახშობაში მას დაეხმარა რუსეთის ცარიზმი.

1866 წელს ავსტრია დამარცხდა პრუსიასთან ომში. ავსტრიის იმპერიაში თავი იჩინა ცენტრიდანულმა ძალებმა. ქვეყნის შინაგანი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით ავსტრიის მმართველმა წრეებმა 1867 წელს ხელი მოაწერეს შეთანხმებას უნგრეთის მმართველ წრეებთან (ე. წ. ავსტრია-უნგრეთის კომპრომისი), რომლითაც უნგრეთმა მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი დამოუკიდებლობა. ასე შეიქმნა ავსტრია-უნგრეთის დუალისტური იმპერია, სადაც დამყარდა ორი ერის — ავსტრიელი და უნგრელი ერების, მმართველი წრეების ბატონობა.

ამიერიდან ავსტრია-უნგრეთის ჰაბსბურგების მონარქია უახლოვდება გერმანიას. ამას ხელს უწყობდა ბალკანეთში ავსტრია-რუსეთის წინააღმდეგობის ზრდა. მწვავედებოდა ასევე რუსეთ-გერ-

¹ „გერმანული ერის წმ. რომის იმპერია“ 962 წელს დააარსა გერმანიის მეფე ოტონ I-მა, რომელმაც დაიპყრო იტალიის ჩრდილო და შუა ნაწილი. „გერმანული ერის წმ. რომის იმპერიაში“ რეალურად ან ნომინალურად სხვადასხვა დროს შედიოდა გერმანიის სამეფო (მას „იმპერიაში“ გაბატონებული მდგომარეობა ეკავა), იტალიის ნაწილი, ჩეხია, ბურგუნდია, ნიდერლანდები, შვეიცარია, ავსტრია და სხვ. მისი იმპერატორები პრეტენზიას აცხადებდნენ რომის დასავლეთი იმპერიის იმპერატორობასა და კარლოს დიდის მემკვიდრეობაზე. „იმპერიის“ სახელწოდებაში სიტყვა „წმიდა“-ს მიზანი იყო ხაზი გაესვათ მის „ღვთაებრივ“ წარმოშობაზე. ეს გაერთიანება მყარი არ იყო. მას ფაქტიურად ბოლო მოუღო ოტოდაფლიანმა ომმა — ვესტფალიის ზავმა (1648 წ.), რომელმაც დააქუცმაცა გერმანია. „გერმანული ერის წმ. რომის იმპერია“ ნომინალურად არსებობდა 1806 წლამდე, როცა ნაპოლეონის ჯარებმა დაიპყრეს ავსტრია.

მანიის წინააღმდეგობაც. 1879 წლის ოქტომბერში შეიქმნა გერმანია — ავსტრია-უნგრეთის კავშირი, რომელიც მიმართული იყო რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ. 1882 წელს ავსტრია-უნგრეთ — გერმანიის კავშირს შეუერთდა იტალია. ასე შეიქმნა სამთა კავშირი.

შემდგომში სამთა კავშირს დაუპირისპირდა სამთა შეთანხმება რუსეთ-საფრანგეთისა (1891—1893) და ინგლისის (1904 წ.) მონაწილეობით.

ეს ორი დაჯგუფება ერთმანეთს დაეჯახა 1914 წელს. დაიწყო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი. ამ ომში არა მარტო დამარცხდა ავსტრია-უნგრეთი, არამედ დაიშალა კიდევ ეს უზარმაზარი მრავალეროვანი იმპერია.

2. ავსტრია 1918—1938 წწ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1918 წლამდე ავსტრია იყო მრავალეროვანი მონარქია. ავსტრიის ბურჟუაზია და მემამულეები, უნგრელ არისტოკრატისთან ერთად, ბატონობდნენ სლავ ხალხზე. რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში.

ჰაბსბურგების მონარქიის ავსტრიის ნაწილში (რომელსაც უწოდებდნენ ცისლეიტანიას) შედიოდა ავსტრიის მიწები (ზემო და ქვემო ავსტრია, შტირია, კარინთია, ზალცბურგი, ტიროლი), ჩეხია, მორავია, სილეზიის ნაწილი, გალიცია, ბუკოვინა, სლოვენია, ისტრია ტრიესტი, დალმაცია, ბოსნია და ჰერცეგოვინა. ცისლეიტანიის 31 მილიონი მოსახლეობიდან ავსტრიელი იყო დაახლოებით 10 მილიონი. ეკონომიკური განვითარების მხრივ ავსტრიას ეკავა მეორე ადგილი ჩეხიის შემდეგ.

ავსტრია-უნგრეთის მეორე ნაწილი — უნგრეთის სამეფო (ტრანსლეიტანია) მოიცავდა საკუთრივ უნგრეთს, სლოვაკიას, ხორვატიას, ტრანსილვანიას.

1918 წლის 3 ნოემბერს ავსტრია-უნგრეთმა გამოაცხადა სრული კაპიტულაცია ანტანტის წინაშე და ხელი მოაწერა დაზავებას. მრავალეროვანმა ჰაბსბურგების დინასტიამ შეწყვიტა თავისი არსებობა. მის ნანგრევებზე შეიქმნა ცალკე სახელმწიფოები: ავსტრია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, პოლონეთი.

რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გავლენით, 1918 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ავსტრიაში გაიზარდა რევოლუციური გამოსვლები და ავსტრია-უნგრეთის ყოფილ იმპერიაში შემავალ ხალხებს მოედო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

21 ოქტომბერს ვენაში მოიწვიეს ავსტრიის ყოფილი რაიხსრატის (პარლამენტის) ავსტრიის მხარეების დეპუტატთა კრება, რომელმაც თავი გამოაცხადა „გერმანული ავსტრიის“ დროებით ეროვნულ კრებად. 30 ოქტომბერს კრებამ შექმნა სახელმწიფო საბჭო, რომელიც აღიქურვა აღმასრულებელი ხელისუფლებით. სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ სოციალ-დემოკრატიული და ორი ბურჟუაზიული პარტიის — ქრისტიანულ-სოციალურისა და გერმანულ-ნაციონალური პარტიების წარმომადგენლები. სახელმწიფო კანცლერის პოსტი სოციალ-დემოკრატების ლიდერმა კარლ რენერმა დაიკავა.

1918 წლის 3 ნოემბერს შეიქმნა ავსტრიის კომუნისტური პარტია. 12 ნოემბერს დროებითმა ეროვნულმა კრებამ ავსტრია გამოაცხადა რესპუბლიკად. ავსტრიის ბურჟუაზიული პარტიებისა და სოციალ-დემოკრატების ლიდერების სურვილი — ავსტრია შეერთებოდა გერმანიას, ვერ განხორციელდა, უმთავრესად ანტანტის წინააღმდეგობის გამო, რომელსაც არ უნდოდა გერმანიის გაძლიერება.

1919 წლის თებერვალში ავსტრიაში ჩატარდა საკანონმდებლო კრების არჩევნები, რის შედეგად პარლამენტში პირველი ადგილი სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (72 ადგილი მიიღო) დაიკავა, ხოლო მეორე — ქრისტიანულ-სოციალურმა პარტიამ (69 ადგილი). ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა სოციალ-დემოკრატი კარლ ზაიცი. მარტში შეიქმნა კოალიციური მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კარლ რენერი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ოტო ბაუერი.

1919 წლის მარტ-აპრილში უნგრეთსა და ბავარიაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ავსტრიის მუშათა კლასში. ამ გარემოებამ აიძულა რენერ-ბაუერის მთავრობა, უშუალო მონაწილეობა არ მიეღო უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის ჩახშობაში, თუმცა იგი ეხმარებოდა ინტერვენტებს და მონაწილეობდა საბჭოთა უნგრეთის ბლოკადაში.

დემოკრატიული ძალების გავლენით რენერ-ბაუერის მთავრობა იძულებული გახდა მოეხდინა ზოგიერთი წარმოების ნაციონა-

ლიზაცია. 1919 წლის აპრილ-მაისში გაუქმდა თავადური ტიტულები და წოდებები, ქვეყნიდან განდევნეს ჰაბსბურგები, კონფისკაცია უყვეს მათს ქონებას და გადასცეს ინვალიდებისა და ობოლთა დახმარების ფონდს. წარმოებებში შეიქმნა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და სხვ.

1919 წლის 10 სექტემბერს ანტანტის სახელმწიფოებმა ავსტრიასთან ხელი მოაწერეს სენ-ჟერმენის საზავო ხელშეკრულებას, ავსტრიას უნდა გადაეხადა რეპარაცია. ავსტრიის არმია განისაზღვრა 30 ათასი კაციით. გაუქმდა საყოველთაო სამხედრო სამსახური და სხვ. იმავე წლის ოქტომბერში ავსტრიის საკანონმდებლო კრებამ გააუქმა თავისი ადრინდელი გადაწყვეტილება გერმანიასთან ავსტრიის გაერთიანების შესახებ.

1920 წლის 1 ოქტომბერს საკანონმდებლო კრებამ მიიღო ავსტრიის რესპუბლიკის კონსტიტუცია. ავსტრია გამოცხადდა ფედერალურ სახელმწიფოდ, მასში შედიოდა მხარეები (მიწები), რომლებსაც თავის მხრივ გააჩნდათ თავიანთი ლანდტაგები („ლენდერ“ — მიწა, მხარე) და მთავრობები. ვენაში ლანდტაგის ფუნქციები მიენიჭა ქალაქის მუნიციპალიტეტს.

კონსტიტუციის მიხედვით რესპუბლიკის პარლამენტი შედგებოდა ორი პალატისაგან: ქვედა პალატა („ეროვნული საბჭო“) ირჩეოდა საყოველთაო საარჩევნო უფლებით (20 წლის ასაკს მიღწეულ მოქალაქეთა მონაწილეობით) და ზედა პალატა („ფედერალური საბჭო“), რომელიც შედგებოდა პროვინციების (მხარეების) ლანდტაგების დელეგატებისაგან. რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევდნენ ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე. ეკლესია სახელმწიფოსაგან არ გამოიყო.

1920 წლის 17 ოქტომბერს ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ავსტრიაში ჩატარდა არჩევნები. პარლამენტში ადგილების უმრავლესობა მიიღო ქრისტიანულ-სოციალურმა პარტიამ, რომელიც ეყრდნობოდა თავის შეიარაღებულ ძალებს — „ჰაიმვერს“ („სამშობლოს დაცვის კავშირი“). სოციალ-დემოკრატიული პარტია განოვიდა მთავრობიდან, მან დაკარგა პრეზიდენტის პოსტიც. ახალი პრეზიდენტი გახდა მსხვილი მიწათმფლობელი ჰაინრიხი.

სენ-ჟერმენის საზავო ხელშეკრულების საზღვრებში შექმნილი ავსტრიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 6,1 მილიონი კაცი, მათგან დაახლოებით 2 მილიონი — ვენაში. ქვეყანა ეკონომიურ სიძნელეებს განიცდიდა. მას არ გააჩნდა ნედლეულის გარკვეული ნაწილი, რომლითაც ადრე მდიდარი იყო ავსტრია-უნგერეთის ყოფილი იმპე-

რია. ქვეყანას აკლდა პროდუქტები, პური. 1921—1922 წწ. აღვრლი ჰქონდა ინფლიაციას. მთავრობა იძულებული გახდა შეემარტა უცხოური სესხისათვის. 1922 წელს ანტანტის ქვეყნებმა ავსტრიის სესხად მისცეს 650 მილიონი კრონი ოქროთი. რეპარაციის გადახდის ვადა გადაუდეს 20 წლით.

ავსტრიაში სულ უფრო აქტიური ხდებოდა ჰაიმვერისა და ნაციონალ-სოციალისტების მოქმედება. ისინი თავს ესხმოდნენ მუშათა ორგანიზაციებს, არბევდნენ დემონსტრაციებს. 1923 წელს სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს თავიანთი გასამხედროებული ორგანიზაცია — შუცბუნდი („დაცვის კავშირი“), მაგრამ მასში არ დაუშვეს კომუნისტების მონაწილეობა. 1927 წელს კომუნისტურმა პარტიამ თავის მხრივ ცალკე შექმნა გასამხედროებული ორგანიზაცია „წითელ ფრონტელთა კავშირი“, მაგრამ იგი მალე აკრძალა ხელისუფლებამ.

1929 წლის სექტემბერში ავსტრიის ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა რეაქციული წრეების წარმომადგენელი შობერი. მან მიადწია კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის შეცვლას, რითაც ავსტრიაში გზა ეხსნებოდა ფაშიზმს. ავსტრიელი ნაციონალ-სოციალისტები ეწეოდნენ აგიტაციას გერმანიისთან ავსტრიის შეერთების (ანშლუსის) სასარგებლოდ.

გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარებამ (1933 წლის 30 იანვარი) განამტკიცა ფაშისტების პოზიცია ავსტრიაშიც. 1932 წლის აგვისტოში ავსტრიის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ქრისტიანულ-სოციალური პარტიის მემარჯვენე ფრთის ლიდერი დოლფუსი. იგი ეყრდნობოდა ფაშისტურ ჰაიმვერს (რომელსაც თავადი შტარემბერგი მეთაურობდა). 1933 წლის 15 მარტს დოლფუსმა მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება და დაამყარა ფაშისტური დიქტატურა; ჰარლამენტი დაითხოვეს. გაუქმდა კრების, კავშირების, პრესისა და სხვ. თავისუფლება. იმავე წლის 1 აპრილს აკრძალეს სოციალ-დემოკრატთა შუცბუნდი, ხოლო 26 მაისს აკრძალეს კომუნისტური პარტია.

ავსტრიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების გარშემო მიმდინარეობდა ბრძოლა ორ ფაშისტურ დაჯგუფებას შორის: ქრისტიანულ-სოციალური პარტია და ჰაიმვერი იტალიის ფაშიზმის ორიენტაციისა იყვნენ, ხოლო ნაციონალ-სოციალისტები — გერმანიის ფაშიზმს ემხრობოდნენ.

ავსტრიაში გერმანიის ფაშიზმის გავლენის შესუსტების მიზნით 1933 წლის ივნისში დოლფუსმა აკრძალა ნაციონალ-სოციალისტურ-

რი პარტია. შეიქმნა ე. წ. „სამამულო ფრონტი“, რომელშიც გაერთიანდნენ ქრისტიანულ-სოციალური პარტია, კათოლიკური ორგანიზაციები და ჰაიმვერი. „სამამულო ფრონტი“ ეყრდნობოდა ფაშისტური იტალიის მხარდაჭერას.

1934 წლის თებერვალში ავსტრიელმა ფაშისტებმა შეუტეეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. დაიწყო მათი ორგანიზაციების რბევა, რასაც მუშათა კლასმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. ლინცში, შტაირში, რორბახში, ბრუკში, მაერზე, გრაცში, ვენაში მოხდა მუშების შეიარაღებული შეჯახება პოლიციასთან, ჰაიმვერსა და არმიასთან. ამ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ კომუნისტები. ეს იყო მუშათა კლასის პირველი შეიარაღებული ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ევროპაში. აღსანიშნავია, რომ სოციალ-დემოკრატები ამ ბრძოლაში არ გამოვიდნენ კომუნისტებთან ერთად და არ მოუწოდეს მუშათა კლასს საყოველთაო აჯანყებისაკენ. სოციალ-დემოკრატების ლიდერი ოტო ბაუერი ჩეხოსლოვაკიაში გაიქცა. თებერვლის მუშათა გამოსვლები სასტიკად ჩაახშეს. მარტო ვენაში დახოცილ მუშათა რიცხვი 1500 შეადგენდა. მთავრობამ აკრძალა სოციალ-დემოკრატიული პარტია.

1934 წლის 1 მაისს გამოქვეყნდა ავსტრიის ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვით, იტალიის მსგავსად, ავსტრიაში მყარდებოდა ფაშისტური — კორპორაციული, წყობილება. ერთადერთ პოლიტიკურ პარტიად აღიარეს ფაშისტური „სამამულო ფრონტი“.

ავსტრიაში დოლფუსის მმართველობა და იტალიის ტიპის ფაშისტური დიქტატურის დამყარება არ მოსწონდათ ბერლინში. პიტლერელებმა გადაწყვიტეს ავსტრიის დაპყრობა. 1934 წლის ივლისში ავსტრიის საზღვარზე განლაგდნენ ფაშისტური გერმანიის ჯარები. 25 ივლისს ვენაში მოხდა ნაცისტური ამბოხება. ავსტრიელმა პიტლერელებმა მოკლეს დოლფუსი, მაგრამ ვერ დაეუფლნენ მთავრობის შენობებს. პიტლერმა ვერ გაბედა, გაეცა განკარგულება ავსტრიაში გერმანიის ჯარების შესვლის შესახებ, ვინაიდან მუსოლინიმ განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში ისიც შეიყვანდა თავის ჯარებს ავსტრიაში.

დოლფუსის ადგილი დაიკავა იმავე მიმართულების პიროვნებამ — შუშნიგმა. ვიცე-კანცლერი გახდა ჰაიმვერის მეთაური შტარემბერგი. ავსტრიის მთავრობა აგრძელებდა დოლფუსის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, თუმცა მალე საფუძველი გამოეცალა მის ურთიერთობას იტალიასთან. საქმე ის იყო, რომ პიტლერთან მუსოლინის დაახლოების შემდეგ ამ უკანასკნელმა დაუთმო ფიურერს

ავსტრიის საკითხში. ახლა შუშნიგმა ორიენტაცია აიღო ჰიტლერზე.² მაგრამ ამის წინააღმდეგი იყო ჰაიმვერი, რომელიც ეყრდნობოდა ქვეყნის მსხვილ მიწამფლობელებსა და კულაკებს (ამ უკანასკნელთ არ სურდათ ანშლუსი).

1936 წლის აპრილში შუშნიგმა აღადგინა საყოველთაო სამხედრო ვალდებულება და ორჯერ გაზარდა რეგულარული არმიის რიცხვი. იმავე წლის მაისში შტარემბერგი გადააყენეს ვიცე-კანცლერის პოსტიდან, ხოლო ჰაიმვერი განაიარაღეს და დაშალეს.

იმავე წლის ივლისში ავსტრიამ და გერმანიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მათ შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენის შესახებ. გერმანიის ჰიტლერული მთავრობა აღიარებდა ავსტრიის სუვერენიტეტს. შუშნიგმა აღუთქვა, რომ მთავრობაში შეიყვანდა ფაშისტური გერმანიისადმი მეგობრულად განწყობილ ორ მინისტრს და აღადგენდა ნაციონალ-სოციალისტთა პარტიას. შუშნიგის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა ჰიტლერელმა გვიდო შმიდტმა. მზადდებოდა ავსტრიის ანშლუსი. ფაშისტური გერმანიის ჯარები თავს იყრიდნენ ავსტრიის საზღვრებთან.

ავსტრიაში ნაციონალ-სოციალისტების თავაშეგებულებას საზღვარი არ ჰქონდა. ყოველივე ეს აღშფოთებას იწვევდა მოსახლეობაში. შუშნიგი იძულებული გახდა კვლავ აეკრძალა ნაციონალ-სოციალისტების პარტია და დაეპატიმრებინა მისი ხელმძღვანელები. ამ ღონისძიებამ ჰიტლერი აღაშფოთა.

1938 წლის 12 თებერვალს შუშნიგი დაიბარეს ჰიტლერთან ბერხტესგადენში². იქ მას გადასცეს ულტიმატუმი, რომელიც ითვალისწინებდა: დაპატიმრებული ნაციონალ-სოციალისტების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას; საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების მინისტრის პოსტზე ჰიტლერელი ზეისინკვარტის დანიშვნას და ნაციონალ-სოციალისტური აგიტაციის სრულ თავისუფლებას. შუშნიგმა მიიღო ჰიტლერის ყველა ეს მოთხოვნა.

ჰიტლერის წინაშე შუშნიგის ასეთმა კაპიტულაციამ აღშფოთება გამოიწვია ავსტრიის მოსახლეობაში. შუშნიგი იძულებული გახდა დაენიშნა პლემბისციტი 13 მარტისათვის ავსტრიის დამოუკი-

² ბერხტესგადენი — პატარა ქალაქი, მდებარეობს ბავარიის ალპებში, 6 ათასიანი მოსახლეობით; აქ იყო ჰიტლერის ერთ-ერთი რეზიდენცია. 1945 წელს იგი დაიკავეს საფრანგეთის ჯარებმა გენერალ ლეკლერკის მეთაურობით.

დებლობის საკითხზე. ჰიტლერმა ულტიმატუმით მოითხოვა პლემბის-ციტის გამოცხადების გაუქმება და შუშნიგის გადადგომა. წინააღმდეგ შემთხვევაში, 11 მარტს გერმანიის ჯარები შევიდოდნენ ავსტრიაში.

შუშნიგი დაემორჩილა ჰიტლერის მოთხოვნებს. 11 მარტს იგი გამოვიდა რადიოთი და განაცხადა თავისი გადადგომის შესახებ. ამასთანავე, ხალხს მოუწოდა, წინააღმდეგობა არ გაეწიათ ჰიტლერული გერმანიის ჯარებისათვის. ავსტრიის კანცლერი გახდა ჰიტლერელი ზეის-ინკვარტი.

1938 წლის 11 მარტს, საღამოს, გერმანიის 25 ათასიანი არმია წინააღმდეგობის გარეშე შევიდა ავსტრიის ტერიტორიაზე. მეორე დღეს ჰიტლერი ჩავიდა ვენაში, სადაც მიიღო გერმანიის ჯარებისა და ავსტრიელი ნაციისტების პარადი. ასე განხორციელდა გერმანიის მიერ ავსტრიის ანშლუსი.

13 მარტს ზეის-ინკვარტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ავსტრია ცხადდებოდა „გერმანიის სახელმწიფოდ“. ავსტრია ოფიციალურად შევიდა „მესამე იმპერიის“ შემადგენლობაში. ევროპის რუკიდან გაქრა დამოუკიდებელი სახელმწიფო და მასთან ერთად თვით სახელწოდება ავსტრიაც. ჰიტლერული რაიხის ამ პროვინციას ამიერიდან ეწოდებოდა ოსტმარკა („აღმოსავლეთის მარკა“).

ფაშისტური გერმანიის მიერ ავსტრიის ანშლუსს პროტესტი არ გამოუწვევია დასავლეთის სახელმწიფოებში. 1938 წლის 2 აპრილს ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად ცნო გერმანიის მიერ ავსტრიის ანშლუსი. უფრო გვიან მის მაგალითს მიბაძეს დასავლეთის სხვა სახელმწიფოებმაც.

ერთადერთი სახელმწიფო იყო საბჭოთა კავშირი, რომელმაც არამც თუ არ ცნო ფაშისტური გერმანიის მიერ ავსტრიის დაპყრობა, არამედ დაგმო კიდევაც ეს ფაქტი.

1938 წლის 10 აპრილს ჰიტლერელებმა ჩაატარეს პლემბისციტი გერმანიასთან ავსტრიის შეერთების შესახებ, რაც ჩატარდა არა მარტო ავსტრიაში, არამედ გერმანიაშიც.

ავსტრიის მთელი ეკონომიკა და მრეწველობა დაუმორჩილდა ფაშისტური გერმანიის ომისათვის მზადების საქმეს. მეორე მსოფლიო ომის დროს კი ავსტრიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპაში ჰიტლერული გერმანიის აგრესიის საქმეში. 1941 წლის გაზაფხულზე ავსტრიის ტერიტორიიდან გერმანია თავს დაესხა იუგოსლავიას. ამ უკანასკნელის დაპყრობის შემდეგ ჰიტლერმა ავსტ-

რის პროვინციას შეუერთა შტირია, კარინთია და სლოვენის ნაწილი.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერული გერმანიის ჯარების შემადგენლობაში იყო 1,6 მილიონი ავსტრიელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ავსტრიის 17 დივიზია იბრძოდა ჰიტლერელების მხარეზე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ომის ბოლო პერიოდში ავსტრიის 120 საავიაციო საწარმო გერმანიას წელიწადში 9 ათასამდე თვითმფრინავს აწვდიდა.

3. თანამედროვე ავსტრია

მეორე მსოფლიო ომის დროს ავსტრია თუმცა ჰიტლერულ გერმანიას ემსახურებოდა, მან მაინც გარკვეული წვლილი შეიტანა მეორე მსოფლიო ომში პროგრესული ძალების გამარჯვების საქმეში. ეს მხედველობაში მიიღეს საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებულ შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. თათბირზე მოსკოვში 1943 წლის 19—30 ოქტომბერს (თათბირს ეწოდებოდა ვ. მოლოტოვი, კორდელ ჰელი და ანტონი იდენი). იმავე წლის ნოემბერში ზემოხსენებული სამი სახელმწიფოს მეთაურებმა — ი. სტალინმა, ფ. რუზველტმა და უ. ჩერჩილმა ხელი მოაწერეს „მოსკოვის დეკლარაციას ავსტრიის შესახებ“.

ეს დეკლარაცია ითვალისწინებდა თავისუფალი და დამოუკიდებელი ავსტრიის აღდგენას. ამასთანვე, ხაზგასმული იყო ის პასუხისმგებლობა, „რომელსაც ის (ავსტრია. — ი. ტ.) თავიდან ვერ აიცილებს ჰიტლერული გერმანიის მხარეზე ომში მონაწილეობის გამო“. რომ ომის შემდგომ ავსტრიის საკითხის საბოლოოდ მოგვარებისას მხედველობაში მიიღება ავსტრიის „საკუთარი წვლილი მისი განთავისუფლების საქმეში“³.

1945 წლის მარტში ავსტრიის დიდი ნაწილი, ქ. ვენის ჩათვლით, გაათავისუფლა საბჭოთა არმიამ. მის დასავლეთ რაიონებში შევიდნენ ინგლისისა და ამერიკის ჯარები. როგორც მოკავშირეების ჯარების მიერ განთავისუფლებულ ქვეყანას, ავსტრიას უფლება ჰქონდა შეექმნა თავისი საკუთარი მთავრობა. მაგრამ მოსკოვის დეკლარაციის თანახმად, მას პასუხი უნდა ეგო ჰიტლერული გერმანიის

³ Вооружение Австрии, документы и факты. Пер. с немецкого, М., 1952. с. 163; Heinrich Sieglar, L'Autriche. Sa politique, son économie depuis 1945, Bonn, Wien, Zürich, p. 5.

2. ი. ტაბალა

საქართველოს
ბიბლიოთეკა

მხარეზე ომში მონაწილეობის გამო. ამიტომ ავსტრიაში დამყარდა მოკავშირეთა საოკუპაციო რეჟიმი და დაწესდა შესაფერისი საკონტროლო მექანიზმი. მოკავშირეთა კონტროლის მთავარი მიზანია, უზრუნველყო ავსტრიის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია და მოემზადებინა ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადება.

1945 წლის ივლისში 1937 წლის 31 დეკემბრის საზღვრებში აღებული ავსტრია დაყოფილ იქნა ოთხ (საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის) საოკუპაციო ზონებად. ავსტრიის დედაქალაქი ვენა ცალკე გამოიყო და დაიყო ოთხ სექტორად, სადაც დამყარდა ოთხთა ადმინისტრაცია. იმავე წლის 31 ივლისს ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის ჯარები შევიდნენ ვენაში.

ავსტრიის განთავისუფლების შემდეგ პოლიტიკურ არენაზე გამოვიდა სამი პოლიტიკური პარტია: კომუნისტური, სოციალისტური და სახალხო. კომუნისტურმა პარტიამ დიდი ზარალი ნახა ომის დროს. ათასობით კომუნისტი, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის 12 წევრი, დაიღუპა ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში. 1948 წლისათვის იგი თავის რიგებში ითვლიდა 150 ათასზე მეტ წევრს, რომელთაგან გარკვეულ ნაწილს არ ჰქონდა რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება, ამასთან, დასავლეთის ზონებში კომპარტიამ ვერ გაშალა თავისი მუშაობა.

სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა კვლავ მემარჯვენე სოციალისტების ხელში იყო; სახალხო პარტია შეიქმნა ადრე არსებული ქრისტიანულ-სოციალური პარტიის ბაზაზე.

1945 წლის 27 აპრილს შექმნილ ავსტრიის დროებით მთავრობაში შევიდნენ სამი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. სახელმწიფო კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა მემარჯვენე სოციალისტმა კარლ რენერმა. კომუნისტებმა გაშალეს მუშაობა დანგრეული მეურნეობის აღდგენისა და ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნებისათვის. იმავე წლის 8 მაისს მიღებულ იქნა კანონი ნაციისტური პარტიის აკრძალვისა და აქტიური ნაციისტების დასჯის შესახებ; 17 ივლისს მიიღეს კანონი ავსტრიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის აქტიური მებრძოლებისადმი მატერიალური დახმარების თაობაზე. ნოემბრეში გამოქვეყნდა განკარგულება ნაციისტებისაგან სახელმწიფო აპარატის გაწმენდის შესახებ. თუმცა ყველა ეს გადაწყვეტილება მეტად ნელი ტემპით ხორციელდებოდა ავსტრიის დასავლეთის ზონებში. დასავლე-

თის სახელმწიფოებმა მხოლოდ 1945 წლის 20 ოქტომბერს ცნეს ავსტრიის დროებითი მთავრობა.

საქართველო
ავსტრიაში

იმავე წლის ნოემბერში ჩატარდა ავსტრიის პარლამენტის არჩევნები. სოციალისტებმა უარი თქვეს კომუნისტებთან ერთად ერთიანი ფრონტით ამ არჩევნებში გამოსვლაზე. არჩევნების შედეგად სახალხო პარტიამ მიიღო 85 ადგილი, სოციალისტებმა — 76, კომუნისტებმა — 4. დეკემბერში შეიქმნა ავსტრიის კოალიციური მთავრობა სახალხო პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ლეოპოლდ ფიგლის მეთაურობით. ვიცე-კანცლერი გახდა სოციალისტი ადოლფ შერფი, ენერგეტიკის მინისტრის პოსტი დაიკავა კომუნისტმა ალტმანმა. 20 დეკემბერს ფედერალურმა კრებამ ავსტრიის პრეზიდენტად აირჩია მემარჯვენე სოციალისტი კარლ რენერი. მთავრობამ დროებით მოქმედად გამოაცხადა ავსტრიის 1929 წლის კონსტიტუცია.

ზემოხსენებული კოალიციური მთავრობა ხელისუფლების სათავეში დარჩა 1949 წლის ოქტომბრამდე. ამ დროს ადგილი ჰქონდა ავსტრიაში ამერიკის კაპიტალის შეჭრას. მთავრობის მიერ მიღებული ზოგიერთი ღონისძიება ანტიიმპერი ხასიათისა იყო. 1947 წლის 2 სექტემბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა სოციალისტმა ოსკარ პელმერმა გადააყენა ვენის პოლიციის პრეფექტი კომუნისტი დიურმაიერი და მის ადგილზე დანიშნა სოციალისტი. იმავე წლის 20 ნოემბერს პროტესტის ნიშნად მინისტრი კომუნისტი ალტმანი გამოვიდა მთავრობის შემადგენლობიდან. 1948 წლის 2 ივლისს ავსტრიამ ხელი მოაწერა ამერიკასთან შეთანხმებას „მარშალის გეგმით“ დახმარების მიღების შესახებ.

1948 წელს, თითქმის მთელი წლის განმავლობაში, ავსტრიაში ადგილი ჰქონდა გაფიცვებს. იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი: 1948 წლის იანვარში იგი შეადგენდა 50 ათასს, 1952 წლის ბოლოს — 300 ათასს.

1949 წლის საპარლამენტო არჩევნებში სახალხო პარტიამ მიიღო 77 ადგილი, სოციალისტურმა — 67, ნეონაციისტურმა „დამოუკიდებლობის კავშირმა“ (შეიქმნა არჩევნების წინ) — 16, მემარჯვენე ბლოკმა (კომპარტია და სოციალისტური მუშათა პარტია) — 5.

1951 წელს გარდაიცვალა ავსტრიის პრეზიდენტი კარლ რენერი. მის ადგილზე აირჩიეს სოციალისტი თეოდორ კერნერი.

საზავო ხელშეკრულების დადებამდე ავსტრიას უფლება არ ჰქონდა პულოდა რეგულიარული არმია, მაგრამ ახალი არმიისათვის კადრების მოზადებას მაინც ახერხებდნენ ჟანდარმერიის სკოლებში, რომელთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა დასავლეთის

ზონებში, სადაც ხელუხლებელი რჩებოდა პიტლერელთა ბატონობის პერიოდში შექმნილი სამხედრო საწარმოებიც.

რეაქციული წრეები ცდილობდნენ, არ დაეშვათ პარლამენტში სახალხო ოპოზიციის წარმომადგენლები. 1953 წლის იანვარში ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით მოხდა საარჩევნო ოლქების გადანაწილება, რომლის მიხედვით, ამიერიდან სახალხო ოპოზიციიდან დეპუტატების ასარჩევად საჭირო იყო 57 ათასი ხმა, ხოლო სახალხო პარტიის დეპუტატებისათვის — 24 ათასი.

იმავე წლის 22 თებერვლის არჩევნებში სახალხო პარტიამ მიიღო 74 მანდატი, სოციალისტურმა პარტიამ — 73, სახალხო ოპოზიციამ — 4. იმავე წლის 2 აპრილს შეიქმნა მთავრობა ი. რააბის მეთაურობით, საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ლ. ფიგლი.

1955 წლის 29 მარტს საბჭოთა კავშირის მთავრობის მოწვევით მოსკოვში ჩავიდა ავსტრიის კანცლერი ი. რააბი; მას ახლდნენ ვიცე კანცლერი შერფი, საგარეო საქმეთა მინისტრი ფიგლი და საგარეო საქმეების სახელმწიფო მდივანი ბრუნო კრაისკი. მოსკოვში მოლაპარაკების დროს გადაწყდა ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის საკითხი. საბჭოთა მთავრობა დათანხმდა, ავსტრიული საქონლის მიწოდებით მიეღო კომპენსაცია ავსტრიაში არსებული გერმანიის იმ ქონებისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა (150 მილიონი დოლარის თანხისა). გარდა ამისა, გამოითქვა მზადყოფნა, საბჭოთა კავშირს გადაეცა ავსტრიისათვის გერმანიის ის ქონება, რომლის გადაცემა ადრე არ იყო გათვალისწინებული (ნავთობის სარეწაოები, ღუნაის სანაოსნო საზოგადოების ქონება და სხვ.).

ავსტრია კისრულობდა ვალდებულებას, სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განეხორციელებინა ნეიტრალიტეტის პოლიტიკა: არ შეერთებოდა სამხედრო კავშირებს; არ დაეშვა თავის ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო ბაზების შექმნა; განეხორციელებინა ყველა სახელმწიფოს მიმართ დამოუკიდებელი პოლიტიკა.

1955 წლის 15 მაისს ვენაში, ბელვედერის სასახლის მარმარილოს დარბაზში, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა — გ. მოლოტოვმა, ჯონ ფ. დალესმა, პ. მაკმილანმა და ა. პინემ ხელი მოაწერეს ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულებას. ავსტრიის მხრიდან მას ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ფიგლმა⁴.

⁴ H. Siegler, L'Autriche, sa politique..., pp. 163—183.

ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად ცხადდებოდა ავსტრიის სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო 1938 წლის 1 იანვრის საზღვრებში.

1955 წლის 26 ოქტომბერს მიიღეს ფედერალური კონსტიტუციური კანონი ავსტრიის მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ; ამ კანონის პირველ მუხლში ნათქვამია: ა) თავისი საგარეო დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და თავისი ტერიტორიის ხელშეუხლებლობის უზრუნველყოფის მიზნით ავსტრია ნებაყოფლობით აცხადებს თავისი მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ. ავსტრია მხარს დაუჭერს და დაიცავს მას მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით; ბ) ამ მიზნების უზრუნველსაყოფად ავსტრია მომავალში არასოდეს არ შეევა არავითარ სამხედრო კავშირში და არ დაუშვებს თავის ტერიტორიაზე უცხოეთის სახელმწიფოების სამხედრო დასაყრდენი პუნქტების შექმნას.

ზემოხსენებული კანონის მეორე მუხლში მითითებულია, რომ ამ ფედერაციული კონსტიტუციური კანონის განხორციელება ევალება ფედერალურ მთავრობას. ამრიგად, 1955 წლიდან ავსტრია მუდმივი ნეიტრალიტეტის გზას დაადგა.

1957 წლის მაისში ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს სოციალისტი ადოლფ შერფი. იმავე წლის ივლისში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა სოციალისტმა ბრუნო კრაისკიმ. 1964 წლის აპრილში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა სახალხო პარტია, რომლის თავმჯდომარე იოზეფ კლაუსი კანცლერი გახდა. მის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ჯერ ეკავა ლეიო ტონჩიჩ-სორინის, ხოლო შემდეგ — კურტ ვალდჰაიმს (დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს).

ტერიტორია და მოსახლეობა. თანამედროვე ავსტრია განლაგებულია ცენტრალურ ევროპაში, მდ. დუნაის შუა დინების რაიონში, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი დიდი მაგისტრალების გზაჯვარედინზე. ქვეყნის ფართობი შეადგენს 83850 კვ. კმ. ტერიტორიის მიხედვით ევროპის 36 სახელმწიფოთა შორის ავსტრიას მე-19 ადგილი უკავია.

ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 80% დაფარულია მთებით (ჩრდილო-აღმოსავლეთის ალპებით), 37% უჭირავს ტყეებს, 28% — მინდვრებს, საძოვრებს და ალპურ საძოვრებს, 21% — მიწათმოქმედებასა და მებაღეობას.

ავსტრიის ტერიტორიას უკავია აღმოსავლეთ ალპების დიდი ნაწილი და ვრცელდება ბოჰემიის (ჩეხია) მთიან მასივებამდე. აქ ალპების სიმაღლე (დასავლეთი და შუა ნაწილი) 4 ათას მეტრამდე აღწევს, ხოლო აღმოსავლეთით ალპები დაბლდება და ვინერვალთან (ვენის ტყე) გადადის ბორცვებში. მისი საზღვრების საერთო სიგრძეა 2537 კმ. ავსტრიის მოსახლეობა შეადგენს 7073 800, მოსახლეობის 90%-ზე მეტი ავსტრიელია. აქვე ცხოვრობენ სლოვენები, ხორვატები, ჩეხები, მაღიარები. მოსახლეობის 99% თავის დედანად გერმანულ ენას აღიარებს. სარწმუნოების მიხედვით მოსახლეობის დაახლოებით 90% კათოლიკეა, 6% — პროტესტანტი, 0,2% — ებრაელი, 3,8% — სარწმუნოების გარეშეა.

ავსტრიის სოციალური სტრუქტურისათვის დამახასიათებელია წვრილი ბურჟუაზიის მრავალრიცხოვანი ფენის არსებობა (ვაჰრები, კულაკები, ხელოსნები, პატარა საწარმოების, რესტორნების, სასტუმროებისა და სხვ. მესაკუთრეები).

ავსტრიის დედაქალაქია ვენა. მისი სახელი ვინდობონიდან უნდა იყოს წარმომდგარი. 15 წელს ჩვ. წ. რომაელებმა დაიპყრეს მდ. დუნაის ნაპირებთან არსებული კელტური პროვინცია ნორიკუმი. 100 წელს დუნაის ნაპირზე რომაელებმა დააარსეს ბანაკი ვინდობონა მარკომანებისა და კვადებისაგან თავდასაცავად. 180 წელს კეისარი მარკუს ავრელიუსი დაიღუპა ვინდობონას ბანაკში. 395—568 წწ. ხდება ხალხთა გადასახლებები. 453-568 წწ. ვინდობონა ნაქალაქიარად გადაიქცა. 568-630 წწ. ადგილი ჰქონდა ავარების შემოსევას, ხოლო შემდეგ — სლავების შემოჭრას. ამ დროს ვინდობონას ეწოდა ვენდუნია.

სახელწოდება „ვენა“ პირველად მოიხსენიება ზალცბურგის ანალებში იქ, სადაც ლაპარაკია უნგრელების ბრძოლაზე ვენასთან. შემდეგ ვენა მოხსენიებულია 1030 წელს. ასე რომ, ვინდობონას დაცარიელებულ ადგილზე შეიქმნა ქ. ვენა. XII საუკუნეში ვენა გახდა ბაბენბერგების ჰერცოგების რეზიდენცია და ხელოსნობისა და ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი. 1276 წელს ავსტრიასთან ერთად ვენა გადავიდა ჰაბსბურგების დინასტიის ხელში და იყო მისი დედაქალაქი 1918 წლამდე.

ამჟამად ვენაში ცხოვრობს დაახლოებით 1 700 000 კაცი. ვენა მდებარეობს იქ, სადაც ალპებისა და კარპატების მთების მასივე-

⁵ შესაძლებელია ეს წარმომდგარია კელტური სიტყვებიდან: ვინდ — ქარი, ბონი — კარგი. შედარეთ: ბუნოს აირეს — კარგი ჰაერი.

ბი ეხებიან ერთმანეთს. ერთ-ერთი უძველესი და ამავე დროს მუდამ ახალგაზრდა, მდ. დუნაის ნაპირებზე განლაგებული ვენა დაახლოებით თანაბრად და დაშორებული ლონდონიდან, მადრიდიდან, სტამბულიდან და მოსკოვიდან.

ავსტრიის სხვა ქალაქებიდან აღსანიშნავია გრაცი (226 ათასი მცხ.), ლინცი (185 ათასი მცხ.), ზალცბურგი (110 ათასი მცხ.), ინსბრუკი (105 ათასი მცხ.).

ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით ავსტრია წარმოადგენს ფედერალურ სახელმწიფოს, რომელიც შედგება 8 მხარისაგან (მიწისაგან: გერმანულად „ლენდერ“): ფორარლბერგი, ტიროლი, ზალცბურგი, კარინთია, შტირია, ზემო ავსტრია, ქვემო ავსტრია, ბურგენლანდი, დედაქალაქი ვენა წარმოადგენს მე-9 მხარეს (მიწას).

სახელმწიფო წყობილება. ავსტრია წარმოადგენს ბურჟუაზიულ ფედერალურ რესპუბლიკას. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევს მოსახლეობა პირდაპირი და ფარული არჩევნების შედეგად ექვსი წლის ვადით. 1965 წელს ავსტრიის პრეზიდენტად აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ფრანც იონასი; იგი ხელმეორედ აირჩიეს 1971 წელს. ფრანც იონასი საბჭოთა კავშირში იყო 1968 წელს. გარდაცვალა 1973 წელს ამჟამად ავსტრიის პრეზიდენტია რუდოლფ კირხშლეგერი.

კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს აქვს საკმაოდ ვრცელი უფლებები: იგი წარმართავს სახელმწიფოს საგარეო საქმეებს, იწვევს პარლამენტს, ნიშნავს მთავრობის წევრებს, ახორციელებს ჯარების უმაღლეს სარდლობას, ადასტურებს პარლამენტის საკანონმდებლო აქტებს, აცხადებს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობას და სხვ.

ავსტრიის რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, რომელიც შედგება ორი პალატისაგან: ეროვნული საბჭოსა და ფედერალური საბჭოსაგან. ეროვნულ საბჭოს ირჩევენ 4 წლის ვადით 165 დეპუტატის შემადგენლობით.

ფედერალური საბჭო შედგება 54 დეპუტატისაგან, რომლებსაც ირჩევენ მხარეების (მიწების) ლანდტაგები მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით (3-დან 12 დეპუტატამდე ყოველი მიწიდან). ფედერალური საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევენ რიგრიგობით ყოველი მხარიდან ნახევარი წლის ვადით.

აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო (მთავრობა). მთავრობას ქმნის ლიდერი პარტიისა, რომელ-

მაც არჩევნების დროს ადგილების უმრავლესობა მიიღო პარლამენტში.

1970 წლის მარტის არჩევნების შედეგად მთავრობის შემადგენელი გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბრუნო კრასიკი.

მხარეებში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ ლანდტაგები (მიწების პარლამენტები), რომლებსაც ირჩევენ 4—5 წლის ვადით. მხარეებში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებენ მხარეების მთავრობები, რომლებსაც ქმნიან ლანდტაგების დეპუტატებისაგან და შედგებიან მთავრობის მეთაურების (ლანდეს-ჰაუპტმან), მისი მოადგილეებისა და მთავრობის წევრებისაგან.

ვენაში არსებობს მაგისტრატი, რომლის სათავეში დგას ბურგომისტრი. მხარეების მთავრობათა კომპეტენციაში უმთავრესად შედის ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

ადგილობრივი და საოლქო თემების აღმასრულებელი ორგანოებია სათემო წარმომადგენლობები (ბურგომისტრატები), რომლებსაც სათავეში უდგანან ბურგომისტრები.

ავსტრიაში არსებობს შემდეგი პოლიტიკური პარტიები: ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ავსტრიის სახალხო პარტია, ავსტრიის კომუნისტური პარტია, ავსტრიის „თავისუფლების პარტია“, დემოკრატიული პროგრესული პარტია, ავსტრიის ლიბერალური პარტია და ნაციონალ-დემოკრატიული პარტია.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ომის დროს დაიშალა, მაგრამ ხელახლა შეიქმნა 1945 წელს. თავის რიგებში ითვლის 700 ათას წევრს. აქედან მუშები — 41%, დანარჩენი მოსამსახურეები და წვრილბურჟუაზიული ფენების წარმომადგენლები. იგი მხარს არ უჭერს კომუნისტებისა და სოციალისტების ერთიან მოქმედებას. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სოციალისტური ინტერნაციონალის მუშაობაში და მესამე ადგილი უკავია მასში წევრების რაოდენობის მიხედვით; 1970 წლიდან მთავრობის სათავეშია. პარტიის თავმჯდომარეა ბრუნო კრასიკი. ცენტრალური ორგანოა გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგ“ (ტირაჟი 100 ათასი).

ავსტრიის სახალხო პარტია შეიქმნა 1945 წელს. თავის რიგებში ითვლის 730 ათასზე მეტ წევრს. იგი წარმომადგენს ბურჟუაზიულ-მემამულურ პარტიას, რომლის წევრთა შორის 45%-ს შეადგენენ მსხვილი მიწათმფლობელები, კულაკები და გლეხობა, 17%-ს — მრეწველები და ვაჭრები, 38%-ს — ინტელიგენცია, მოსამსახურეები და მუშები. პარტიის თავმჯდომარეა იოზეფ კლაუსი, გენერალური მდივანი — გ. ვიტჰალმი. პარტიის ცენტრალური ორ-

განთავსდა ყოველდღიური გაზეთი „ფოლკსბლატი“ (ტირაჟი — 90 ათასი).

ავსტრიის კომუნისტური პარტია შეიქმნა 1918 წელს. 1933—1945 წწ. იმყოფებოდა იატაკქვეშ. კომპარტია ეწევა თანმიმდევრულ ბრძოლას ავსტრიის მშრომელთა ინტერესებისათვის. 1958 წელს ავსტრიის კომპარტიამ მიიღო ახალი პროგრამა — „ავსტრიის გზა სოციალიზმისაკენ“, რომელშიც მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე მოცემულია სოციალიზმში ავსტრიის გადასვლის შესაძლებლობები და პერსპექტივები.

ავსტრიის კომპარტია თავის რიგებში ითვლის 34 ათას წევრს, 35 ათას თავისი დეპუტატები ვენის, შტირიისა და კარინტიის ლანდტაგებში. პარტიის საპატიო თავმჯდომარეა კოპელინგი, თავმჯდომარე — მური, ცკ-ის მდივნები — ფიურნბერგი და შარფი. პარტიის მთავარი ორგანოა გაზეთი „ფოლკსშტიმე“ (ტირაჟი 30 ათასი).

ავსტრიის „თავისუფლების პარტია“ შეიქმნა 1955 წელს ნეოფაშისტური „დამოუკიდებელთა კავშირის“ ბაზაზე. მის წევრთა რიცხვი შეადგენს დაახლოებით 25 ათასს. მისი სოციალური ბაზაა საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ის ნაწილი, რომელიც ორიენტაციას იღებს დასავლეთ გერმანიაზე. იგი ატარებს „პარლამენტარიზმის“ იდეებს, უარყოფს ავსტრიელი ერის დამოუკიდებლობას და ავსტრიელ ხალხს გერმანელი ხალხის ნაწილად თვლის. იგი გამოდის ავსტრიის ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ; მხარს უჭერს გერმანიასთან ავსტრიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაახლოებას; ეწევა მათი ეროვნული და კულტურული ერთობის პროპაგანდას. პარტიის თავმჯდომარეა პეტერი; ორგანოა გაზეთი „დი ნოიე ფრონტ“ (ტირაჟი 20 ათასი).

დემოკრატიული პროგრესული პარტია შეიქმნა 1965 წელს. მასში შევიდნენ ანტიკომუნისტური შეხედულების ყოფილი სოციალისტები, ნეოფაშისტები და მონარქისტები. საგარეო პოლიტიკაში ეს პარტია მოითხოვს მხოლოდ სამხედრო ნეიტრალიტეტს, მაგრამ არა იდეოლოგიურს. პარტიის თავმჯდომარეა ოლა.

ავსტრიის ლიბერალური პარტია ბურჟუაზიული პარტიაა. იგი თითქმის არავითარი გავლენით არ სარგებლობს ქვეყანაში.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტია შეიქმნა 1967 წელს. იგი არის დასავლეთ გერმანიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ტიპისა და ძირითადად შედგება ყოფილი აქტიური ნაციონალისტებისაგან.

მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცი-
ციები. პროფკავშირების ავსტრიის გაერთიანება — ავსტრიის მუ-
შათა კლასის პროფესიული ორგანიზაცია შედის „თავისუ-
ფალი პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციაში“. იგი
აერთიანებს 1,5 მლნ წევრს ანუ სამუშაოზე დაკავებულთა 2/3-ს.
შასში შედის 16 დარგობრივი პროფკავშირი. პროფკავშირების ავს-
ტრიის გაერთიანებაში არის სამი ფრაქცია: სოციალისტური (70%).
ქრისტიანული პროფკავშირებისა (სახალხო პარტიის გავლენის ქვეშ)
და პროფკავშირების ერთიანობისა (კომპარტიის გავლენის ქვეშ). ამ
გაერთიანების პრეზიდენტია ა. ბენა (სოციალისტი), ვიცე-პრეზიდენ-
ტები: ე. ელტენბურგერი, კ. ფლოლტლი და რ. ჰოიზერი. ბეჭდვითი
ორგანოა ყოველკვირეული „სოლიდარიტეტ“ (ტირაჟი 1 მლნ).

ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოება
შეიქმნა 1945 წელს. ამ საზოგადოებას თავისი განყოფილებები გააჩ-
ნია ავსტრიის ყველა მხარეში და ვენის თითქმის ყველა რაიონში.
იგი აქვეყნებს ბიულეტენს, აქვს ბიბლიოთეკები და სამკითხველო-
ები, რომლებიც მდიდარია ლიტერატურით გერმანულ და რუსულ
ენებზე. საზოგადოების გამგეობაში შედიან ავსტრიის სამი ძირი-
თადი პარტიის (კომუნისტური, სოციალისტური, სახალხო) წარმო-
მადგენლები.

რელიგია. ავსტრიაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფო-
საგან, მაგრამ პრაქტიკულად მჭიდრო კავშირშია მასთან. ეკლესიას
უფლება აქვს შექმნას კერძო სკოლები, ხოლო საზოგადოებრივ სკო-
ლებში „მშობლების სურვილის“ მიხედვით ასწავლიან საღვთო
სჯულს

პრესა. ავსტრიაში გამოდის 32 ყოველდღიური გაზეთი (სა-
ერთო ტირაჟით 1,6 მლნ ეგზემპლარი), 156 ყოველკვირეული გაზე-
თი და ასევე მრავალი სხვადასხვა მიმართულების ჟურნალი. ინ-
ფორმაციის ძირითადი წყაროა ავსტრიის პრესის სააგენტო, ასევე
„პრესის ახალი ამბების სააგენტო“ და „პრესის სოციალისტური
სამსახური“.

ეკონომიკა. ავსტრია წარმოადგენს ინდუსტრიულ-აგრარულ
ქვეყანას განვითარებული მრეწველობითა და ინტენსიური სოფლის
მეურნეობით. მრეწველობა მშენებლობასთან ერთად იძლევა ქვეყ-
ნის მთელი ეროვნული პროდუქციის ნახევარზე მეტს.

ავსტრიას მნიშვნელოვანი წიაღისეული სიმდიდრეები გააჩ-
ნია: ნავთობი, მაგნეზიტი (მეორე ადგილი მსოფლიოში მარაგის
მიხედვით, ხოლო პირველი — ამოღების მიხედვით), რკინის მად-

ნეული (განსაკუთრებით განთქმულია შტირიის ერცბერგის რკინის საბადოები), გრაფიტი, ტყვია, ცინკი, სურმა, მარგანეცი, სპილენძი ავსტრია ასევე მდიდარია ჰიდროენერჯითა და ტყით. არა აქვს საკმარისი ქვანახშირი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ნედლეული საფეიქრო მრეწველობისათვის და სხვ.

ავსტრიის მრეწველობის ძირითადი დარგებია: შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება; ასევე ნავთობის, მურა ნახშირის, მაგნეზიტის ამოღება; საფეიქრო, ცელულოზა-ქაღალდის, ელექტროტექნიკური, ავტოტრაქტორის, ქიმიური და ელექტრო-ენერგეტიკული მრეწველობა.

ავსტრიის მრეწველობის ტექნიკური დონე საკმაოდ მაღალია და ზოგიერთ დარგში არ ჩამოუვარდება საუკეთესო მსოფლიო მიღწევებს. ავსტრიის მრეწველობაში რაოდენობის მიხედვით ჭარბობს წერილი და საშუალო საწარმოები, თუმცა მძიმე მრეწველობის წამყვან დარგებში გადანწყვეტ როლს ასრულებენ მსხვილი საწარმოები.

სამრეწველო პროდუქციის ძირითადი სახეებს გამოშვებამ 1967 წელს შეადგინა (ნელიონი ტონობით): ფოლადი — 3,2; თუჯი — 2,2; ნაგლინი — 2,3; მურა ნახშირი — 5,5; რკინის მადნეული — 3,5; მაგნეზიტი — 1,8; ნავთობი 2,8; ელექტროენერგია — 22,2 მილარდ. კვტს.

მძიმე მრეწველობის ძირითადი დარგები ავსტრიაში ნაციონალიზებულია. მასზე მოდის ქვანახშირის ამოღების დაახლოებით 93%, ნავთობის — 95%, რკინის მადნეულის — 99%, თუჯის, სპილენძის, ტყვიის წარმოების — 100%, ფოლადის — 96%, ნაგლინის — 88%, ალუმინის — 74%. ნაციონალიზებულ დარგებს უკავია ქვეყნის საერთო სამრეწველო წარმოებაში 22%, საერთო ექსპორტში — 24%. ნაციონალიზებულ საწარმოებში დაკავებულია ქვეყნის მთელი მრეწველობის მუშებისა და მოსამსახურეთა 18%.

ნაციონალიზებულ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნებიან უდიდესი მეტალურგიული კომბინატი „ალპინე-მონტან“ ქ. დონავიციში (33 ათასი კაცი) და „ფესტი“ ქ. ლინცში (22 ათასი კაცი). ნაციონალიზებულ საწარმოთა წილი საბჭოთა კავშირსა და ავსტრიის შორის საქონელბრუნვაში შეადგენს დაახლოებით 50%-ს.

ავსტრიაში შედარებით დიდი ელექტროსადგურებია: იბსს — პერსენბოიგი მდ. დუნაიზე 192 ათასი კვტს სიმძლავრით (1,3 მილარდ. კვტს წელიწადში); გლიკნერ-კაპრუნი — 220 ათასი კვტს (650 მლნ კვტს წელიწადში); ჰიდროელექტროსადგურის ჩანჩქერი

მდ. ილზე ფორარლბერგში დაახლოებით 2 მილრდ. კვტს წლიური გამოშვებით და სხვ.

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საგარეო
აღმსრებელი
ბიუროს
გამოცემის
სახელით

ავსტრიის მრეწველობა მჭიდროდაა დაკავშირებული უცხოეთის კაპიტალთან და დამოკიდებულია დასავლეთის მონოპოლიებზე, პირველ რიგში დასავლეთ გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებზე. ავსტრიის სამრეწველო წარმოების დაახლოებით მეხუთედი ეკუთვნის უცხოეთის კაპიტალს ან მისი კონტროლის ქვეშაა. უცხოეთის კაპიტალის გავლენა მნიშვნელოვანია მაგნეზიტის, ცემენტის, ქალაღის, ელექტროტექნიკურ და ქიმიურ მრეწველობაში.

ამჟამად ავსტრიის სამრეწველო წარმოების მოცულობა დაახლოებით 4-ჯერ მეტია ომამდელ დონესთან შედარებით. ავსტრიაში ტელევიზიის ფართო ქსელია — არსებობს ტელეგადაცემის 86 პუნქტი.

ავსტრიის ტერიტორიაზე განლაგებულია 300-ზე მეტი დიდი და პატარა ტბა. ქვეყანაში არის 70-მდე სამკურნალო-დასასვენებელი ადგილი. მათ შორის აღსანიშნავია გასპახი (ზემო ავსტრიაში), ბად-გალაიხენბერგი (შტირიაში), ვარმბადი (კარინთიაში) და სხვ.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი. ავსტრიის რკინიგზის ხაზის სიგრძეა 5924 კმ, რომლის 70% ელექტრიფიცირებულია. ვენაში ყოველდღე შედის და გადის დაახლოებით 60 ექსპრესი და საბარგო მატარებელი. ავსტრია მის მეზობლებთან ასევე დაკავშირებულია საავტომობილო ხაზებით. ავსტრიაში გზატკეცილების სიგრძე შეადგენს 31460 კმ.

სავაჭრო დარგში დიდ როლს ასრულებს მდ. დუნაის სანაოსნო ტრანსპორტი. 1967 წელს მან 332 გემით გადაიტანა 6020434 ტ საქონელი და გადაიყვანა 500478 მგზავრი.

საჰაერო ხაზით ვენა დაკავშირებულია უცხოეთის 19 სახელმწიფოს 31 ქალაქთან. ვენა — შვეხატის აეროდრომი, ასევე დაკავშირებულია ქვეყნის შიგნით ავსტრიის მთავარ ქალაქებთან (ზალცბურგი, ინსბრუკი-კალემენფურტი, ლინცი, გრაცი). შვეხატის აეროდრომიდან ყოველდღე გადის 50—70 თვითმფრინავი, მათ შორის ტრანსატლანტიკურიც.

ავსტრიაში არსებობს სახელმწიფო, კომუნალური და კერძო პირთა საავტომობილო ტრანსპორტი. არის დაახლოებით ათასი ხაზი, რომელზედაც ავტობუსები დადიან განრიგით. მდ. დუნაისა და ყველა დიდ ტბაზე რეგულარულად მოძრაობენ გემები და მოტორიანი ნაეები, მთებში მუშაობს დაახლოებით 300 საბაგირო ხაზი

და სავარძლიანი ლიფტი, ხოლო სათხილამურო სეზონის პერიოდში, დამატებით 1100 სათხილამურო ლიფტი. ავსტრიაში გზები მოწესრიგებულია. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია „ევროპაბრიუკე“ — განიერი ავტოსტრადა, რომლითაც ავსტრია დაკავშირებულია ევროპის ქვეყნებთან.

სოფლის მეურნეობა. ავსტრიაში დასამუშავებლად ვარგისი მიწის ფართობი ცოტაა (ტერიტორიის მხოლოდ 21%). მას ამუშავებს 432 ათასი მეურნე. ძირითადად მიღწეულია სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, მექანიზაცია და ქიმიზაცია, ამიტომაც სოფლის მეურნეობა მეტად პროდუქტიულია.

1966 წელს სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა 206 ათასი ტრაქტორი, 346 ათასი ელექტრომობილი, 23 ათასი კომბაინი. ამჟამად სოფლის მეურნეობის პროდუქცია ფარავს ქვეყნის სასურსათო მოთხოვნილების 89%-ს, ხოლო ხორცი, რძით, რძის პროდუქტებით, კარტოფილითა და შაქრით ქვეყანა უზრუნველყოფს თავის თავს.

სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მეცხოველეობა, რომელზედაც მოდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთელი ღირებულების 70%. მსხვილფეხა საქონლის რიცხვი შეადგენს 2,5 მლნ (მათ შორის 1,9 მლნ მეწველი), ღორი — 2,9 მლნ და 4 მლნ კვერცხმდები ქათამი.

ავსტრიას უკავია მე-4 ადგილი ხე-ტყის მსოფლიო ვაჭრობაში, გააქვს რა წელიწადში 3,2 მლნ კუბ. მ. ხე-ტყე. 1,5 მლნ ავსტრიელი მუშაობს სოფლისა და სატყეო მეურნეობაში.

ავსტრიის სოფლის მეურნეობაში წვრილი გლეხური მეურნეობა (5 ჰექტარამდე) შეადგენს მთელი სოფლის მეურნეობის 42%-ს, მაგრამ მათზე მოდის დასამუშავებელი მიწის მხოლოდ 5%.

სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურებია: მარცვლეული, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი; განვითარებულია მევენახეობა და მებაღეობა. საშუალო მოსავალი 1966 წელს ცენტნერებში შეადგენდა: ხორბალი — 28,5 ჰეავი — 25,4; ქერი — 30, 8; შვრია — 25,8. ავსტრიას შემოაქვს მარცვლეული.

სავაჭრო ვაჭრობა. ავსტრიას სავაჭრო ურთიერთობა აქვს 100 ქვეყანასთან. ქვეყნის მთელი სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით 1/3 ექსპორტზე მიდის. მისი ექსპორტი ევროპის საერთო ბაზრის ქვეყნებთან შეადგენს 44,6%-ს, იმპორტი — 58,6%-ს; თავისუფალი ვაჭრობის ქვეყნებთან: ექსპორტი—18,7%; იმპორტი—15,5%. მესამე ადგილზეა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ვაჭ-

რობა: ექსპორტი — 15%, იმპორტი — 9%. დასავლეთ გერმანიის წილი 1965 წელს შეადგენდა იმპორტში — 41,8%-ს, ექსპორტში — 28,6%-ს. საბჭოთა კავშირის ხვედრითი წილი ავსტრიაში ქონებლბრუნვაში შეადგენს 3%-ს.

ავსტრიას გააქვს შავი მეტალურგიის ნაწარმი (რკინა, ფოლადი), მაგნეზიტი, ალუმინი, ხე-ტყის მასალა, ცელულოზა, ქაღალდი, ქიმიური ნაწარმი, მანქანები, ელექტროტექნიკური მოწყობილობა, ტექსტილი და სხვ.

ავსტრიას ძირითადად შემოაქვს: ქვანახშირი, კოქსი, ტრანსპორტის მოწყობილობა, ალუმინის პროდუქცია, რკინის მადნეული, მანგანუმისა და ქრომის მადნეული, მარცვლეული, ბამბა, მატყლი, მანქანები და მოწყობილობა, ავტომანქანები, ქიმიური მრეწველობის ნაწარმი და სხვ.

ავსტრიის საგარეო ვაჭრობა დეფიციტურია. 1966 წელს საერთო დეფიციტი შეადგენდა 16,8 მილრდ. შილინგს და იფარებოდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლით (15,6 მილრდ. შილინგი).

ავსტრია ტურიზმის ქვეყანაა. ზამთრობით ყველგან არსებობს საზამთრო სპორტული ბაზები, ხოლო ზაფხულობით ასზე მეტი კეთილმოწყობილი ტბა ემსახურება უცხოელ ტურისტებს. ზაფხულობით ტურისტული სეზონი იწყება მაისში და გრძელდება სექტემბერის ბოლომდე. ასევე დიდძალ უცხოელს იზიდავს ზალცბურგის, ვენისა და ბრეგენცის ფესტივალები. 1967 წელს 6 771 270 უცხოელმა ინახულა ავსტრია.

ფინანსები. ავსტრიის სახელმწიფო ბიუჯეტი 1967 წელს შეადგენდა: გასავალი — 78,6 მილრდ. შილინგი, შემოსავალი — 75,0 მილრდ. შილინგი; დეფიციტი — 3,6 მილრდ. შილინგი. 1966 წელს ბრუნვაში იყო 40,1 მილრდ. შილინგი; ოქროს მარაგი — 18,0 მილრდ. შილინგი, ვალუტისა და დევიზების მარაგი — 14,0 მილრდ. შილინგი. ავსტრიის შილინგის კურსი ასეთია: 100 შილინგი უდრის 3 მან. და 63 კაპ.

სამედიცინო მომსახურება. ავსტრიაში სამკურნალო საქმე ძირითადად კერძო პირთა ხელშია. საავადმყოფოების ნაწილი ეკუთვნის სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტებს. მკურნალობა ფასიანია. საავადმყოფოების საერთო რიცხვი შეადგენს 500, ექიმთა რიცხვი — 8500. ქალაქებში 200—400 მცხოვრებზე მოდის ერთი ექიმი. სოფლებში ექიმთა მხოლოდ 13% მუშაობს.

ექიმების მომზადება ხდება ვენის, გრაცისა და ინსბრუკის

უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტებზე, სადაც სტუდენტთა საერთო რიცხვი შეადგენს დაახლოებით 3800.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა. სახალხო განათლების სისტემაში შედის შემდეგი სახის სასწავლო დაწესებულებები: სახალხო (დაწყებითი) სკოლა 7—11 წლის ასაკის ბავშვებისათვის. იგი მოიცავს 4 კლასს. სახალხო სკოლაში სწავლა სავალდებულოა და უფასო.

11—14 წლის ასაკის ბავშვებისათვის არსებობს უმაღლესი დაწყებითი სკოლა, რომელიც მოიცავს 4 კლასს. ასეთი სკოლები არსებობს ქალაქებსა და დიდ დასახლებულ პუნქტებში. არის საშუალო სკოლის ორი სახე: გიმნაზია — 8 კლასიანი განათლებით და სეკეტრო სკოლა — ექვსწლიანი კურსით. საშუალო სკოლაში განათლება ფასიანია. არსებობს ასევე კერძო საშუალო სკოლები.

საშუალო სკოლაში შესასვლელად სახალხო სკოლაში ავრებულმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდები. დაწყებითი და სპეციალური სკოლების რაოდენობა შეადგენს 5245, მოსწავლეთა რიცხვი — 867 815; საშუალო სკოლების რიცხვი — 399, მოსწავლეთა რიცხვი — 132 209. ავსტრიაში არის 16 უნივერსიტეტი და უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობს 52 416 სტუდენტი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრიის სკოლებში რამდენადმე შეიზღუდა ეკლესიის უფლებები. მოსწავლისათვის უკვე აღარ არის სავალდებულო „საღვთო სჯულის“ გაკვეთილზე დასწრება. „საღვთო სჯულის“ მასწავლებლებს სახელმწიფო აღარ აძლევს ხელფასს. მაგრამ კათოლიკური ეკლესიის ინიციატივით ეს გაკვეთილები ყველა სკოლაში ტარდება. ყოველ უნივერსიტეტში არსებობს თეოლოგიის ფაკულტეტი. სასულიერო წოდებას აქვს კერძო სკოლებიც.

ავსტრიაში მუზეუმებისა და კოლექციების რიცხვი შეადგენს 663, კვლევითი ინსტიტუტებისა — 754, მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკების — 388, თეატრების — 18, კინოს — 1152. ვენის ეროვნული ბიბლიოთეკა დაარსდა 1526 წელს. მასში დაცულია 1 800 000 ტომი და 68 თასი ხელნაწერი.

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა. ავსტრიაში მეცნიერების განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა ვენის უნივერსიტეტმა, რომელიც შეიქმნა 1365 წელს. ის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტია დასავლეთ ევროპაში. უნივერსიტეტში შემდეგი ფაკულტეტებია: კათოლიკურ-თეოლოგიური, ევანგელურ-თეოლოგიური, სამართლისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა, სამედიცინო და ფილოლოგიური.

ვენის აკადემია გაიხსნა 1847 წელს — უფრო გვიან, ვიდრე ევროპის ქვეყნების სხვა აკადემიები, მის გახსნას ხელს უშლიდნენ კლერიკალური წრეები, რომლებიც მკიდროდ იყვნენ დაჯავშინებული პაბსბურგებთან.

ავსტრიის მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სლავი (ჩეხი, პოლონელი და სხვ.) ხალხების წარმომადგენლებმა. ავსტრიელმა მეცნიერებმა მსოფლიოში სახელი გაითქვეს: ატომური ენერჯის გამოყენების შესწავლის დარგში ლ. ვიტნერმა; ფიზიკაში — ლ. ბოლცმანმა, ჰ. დოპლერმა, ფ. ექსნერმა, ვ. ჰესმა, ე. შრედინგერმა; გეოლოგიის, სეისმოლოგიისა და დედამიწის მაგნეტიზმის შესწავლის დარგში — ე. ზიუსმა; მედიცინაში — ლ. აუნბროიუგერმა, ტ. ბილროტმა, ი. გირლმა, კ. პირკემ და სხვ.

ბევრმა ავსტრიელმა მეცნიერმა (მედიცინის, ქიმიის, ფიზიკის დარგებში) და მოღვაწემ მიიღო ნობელის პრემია (ვაგნერ-ჟორეგი, ერვინ შროდინგერი, ბერტა ზუტნერი, ალფრედ ფრიდი, იოზეფ რეცელი, პეტერ მიტერჰოფერი, იოზეფ მადერსბერგერი, ვიქტორ კაპლანი და სხვ.).

ვენაში სამი აკადემიაა: მუსიკალური და დარამატული, მუსიკალური და სახვითი ხელოვნების, გამოყენებითი ხელოვნების. ზალცბურგში მუშაობს მუსიკალური აკადემია — „მოცარტეუმი“, რომელიც იძლევა დიპლომს ან სიმწიფის ატესტატს. გრაცში არის მუსიკალური და სახვითი ხელოვნების აკადემია.

ავსტრიაში მრავალი სასწავლებელი და ტექნიკუმი: პედაგოგიური (სამასწავლებლო), რესტორნებისა და სასტუმროების მუშაკებისათვის, სავაჭრო, სააგრონომო, მჭერმეტყველობის და სხვ. ლინცში არის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სასწავლებელი.

ლიტერატურა. ავსტრიული ლიტერატურა დასაბამს იღებს XIII საუკუნიდან. ამ დროის პოეტური ძეგლებიდან აღსანიშნავია ეპოსი „სიმღერა ნიბელუნგებზე“. ასევე აღსანიშნავია სასახლის ფეოდალური ლირიკის წარმომადგენლის ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდეს (1170—1230) შემოქმედება, რომლის პოეზია ატარებს ფოლკლორის გავლენას. პოეტი ჰენრიხ ტაიხნერი თავის ნაწარმოებებში დასცინის ჯვაროსნულ ლაშქრობებს, რაინდულ „ქალის კულტს“ და სხვ.

XV—XVI სს. ავსტრიის ლიტერატურა განიცდიდა იტალიური ალორძინების გავლენას. ავსტრიის რენესანსის ცნობილი წარმომად-

გენელია კონრად ცელტესი (1459—1508). რენესანსის ეპოქაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ვენის თეატრი (დაარსდა 1776 წ.). სადაც იდგმებოდა პლავტუსის, ტერენციუსის, სენეკას დრამატული ნაწარმოებები.

XVIII ს. პირველ ნახევარში ავსტრიის რეალისტური სახალხო თეატრის გავლენა ჩანს იოსებ ანტონ სტრანიცკის (1676—1726) შემოქმედებაში. 1724 წელს გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „ვინერ ცაიტუნგ“-მა, იუმორისტულმა ფურცელმა „შპაცფოგელ“-მა და სხვ. XIX ს. რომანტიკოსებიდან აღსანიშნავია ფ. გრილპარცერი, ცედლიცი, ნ. ლენაუ, ფ. გალმი, კ. ბეკი, ფ. რაიმუნდი, შტიფერი, ნესტროი და სხვ.

იმპერიალიზმის ეპოქაში მოდერნიზმისა და დეკადენტიზმის წარმომადგენლები იყვნენ: გ. ბარი, პ. ალტენბერგი, პ. ფონ ჰოფმანშტალი, ა. შნიცლერი, რილკე მიუზილი, კაფკა, ვერფელი, ვილდჰანსი და სხვ.

თავიანთ შემოქმედებაში მუშათა კლასის ინტერესებს გამოხატავდნენ ა. პეტკოლდი, თ. კრამერი, ფ. ბრიუგელი (იგი ფაშისტებმა წაშებით მოკლეს 1942 წელს), პოეტი ი. ზოიფერი.

სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა. ავსტრიის ისტორიულ ძეგლთა შორის აღსანიშნავია გურკის საყდარი ფრესკებით (1251—1279) ვენაში, წმ. ვოლფგანგის საკურთხეველი (1481 წ.) ზემო ავსტრიაში, „სახლი ოქროს სახურავით“ (XV ს.) ინსბრუკში, „წითელი სახლი“ (1634 წ.) დონბირნში, მელკის ბაროკოს სტილზე აგებული მონასტერი ზემო ავსტრიაში. ამ მონასტრის ბიბლიოთეკა განთქმულია იშვიათი წიგნებით.

ხელოვნების შესანიშნავი ძეგლებითა და მშვენიერი არქიტექტურული ნაგებობებით გამოირჩევა ვენა. აქ ყველაზე უფრო ყურადღებას იპყრობს თავისი სიძველითა და სილამაზით. წმ. სტეფანეს გოთურ სტილზე აგებული საყდარი („სტეფან კირხე“), რომლის შენება დაიწყო 1147 წელს.

ავსტრიის არქიტექტურის ოქროს ხანად თვლიან ბაროკოს ეპოქას, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ავსტრიის ხელოვნების ისტორიაში. განსაკუთრებით სახელი გაითქვა არქიტექტორმა ი. ფ. ფიშერ ფონ ერლახმა (1656—1723). მისი აგებულია სასახლეები: შვარცენბერგი, ტრაუტიზონი, შენბრუნი (მისი აგება დაიწყო 1696 წ., შემდგომში, 1744—1749 წწ., გადააკეთა ნიკოლა პაკასიმ), კარლ ბრომეის ეკლესია, უფლისწული ევგენის სასახლე და ამ სა-

სახლის ბიბლიოთეკა. ვენის მუზეუმი და სურათების გალერეა, ^{ერო-}ერთი უმდიდრესია მთელს მსოფლიოში.

ვენა ცნობილი ულამაზესი ქალაქია. იგი ოდესღაც პირველობას ედავებოდა პარიზს. ვენაში ბევრი შენობა, მოედანი, ქუჩა და პარკი იპყრობს ყურადღებას. მაგრამ უცხოელი მაინც პირველ რიგში ათვალეირებს შენბრუნის სასახლეს, მის შესანიშნავ პარკს, გოთურ სტილზე აგებულ, შესანიშნავ თაღებთან საყდარს — „შტუვან კირხეს“. მიემგზავრებით რა ვენის ტყისკენ, ადიხართ კელენბერგის გორაკზე და თქვენს წინ გადაიშლება მთელი ვენა. დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს პაბსბურგების ზამთრის რეზიდენცია — ჰოფბურგის სასახლე, მისი უნიკალური ძვირფასეულობით. საინტერესოა ასევე ძველი „ისტორიული“ ვენა და „ესპანური“ სკოლის ე. წ. „თეთრი ცხენოსნები“.

მეორე არქიტექტორის — ლ. ჰილდებრანდტის (1668 — 1745) შემოქმედებას ეკუთვნის ბელვედერის პარკის სასახლეები. ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ მხატვრები დანიელ გრანი, პაველ ტროგერი, მარტონ იოჰან შმიდტი, ფრანც ანტონ მაულპერტში და სკულპტორი გ. რ. დონერი.

დეკორატიული სკულპტურის დარგში სახელი გაითქვეს ლორენცო მატიელიმ (1685—1748) და რაფაელ დონერმა (1693—1741). სკულპტურული პორტრეტები შექმნეს ფრ. მესერშმიდტმა (1732—1853). ავსტრიის თანამედროვე არქიტექტურა იმყოფება ორი პიროვნების — ოტო ვაგნერისა და ადოლფ ლოოსის გაელენის ქვეშ.

მ უ ს ი კ ა. ავსტრია მდიდარია მუსიკოსებით. ვენას უწოდებენ მსოფლიო მუსიკის დედაქალაქს. ავსტრიის მუსიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სლავებმა (ჩეხებმა, ხორვატებმა, სერბებმა და სხვ.), უნგრელებმა და იტალიელებმა. XVII—XVIII სს. ვენაში მოღვაწეობდნენ იტალიური სკოლის წარმომადგენლები მ. ა. ჩესტი, დ. ბ. ბონორჩიკი, ფ. კონტი, ა. სალერი და სხვ. XVIII ს. მეორე ნახევარში შეიქმნა „ვენის კლასიკოსთა“ სკოლა: გლიუკი, ჰაიდნი, მოცარტი, ბეთოვენი (წარმოშობით ბონიდან, მაგრამ მთელი თავისი სიცოცხლე ვენაში გაატარა), შუბერტი, ბრამსი, ბრუკნერი, იოჰან შტრაუსი. ასევე შემდგომი თაობა: პიუგო ვოლფი, გუსტავ მაჰლერი, რიხარდ შტრაუსი, არნოლდ შონბერგი, ალბან ბერგი, ანტონ ვებერნი.

პოპულარული მსუბუქი მუსიკის დარგში სახელი გაითქვეს ი. ლანერმა, ი. შტრაუსმა (მამამ) და ი. შტრაუსმა (შვილმა).



ვენის საოპერეტო ხელოვნების დარგში ცნობილი არიან:
 ფ. ზუბე, ფ. მილიოკერი, კ. ცელერი; ვენაში მოღვაწე უნგრელი
 კომპოზიტორები: ფ. ლეგარი, ლ. ფალი, ე. კალმანი.

ვენის ოპერა ეკუთვნის მსოფლიოს ცნობილ ოპერათა რიცხვს.
 განთქმულია ვენის ფილარმონიისა და ვენის სიმფონიური ორკესტ-
 რები, ვენის ვაჟ მომღერალთა გუნდი, ვენის მუსიკალური სასწავ-
 ლებელი.

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

საქართველოში ვენის ოპერის შესახებ

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

საქართველო-ავსტრიის ურთიერთობის ისტორიიდან

1. საქართველო-ავსტრიის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა

საქართველო-ავსტრიის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ძველ გერმანულ დოკუმენტებში, მწერლებისა და სწავლულთა ნაწერებში, თარგმანებში ხშირად გვხვდება სიტყვები: „გეორგიენ“, „გეორგიერ“, „გეორგიშ“. საქართველოსა და ქართველის გამომხატველი რუსიფიცირებული ტერმინები „გრუზიენ“, „გრუზინიერ“, „გრუზინიშ“ ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესაში¹.

საერთოდ სიტყვა „კავკასია“ გერმანულ ლიტერატურაში გვხვდება XIII საუკუნიდან, ხოლო შემდგომში უკვე მოიხსენიება „ქართველი“, „საქართველო“ და ა. შ.

ცნობილმა გერმანელმა ანდრეას გრიფიუსმა 1646 წელს დაწერა ტრაგედია „ეკატერინე ქართველი ანუ ნაცადი სიმტიციე“². აგტორმა ამ ტრაგედიას საფუძვლად დაუდო ქართველი დედოფლის

¹ ამასთან დაკავშირებით, 1968 წელს, როდესაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეები ტარდებოდა, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ვიგოშვილმა და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა სპეციალური წერილით მიმართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრს კ. ვიზის და სთხოვეს მიეჭია ყურადღება, რათა საქართველოსა და ქართველის მიმართ გერმანული ტერმინების ხმარების დროს გამოყენებინათ ის სიტყვები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იხმარებოდა საქართველოსა და ქართველის მიმართ გერმანულ დოკუმენტებსა და ლიტერატურაში. წერილმა თავის მიზანს მიაღწია.

ტერმინების: „საქართველოსა“ და „ქართველის“ შესახებ. იხ. ნ. კ ა კ ა ბ ა ძ ე, კავკასია ძველ გერმანულ ლიტერატურაში, „მნათობი“, 1959, № 9.

² Andreas Gryphius, Catherina von Gorgien oder Bewährte Beständigkeit, Stuttgart, 1887.



ქეთევანის ცხოვრება, რომელიც 1624 წელს შაჰის ბრძანებით ირანში წამებით მოკლეს³.

ქართველი მეფეები — ვახტანგ VI და ერეკლე II, ცდილობდნენ კონტაქტი დაემყარებინათ ავსტრიის იმპერატორებთან კარლოს VI-სა და იოსებ II-სთან⁴.

ავსტრიაში საგანგებოდ სწავლობდნენ კავკასიის ხალხების ენებსა და ლიტერატურას, კერძოდ, ქართულ და სომხურ ენებს, ამ ხალხების ლიტერატურასა და ისტორიას. სწორედ ერთ-ერთ ავსტრიელ სწავლულს, ვენის უნივერსიტეტის პროფესორს — ფრანც კარლ ალტერს, ეკუთვნის ძველი ქართული მწერლობის პირველი მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც ვენაში 1798 წელს გამოვიდა⁵.

ქართული კულტურის შესწავლისა და საზღვარგარეთ მისი პროპაგანდის საქმეში ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ავსტრიელი მწერლები, ცოლ-ქმარი ბერტა და არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერები, რომლებიც 1876—1885 წწ. საქართველოში ცხოვრობდნენ.

ფელდმარშალ გრაფ კინსკის ქალიშვილი ბერტა კინსკი ოცნებობდა რუსეთში გამგზავრებაზე. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა რუს და ქართველ არისტოკრატებს შორის. ჯერ კიდევ 1864 წელს ბერტამ ბადჰომბურგში გაიცნო სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა. შემდგომში ბერტა პარიზში ხედებოდა მას, სადაც შვილების აღზრდის მიზნით 1861—1868 წწ. ცხოვრობდა სამეგრელოს დაქვრივებული დედოფალი ეკატერინე. სილამაზით განთქმული ბერტა წარმატებით სარგებლობდა პარიზში. იგი დაუახლოვდა ეკატერინეს ოჯახს, რომელიც პატივისცემითა და ყურადღებით სარგებლობდა ნაპოლეონ III კარზე და ვერსალის სასახლეში ცხოვრობდა. ამ დროს ეკატერინეს ასული — სალომე დადიანი დაქორწინდა აშვილ მიურატზე.

პარიზში ბერტას ყურადღება მიიქცევს ერეკლე II შვილიშვილმა ირაკლი ბაგრატიონმა და სამეგრელოს მთავრის ძემ ნიკოლოზ დადიანმა (მინგრელსკიმ)⁶. სამეგრელოს დედოფალმა გორდის სასახ-

³ იხ. ი. ტაბაღულა, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, „მაცნე“, ისტ. სერია, 1974, № 1.

⁴ იხ. ი. ტაბაღულა, ქართლის ჰირსა ვერვინ მოსთვლის (ერეკლე მეორის ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან). ვაზ. „კომუნისტი“, 1971, 30 ივლისი.

⁵ Über Georgianische Litteratur von Franz Carl Alter, Wien, 1798.

⁶ იხ. სოლ. ცაიშვილი, ორი ავსტრიელი მწერალი საქართველოს შესახებ, „მნათობი“, 1957, № 7, გვ. 151—158.

ლემი მიიწვია ბერტა, რაც სიამოვნებით მიიღო ამ უკანასკნელმა. ბერტამ ამერიიდან დაიწყო საქართველოს შესწავლა. იგი, გაეცნო ალ. დიუმას ნაწარმოებს — „კავკასიას“. მოგვიანებით თავის რომანში „ოცდათი და ორმოცი“ ასახა საქართველოში თავისი ცხოვრების ეპიზოდები. საქართველოში ჩამოსვლამდე მას ქართველ თავადებთან მიმოწერა ჰქონდა⁷.

გრაფი კინსკის ოჯახის გალარიების შემდეგ ბერტა აღმზრდელად დადგა ბარონ ფონ ზუტნერის ოჯახში, სადაც იგი გაეცნო ბარონის ვაჟიშვილს — არტურ ფონ ზუტნერს. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. 25 წლის არტურმა (1850—1902) გადაწყვიტა ბერტაზე დაქორწინება. მშობლები წინააღმდეგნი იყვნენ, ამიტომ ქორწინება მოხდა ფარულად.

ბერტა და არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერები პარიზში გაემგზავრნენ. იქ ისინი დაუბეგობრდნენ ნიკოლოზ დავითის ძე დადიან-მინგრელსკის, რომელიც თავისი მეუღლით — მარიამ აღლერბერგით, იმყამად იქ იყო.

1876 წლის ივნისში ცოლ-ქმარი ზუტნერები ნიკო დადიან-მინგრელსკისა და მის მეუღლესთან ერთად, ეკატერინე დედოფლის მიწვევით, პარიზიდან „იაზონსოფელში“ გაემგზავრნენ. „ჩვენ მაშინ ვფიქრობდით, — იგონებდა შემდგომში ბერტა, — საქართველოდან ოქროს საწმისს ჩამოვიტანდით“.

ოდესიდან ფოთამდე მათ გემით იმგზავრეს. ფოთში მათ დახვდა ეკატერინე დედოფლის მიერ შესახვედრად გაგზავნილი „კაცი გრძელი ხიფთანიო, თავზე ყაბალახით და ქამარზე ჩამოკიდებული ხანჯლით“. ფოთში მათ ღამე „ნაკლებად კომფორტაბელურ“ სასტუმროში გაუტარებიათ. სამაგიეროდ, ქუთაისში მათ დიდი შეხვედრა და სუფრა გაუმართეს: სვამდნენ მაგარ კახურ ღვინოს ყანწებით, მასპინძლები ლეკურს ცეკვავდნენ; არტურმაც იცეკვა ავსტრიული ვალსი, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ აღფრთოვანებით მიიღო და მასთან ერთად მოხდენილად იცეკვა იგი, წერდა შემდგომში ბერტა თავის მოგონებებში.

ქუთაისიდან ისინი ცხენებით გაემგზავრნენ სამეგრელოს დედოფლისაკენ გორდში, სადაც გაატარეს პირველი ზაფხული. მათ ზუგდიდში საერთოდ ხუთი წელი დაჰყვეს. არტური ამ დროს ნიკო დადიან-მინგრელსკის მამულების მმართველი იყო და კარგად

⁷ ob. Mitteilungsblatt der Fachsektionen, Der Österreichisch-Sowjetischen Gesellschaft, Wien, im Oktober 1962, № 74, S. 8.

გაეცნო საქართველოს ამ მხარეს. ისინი სარგებლობდნენ დადგინების მდიდარი ბიბლიოთეკით.

რამდენადაც ეკატერინე დედოფალი ხშირად უცხოეთში იყო, ბერტას და არტურს თვითონ უხდებოდათ თავიანთ თავზე ზრუნვა. ამაში მათ შეელოდათ ცნებისა (გერმანული, ფრანგული) და მუსიკის კერძო გაკვეთილები, რითაც ბერტა იყო დაკავებული. გარდა ამისა, რუსეთ-თურქეთის ომის დროს არტური წერდა სტატიებს ავსტრიულ გაზეთ „ნოიე ფრაიე პრესე“-სათვის. პირველი წერილები-სათვის ჰონორარიც მიიღო, მაგრამ შემდგომში სტატიების დაბეჭდვაზე ავსტრიიდან უარი შემოუთვალეს, ვინაიდან მისი წერილები რუსოფილურ ხასიათს ატარებდა.

1879 წლის მაისში ზუგდიდიდან არტურ ფონ ზუტნერი ვენაში ერთ-ერთ რედაქციას სწერდა: „ვითვალისწინებ რა თქვენი გაზეთის — „გარტენლაუბეს“ მოთხოვნებს, ჩემს თავს ნებას ვაძლევ გაგიწიოთ შესაფერისი სამსახური. აი, უკვე რამდენიმე წელია კავკასიაში ვცხოვრობ და ჩემს შთაბეჭდილებებს ვუზიარებ სხვადასხვა გაზეთებს, როგორცაა „ლაიპციგერ ილუსტრირტე“, „ომნიბუს“, „ვინერ ლანდვირტშაფტილიჰერ ცაიტუნგ“. ამ გაზეთებში სტატიებს ეაქვეყნებ ფსევდონიმით — მ. ა. ლერაი. გოგზავნით ჩემს ანკეტას და ისეთ სტატიებს, რომლებსაც თქვენი რედაქცია მოითხოვს. სამეგრელო და იმერეთი, ეს ის ორი ქვეყანაა, რომლებიც საკუთარი დაკვირვებებით ღრმად შევისწავლე...“⁸

არტურ ზუტნერის მიერ გაგზავნილ ანკეტაში კი ვკითხულობთ: „არტურ გუნდაკარ ბარონ ფონ ზუტნერი. რომანისტი, ნოველისტი. დაიბადა 1850 წლის 21 თებერვალს ვენაში“. ანკეტის შეესვების თარიღი და ადგილი: „ზუგდიდი (კავკასია), 1879 წლის 13 მაისი“⁹

ზუგდიდში ისინი ერთ პატარა სახლში ცხოვრობდნენ. ამის შესახებ შემდგომში ბერტა წერდა: „ეს იყო მდიდრული ცხოვრება, რამდენადაც ჩვენ გვექონდა პატარა გლეხური სახლი, ცენტრიდან მოშორებით ისე, რომ ღამით ზოგჯერ ტურების ჩახვილი გვესმოდა... მდიდრული, თუმცა ჩვენი შემოსავალი მინიმალური იყო“.

ზუგდიდიდან სამშობლოში გამომცემლობებსა და გაზეთებს ისინი სხვადასხვა ფსევდონიმით უგზავნიდნენ სტატიებსა და წიგ-

⁸ Wien, Stadtbibliothek. Suttner, S. 255, № 83409, Kaukasus, Zugdidi am I (13), V, 1879.

⁹ Wien, Stadtbibliothek, Suttner, E. F. v. R. Autogr. Saml. Lit. G. № 1426.

ნებს. აცნობდნენ ევროპელ მკითხველებს ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს. მათვე მიაწოდეს პირველი ცნობები თანამემამულეებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

1882 წელს სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე გარდაიცვალა. ზუტენერები საცხოვრებლად თბილისში გადავიდნენ, სადაც ისინი უკეთეს პირობებში ცხოვრობდნენ ახლანდელი კამოსა და სამოსწავლო ქუჩების კუთხის სახლში. არტური მუშაობდა ბერნესტის ავეჯის ქარხანაში მხატვარ-გამფორმებლად და დაბეჭდილებით აგრძელებდა რუსული და ქართული ენების შესწავლას. ბერტა ასწავლიდა გერმანულ და ფრანგულ ენებსა და მუსიკას. ამავე დროს ისინი ეცნობოდნენ ქართულ ლიტერატურას, კონტაქტი ჰქონდათ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან.

ცნობილია, რომ 1881 წელს იონა მეუნარგიამ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი შეასრულა. მას ზუტენერები თავის სოფელში — ცაიშში წაუყვანია, რათა იქ ერთად ემუშავათ აღნიშნულ თარგმანზე.

ცოლ-ქმარი ზუტენერები ცაიშში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ 1884 წლის დეკემბრიდან 1885 წლის მარტამდე. რედაქციას უკეთებდნენ რა იონას მიერ შესრულებულ ფრანგულ თარგმანს, ამავე დროს ისინი „ვეფხისტყაოსანს“ თეთრ ლექსად თარგმნიდნენ გერმანულ ენაზე.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანს“ პირველად ისინი ფრანგული თარგმანით გაეცნენ¹⁰. პოემით აღფრთოვანებული ბერტა შემდგომში წერდა: „იმ შორეულ მხარეში ჩვენს წინაშე გადაიშალა მივიწყებული სამყარო, სამყარო XIII საუკუნისა“¹¹. არტურ ზუტენერმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა „ვეფხისტყაოსანს“.

1884 წელს „დროებაში“ (№ 258) გამოქვეყნდა მისი წერილი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, სადაც იგი შოთა რუსთაველს გენიოსს უწოდებდა.

ამ დროისათვის ცოლ-ქმარი ზუტენერები, როგორც მწერლები, ევროპაში ცნობილი გახდნენ. ისინი ვენაში მიიწვიეს. 1885 წელს პრაღაში გარდაიცვალა ბერტას მამა — ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ფელდშარშალი გრაფი კინსკი. იმავე წლის მაისში ზუტენერები სამშობლოში დაბრუნდნენ. ბერტა წერდა: „დანადგლიანებულნი

¹⁰ «...als sie den Urtext über das Französische kennenlernten».

¹¹ «Es öffnete sich uns eine ganz verschollene Welt, die Welt des 13. Jahrhunderts in diesem entfernten Erdenwinkel...»

დავემშვიდობეთ კავკასიას. ჩვენ შევიყვარეთ ლამაზი, შესანიშნავი ქვეყანა და უხალისოდ ვტოვებდით მას“.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ცოლ-ქმარი ზუტნერები თავიანთ ნაწარმოებებში დეტალურად მოუთხრობდნენ ევროპელ მკითხველებს „პატარა, მაგრამ ლამაზ ქვეყანაზე“, ქართულ ზნე-ჩვეულებებზე, ადათ-წესებზე, სიმღერებსა და ცეკვებზე, ქვეყნის მომხიბლავ ბუნებაზე. მათს ბელეტრისტულ, პუბლიცისტურ, კრიტიკულ და ისტორიულ ნაწარმოებებში ნაჩვენებია XIX ს. 80-იანი წლების საქართველოს, კერძოდ სამეგრელოს, ცხოვრება, ქალაქების — თბილისის, ქუთაისისა და ზუგდიდის იმდროინდელი ყოფის სურათები, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები და სხვ.

განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა არტურ ზუტნერი. მან რამდენიმე რომანი („დარეჯანი“, „აზნაური“, „ჩერქეზები“, „შამილი“ და სხვ.) და მოთხრობა მიუძღვნა საქართველოს.

ბერტა ზუტნერი თავის მოგონებებში მეტად დაწვრილებით და თბილი სიტყვებით აღწერს საქართველოში თავის ცხოვრებას, მეგობრებთან ურთიერთობას. თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და გორდში დაიწერა მათი პირველი სტატიები და წიგნები, შედგა შემდგომში დასაწერი სტატიებისა და წიგნების გეგმები.

1883 წლის 11 ივნისს არტურ ფონ ზუტნერი თბილისიდან ვენაში ატყობინებდა: „თქვენი მისამართით ვაგზავნი ერთ ხელნაწერს, პატარა აღწერილობას აქაური ადათ-წესებისა და ახლანდელ ყოფაზე. მისი სათაურია: „ბატონი აბელ ტერ-აკანიანცი და მისი მილიონები“. თუ ამ მცირედ ნაშრომს თქვენი ყურნალი შესაფერისად ჩასთვლის, მაშინ მე თქვენგან დიდად პატივნაცემი დავრჩები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეგობრულად გთხოვთ, იგი უკანვე დამიბრუნოთ“¹².

იმავე წლის 18/30 ოქტომბრის თარიღით დაწერილ წერილში იმავე რედაქციას სთხოვს პასუხს შემოხსენებული სტატიის თაობაზე¹³. 22 ოქტომბრის წერილში არტურ ზუტნერი მადლობას უხდის ჟურნალის („აუფ დერ პოე“) რედაქციას პასუხისათვის და უპონორაროდ სთავაზობს ჟურნალში თანამშრომლობას¹⁴.

1884 წლის 12/24 აგვისტოს ა. ზუტნერი იმავე ჟურნალის რედაქციას სწერს: „გამოგიგზავნეთ ხელნაწერი „გერმანელი მეცნიერი

¹² Wien, Stadtbibliothek; Suttner, № 48202, Tiflis am 11 juni 1883.

¹³ Ibid., № 48203, Tiflis, Quai Woronzoff 46, 18/30 october 1883.

¹⁴ Ibid., № 48204, Tiflis, Quai Woronzoff 46, 22 October/4 November 1883.

კავკასიაში“, სადაც ლაპარაკია ფრიდრიხ ბაიერზე. ეს სტატია გერმანელი ხალხის ინტერესს გამოიწვევს (საფრანგეთში ეს კაცი ცნობილია...). მოუთმენლად ველი პასუხს ჩემს წერილებზე, თუ მათ თქვენამდე მიადღწიეს“¹⁵.

1885 წლის 4 თებერვალს ვენის ერთ-ერთ გამომცემლობას ა. ზუტნერი სწერდა: „ვბედავ და თქვენს გამომცემლობას ვთავაზობ ჩემს რომანს „ცუდი ადამიანი“, რომელიც გამოქვეყნდა 1884 წელს „ნოიე ილუსტრირტენ ცაიტუნგის“ 39-ე და შემდგომ ნომრებში. ეს დაახლოებით 300 გვერდიანი ნაწარმოებია, ... შემდგომისთვის კი შემოგთავაზებთ ჩემს რომანს „მაღალი ცხოვრება“, რომელსაც დიდი ქება შეასხა ვენის „პრესეს“ რედაქციამ. მისი გამოცემა დაიწყება ზოლას „ჟერმინალის“ დამთავრების შემდეგ... ჩემი პირობა იქნება ჰონორარის წინასწარი გადახდა. ჰონორარის ოდენობის დადგენა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოლაპარაკების შედეგად მოხდება“¹⁶...

იმავე წლის 6 თებერვალს გაგზავნილ წერილში ა. ზუტნერი წერდა: „დარეჯანის“ გამოცემის გამო გამომცემლობასთან მოლაპარაკება მიმდინარეობს და ვიმედოვნებ, რომ ეს საქმე უახლოეს დროში გადაწყდება.

ფრანგული თარგმანი დიდი ხანია დავამთავრე, მაგრამ ბედმა დღემდე ვერ გამიღიმა: მაღამ ადამმა მიპასუხა, რომ მას გამომცემლობაში ჰყოლია ვიღაც მთარგმნელი რუსეთიდან: „რევიუ დე დო მონდ“-ისა და „გოლუა“-ს გამომცემლები არაფერს მაცნობებენ. ახლა „ფიგარო“-ში ვცდი ბედს და თანაც პირველ თავს გავუგზავნი, მაგრამ იმედი ცოტა მაქვს.

თქვენ მიმითითეთ „ტან“-ზე, რომ მოველაპარაკო. ამასაც მოესინჯავ. იქნებ უკეთესი ყოფილიყო, რომ „ტან“-თან თქვენ გამიწიოთ შუამდგომლობა, ვიდრე მე თვითონ უცნობი კაცი კავკასიიდან. ამას უფრო აჯობებდა გამომცემელ კალმა ლევისთან გამიწვედეთ შუამდგომლობას. სტატია „ორი ქვეყნიდან“ თქვენი გაზეთისათვის შეუფერებელი იყო და კარგი ჰქენით, რომ არ დაბეჭდეთ. სტატიები — „ბაიერნი“ და „ლ'ინოსენტი“, ორივე მე დაწვერე (ეს უკანასკნელი ჩემს მეუღლეს ეკუთვნის), შეგიძლიათ დაბეჭდოთ. მე კმაყოფილი ვიქნები, თუ მცირედ წვლილს შევიტან ქურნალ „აუფ დერ პოე“-ში. ვიმედოვნებ, რომ თქვენს ქურნალს დიდი მომავალი აქვს. გერმანია ძილის მდგომარეობიდან გამოდის. „ოჯა-

¹⁵ Ibid., № 48205, Tiflis, 12/24 August 1884.

¹⁶ Ibid., № 8340, Tiflis, Quai Woronzoff 46, 4. 11. 1885.

ხური ამბებდაცა, მიტქმა-მოტქმისაგან“ თავისუფლდება და რად-
გან ჟურნალი „აუფ დერ ჰოე“ პირველი ჟურნალია, რომელმაც ეს
უღელი შეარყია, ნამდვილად მოსალოდნელია, რომ ხელმძღვანე-
ლობასაც ეს ჟურნალი აიღებს.

გახოვთ პირველად „ბაიერნ“ დაბეჭდოთ. მოხუცი მეცნიერის
არქეოლოგიური გათხრები კავკასიაში გამოქვეყნდება ვირხოვის გა-
მოცემაში ბერლინში¹⁷.

1889 წლის 1 სექტემბერს უკვე ვენაში მყოფი არტურ ზუტნე-
რი თავის მეგობარს მადლობას უხდის „დარეჯანისათვის“ გაკეთე-
ბულ რეცენზიაზე და დასძენს: „მომავალში, რა თქმა უნდა, არ და-
ვივიწყებ, რომ „აუფ დერ ჰოე“ თავშესაფარია ყველა იმათთვის,
ვინც ისე წერს, როგორც მისი გული შეიგრძნობს. „დარეჯანი“ რომ
თავის აღდგომას ზეიმობს, ამაში მხოლოდ თქვენი დამსახურე-
ბაა, თქვენი მადლია“¹⁸.

1891 წელს „ივერიამ“ (№ 25) აცნობა თავის მკითხველებს,
რომ დრეზდენში გერმანულ ენაზე გამოვიდა არტურ ფონ ზუტნე-
რის წიგნი „ძენი კავკასიისანი“, სადაც შევიდა მისი ხუთი მოთხრო-
ბა: „ჩემი მეზობელი გუჯა“, „მეზობლები“, „ბატონ გრიგოლი“, „სა-
წყალი ვარდი“, „ქეთევანი“ და „მარგალიტა“.

ბერტა ზუტნერიც აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ
საქმიანობაში. იგი ენერგიულად გამოდიოდა შეიარაღებისა და ომის
წინააღმდეგ. მისი რომანი „ძირს იარაღი“ დაიწერა მაშინ, როცა
იმპერიალისტური გერმანია ეწეოდა გამალებულ შეიარაღებას და
აშკარად ემზადებოდა მსოფლიოს ხელახლა გაყოფისათვის. ბერტა
ზუტნერის ეს რომანი მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა. მწერა-
ლი ქალი ასევე აქტიურად გამოდიოდა მრავალრიცხოვან მიტინგებ-
ზე და ამხელდა ომის გამჩალებლებს, შეიარაღების გაზრდის მომხ-
რეებს. იგი ასეთი მებრძოლი დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ დღე-
მდე. ამ ბრძოლისათვის მან მიიღო ნობელის პრემია. 1902 წ. ბერ-
ტა ზუტნერი დაქვრივდა, ხოლო თვითონ გარდაიცვალა პირველი
მსოფლიო იმპერიალისტური ომის გაჩაღების წინ—1914 წლის ივ-
ლისში.

ქართული გაზეთები „სახალხო გაზეთი“, „იმერეთი“, „თემი“ და
სხვ. ფართოდ გამოეხმაურა მის გარდაცვალებას. ეს გაზეთები წერ-
დნენ ბერტა და არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერების მოღვაწეობა-
ზე საქართველოში და მის გარეთ.

ვენაში არსებობს ზუტნერის საზოგადოება. ეს არის ერთ-ერთი

¹⁷ Wien, Stadtbibliothek, Suttner, № 48207, Tiflis, am 6/18 Feb. 1885.

¹⁸ იქვე.

უძველესი საზოგადოება, რომელიც ატარებს მისი დამაარსებლის — ბერტა ზუტნერის სახელს და იბრძვის მშვიდობისათვის, ომისა და შეიარაღების წინააღმდეგ. იგი დიდ დევნას განიცდიდა ავსტრიაში ფაშიზმის ბატონობის პერიოდში. ამ საზოგადოების გენერალური მდივანია ავსტრიელი პროფესორი ერნესტ იოზეფ გიორლიხი. საზოგადოება აქვეყნებს ბიულეტენს — „კამფ დემ კრიიგ“. ჩვენ ვეწვეით ამ საზოგადოებას, გავეცანით მის მოღვაწეობას და ვესაუბრეთ მის ხელმძღვანელებს.

საინტერესო მასალები აღმოჩნდა ბერტა და არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერების პირად არქივში, რომელიც ინახება ვენის საქალაქო ბიბლიოთეკაში¹⁹. ძირითადად ეს არის მათი პირადი წერილები. ჩვენ წამოვიღეთ ზოგიერთი მათგანის ფოტოკოპირი. მის ერთ ნაწილზე უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი.

საქართველო-ავსტრიის კულტურული ურთიერთობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმ ქართველებმაც, რომლებიც სხვადასხვა დროს ავსტრიაში სწავლობდნენ, მოღვაწეობდნენ, ან იქ საგასტროლოდ ჩადიოდნენ. მაგალითად, 1876 წელს მიხეილ ბეთანელის მეთაურობით მომღერალ-მოცეკვავეთა ჯგუფი საგასტროლოდ იყო ვენაში²⁰. უფრო გვიან მომღერალი კლარა გურამიშვილი (1866—1956) ვენის კონსერვატორიაში პროფესორ იოჰან ფუქსთან სწავლობდა²¹.

ქართული კულტურის პოპულარიზაციას ავსტრიაში, პოლონეთსა და გერმანიაში ეწეოდა ქართველი ხალხის მეგობარი არტურ ლაისტი. იგი საქართველოში რამდენიმე ხნით ნამყოფი გერმანელი პოეტი-მოგზაურის ფრიდრიხ ბოდენშტედტის შთაგონებით ქართული ენის შესწავლის მიზნით 1884 წელს ჩამოვიდა საქართველოში.

არტურ ლაისტი ჩამოსვლისთანავე დაუკავშირდა ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ი. მაჩაბელს, ი. გოგებაშვილს, რ. ერისთავს და სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეს. იგი საინტერესო ცნობებს აწვდიდა ყველა იმ ევროპელს, რომლებთანაც მას კავშირი ჰქონდა და რომლებსაც საქართველო აინტერესებდათ. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო ვენის აკადემიის წევრი, ცნობილი ლინგვისტი პროფესორი ჰუგო შუხარდტი, რომელმაც შემდგომში არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა ქართულ ენას.

¹⁹ Wien, Stadtbibliothek, Suttner.

²⁰ იხ. ა. ც ა მ ც ი შ ვ ი ლ ი, უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანნი, თბ., 1962, გვ. 79.

²¹ იხ. ა. ც ა მ ც ი შ ვ ი ლ ი, ბუდე მოშლილნი, თბ., 1968, გვ. 11.

1885 წელს არტურ ლაისტმა გამოაქვეყნა საქართველოზე „მოგონებები“, დაამთავრა მეორე ნაშრომი „საქართველო. ბუნება, მთა-სახლეობა და ზნე-ჩვეულებები“ და შეუდგა მესამე წიგნის — „ქართველი პოეტები“ წერას, რომელიც ლაიპციგში 1887 წელს გამოვიდა. ეს იყო ქართული პოეზიის პირველი ანთოლოგია უცხოურ ენაზე. წიგნში მოცემულია XIX საუკუნის ქართველი პოეტების ნაწარმოებები.

ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბელის დახმარებით არტურ ლაისტმა თარგმნა გერმანულ ენაზე და 1889 წელს გამოაქვეყნა შოთა-რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“²².

არტურ ლაისტმა საქართველოს მიუძღვნა სხვა ნაშრომებიც: „ქართველი ხალხი“, „მოგზაურის დღიური“, სხვადასხვა მოთხრობები ქართულ თემებზე, პუბლიცისტური და კრიტიკული სტატიები და სხვ. 1906 წელს არტურ ლაისტის ხელმძღვანელობით თბილისში შეიქმნა „ქართულ-გერმანული კულტურული საზოგადოება“.

არტურ ლაისტი გარდაიცვალა 1929 წელს და დასაფლავებულია თბილისში, დიდუბის პანთეონში, ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწეების გვერდით.

1910 წელს ერეკლე ჯაბადარი ვენაში ჩავიდა, რათა უმაღლესი მუსიკალური ცოდნა მიეღო. მან 1913 წელს ვენაში დაწერა „ქართული რაფსოდია“²³.

ცნობილი ავსტრიელი ენათმეცნიერი, გრაციის უნივერსიტეტის პროფესორი ჰუგო შუხარდტი დიდი სიყვარულითა და ინტერესით ეკიდებოდა ქართულ კულტურას, სწავლობდა და იკვლევდა ქართულ ენას. იგი იყო თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორის პროფესორ პეტრე მელიქიშვილის მეგობარი, რომელსაც მან გამოუგზავნა ქართული ენის შესახებ პირველი თავისი ნაშრომი შემდეგი წარწერით: „ნიშნად მადლობისა ეუძღვნე ჩემს საყვარელს მეგობარს პროფესორს პ. მელიქიშვილს. პ. შუხარდტი“.

პ. შუხარდტს წერილობითი კავშირი ჰქონდა ი. ჭავჭავაძესთან. 1895 წლის 11 ივნისს წერილში იგი ი. ჭავჭავაძეს სწერდა: „ბატონო! კეთილ ინებეთ და მიპასუხეთ, თუ შეიძლება მოინახოს ჩემთვის „ივერია“ 1884—1885 წლებისა, სადაც მოთავსებულია ჩუბინოვის წერილები: „ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადო-“

²² იხ. ვ. ნაღორაძე, „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანი, „მნათობი“, 1955, № 7, გვ. 131—135.

²³ იხ. ა. ცაშვიციანი, კომპოზიტორი ერეკლე ჯაბადარი, თბ., 1966, გვ. 20—31.

კის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“. გთხოვთ მაპატიოთ შეწყუ-
ხებისათვის. მე დაინტერესებული ვარ ქართული ენათმეცნიერებში.
ესლა დავიწყებ კითხვასა თქვენს წერილისა „ვლადიკავასი დამ ტფი-
ლისამდე“, მაგრამ ძალიან ძნელია ჩემთვის. თქვენი აღმატებულე-
ბის პატივისმცემელი ჰუგო შუხარდტი“.

ი. ჭავჭავაძისადმი მიწერილი წერილებიდან 3. შუხარდტის მხო-
ლოდ ხუთი წერილია შემონახული: ერთი ქართულ და ოთხი ფრან-
გულ ენაზე დაწერილი.

1905 წელს გრაცში სასწავლებლად ჩავიდა ალ. ბეშვენაძე.
პროფ. 3. შუხარდტთან მას წაუღია არტურ ლაისტის საჩუქრით მიღ-
ციო წერილი, მაგრამ ამ წერილის გარეშეც იგი დიდი სიხარულით
მიუღია 3. შუხარდტს²⁴.

3. შუხარდტმა გრაცის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქართუ-
ლი ენის შემსწავლელ სტუდენტთა ჯგუფი, სადაც თვითონ ასწავლი-
და ძველ ქართულ ენას. გრაცში ჩასვლიდან სწავლის დასრულე-
ბამდე ალ. ბეშვენაძე ამ ჯგუფში ასწავლიდა ახალ ქართულ ენას.

ჰუგო შუხარდტი ოცნებობდა საქართველოში ჩამოსვლაზე, რა-
თა ადგილზე გასცნობდა ამ ქვეყნის ენას, ლიტერატურას, ხალხს, მა-
გრამ ვერ შესძლო თავისი ამ სურვილის განხორციელება. იგი 1927
წელს გარდაიცვალა და დასაფლავებულია გრაცში. მისი სურათი
დღესაც ჰკიდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული
ენის კაბინეტში.

ვენის კონსერვატორიაში სწავლობდა და ავსტრიაში კონცერ-
ტებს მართავდა თინათინ გოცირიძე²⁵. 1935 წელს საქართველოში
სტუმრად იყო ავსტრიის მწერალთა დელეგაცია.

ქართულ ენას, ლიტერატურას და ეთნოგრაფიას ბევრი ნაშ-
რომი მიუძღვნა ვენის უნივერსიტეტის კავკასიური ენების კათედრის
გამგებ, პროფესორმა რობერტ ბლაიხშტაინერმა (1891—1954). მან
1946 წელს ვენაში გამოაქვეყნა ანთოლოგია — „ახალი ქართველი
პოეტები“. ანთოლოგიაში მოთავსებულია ქართველი კლასიკოსებისა
და თანამედროვე საბჭოთა პოეტების (ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავ-
ჭავაძის, გ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის, გ. ლეონიძის, ს. შანშია-
შვილის, ა. აბაშელის, კ. ლორთქიფანიძისა და სხვ.) ნაწარმოებები.

1950 წელს რ. ბლაიხშტაინერი ჩამოვიდა საქართველოში, რათა
უშუალოდ გასცნობოდა ამ ქვეყნის ხალხსა და კულტურას. სამშო-

²⁴ იხ. ალ. ბეშვენაძე, ილია ჭავჭავაძე და ჰუგო შუხარდტი, „მნათობი“, 1958, № 1, გვ. 165—166.

²⁵ იხ. ეურ. „სენა“, 1927 წლის 10 ივნისი.

ბლოში დაბრუნების შემდეგ მან გამოსცა წიგნი სახელწოდებით „საქართველო გუშინ და დღეს“. რ. ბლაიხშტაინერის კალამს ეკუთვნის აგრეთვე: „კავკასიური ხალხებისა და ენების მიმოხილვა“, „ქართული ბალადა ამირანზე“, „კავკასიის ხალხები“, „ქართული ლიტერატურა“, „ქართველი ხალხი“ და სხვ.

ავსტრიაში ქართული კულტურის გაცნობის საქმეში დიდ მუშაობას ეწევა ავსტრიელი ქართველოლოგი ჰუგო ჰუპერტი. იგი დიდხანს იყო საქართველოში, სწავლობდა მის კულტურას, ისტორიას, ლიტერატურას, ენას, ზნე-ჩვეულებებს.

შემოიარა საქართველოს ქალაქები და სოფლები, ინახულა ისტორიული ადგილები, დაათვალიერა მუზეუმები. იგი ყურადღებით აკვირდებოდა თანამედროვე საბჭოთა საქართველოს ცხოვრებას. სწორედ საბჭოთა საქართველოს მიუძღვნა მან ლექსთა კრებული: „მოგზაურის ქართული კვერთხი“, რომელიც 1954 წელს გამოვიდა²⁶.

ქართველ მეცნიერთა უშუალო დახმარებით ჰუგო ჰუპერტმა, არტურ ლაისტის შემდეგ, გერმანულ ენაზე აამეტყველა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

საქართველოს მოწინავე საზოგადოება ყოველთვის ინტერესით ადევნებდა თვალყურს ავსტრიელი ხალხის ცხოვრებას.

პროფ. ნ. კაკაბაძემ ცალკეული სტატიები მიუძღვნა ავსტრიელ მწერლებს რაინერ მარია რილკეს, ჰუგო ფონ ჰოფმანტალს, შტეფან ცვაიგს, ფრანც კაფკას, ბერტა და არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერებს. შტეფან ცვაიგის მოღვაწეობაზე დიდი ხანია მუშაობს დოც. კ. ჯორჯანელი, რობერტ მუზლის შემოქმედებაზე — დ. დავლიანიძე; რ. ყარალაშვილმა და დ. დავლიანიძემ ქართულ ენციკლოპედიაში მოათავსეს სტატია — „ავსტრიული ლიტერატურა“;

ქართულ ენაზე ითარგმნა არტურ შნიცლერის რამდენიმე მოთხრობა; ასევე ითარგმნილია შტეფან ცვაიგის ნოველები: „მოუთმენლობა გულისა“ (ითარგმნ. კ. ჯორჯანელი), „ბალზაიკი“, „ნაგელანი“ (ითარგმ. ა. გელოვანი) და სხვ. ფრანც კაფკას მოთხრობები: „მეტამორფოზა“, „განაჩენი“, „წერილი აკადემიას“, „შიშხილის ოსტატი“, „ჩვენი ადვოკატი“, „ყოველდღიური აღრეულობა“, „კაცი კაცს რომ მისდევს“, „კანონის წინ“ (ითარგმ. ნ. კაკაბაძე). ითარგმნი-

²⁶ Hugo Huppert, Georgischer Wanderstab, Berlin, 1954. იხ. 6. კაკაბაძე, ავსტრიელი პოეტის ლექსები საქართველოზე, „მნათობი“, 1955, № 5, გვ. 172—174.

ლია ასევე რაინერ მარია რილკეს რამდენიმე ლექსი (მთარგმ. ნ. კაკაბაძე) და ფელიქს ზალტენის „ბემბი“ (მთარგმ. გ. გვერდწითელი).

უკანასკნელ პერიოდში საქართველოსა და ავსტრიის შორის კონტაქტებს ადგილი ჰქონდა მთავრობების დონეზეც. 1967 წლის მარტში საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი დოქტორი იოზეფ კლაუსი მეუღლითურთ. მოსკოვსა და კიევში ყოფნის შემდეგ ისინი თბილისში ჩამოვიდნენ. მათ ახლდნენ ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ტონჩიჩ-სორინი, ავსტრიის ელჩი მოსკოვში დოქტორი ვ. ვოდაკი, საბჭოთა კავშირის ელჩი ავსტრიაში ბ. ფ. პოდცერობი და სხვ. ი. კლაუსი და ლ. ტონჩიჩ-სორინი დაინტერესდნენ საქართველოს ისტორიის საკითხებით, კერძოდ, ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის ურთიერთობით ავსტრიათან.

1968 წლის მარტში მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ყოფნის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა ავსტრიის რესპუბლიკის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტ. კურტ ვალდჰაიმი (ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი). მას ახლდნენ ავსტრიის ელჩი საბჭოთა კავშირში ვალტერ ვოდაკი და სხვ.

იმავე წლის მაისში თბილისში გაიხსნა ავსტრიაში 1938—1945 წწ. წინააღმდეგობის მოძრაობის ამსახველი გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრო ავსტრიის რესპუბლიკის საქმეების რწმუნებული საბჭოთა კავშირში დოქტ. ერიხ ბინდერი. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გიგოშვილი.

1969 წლის ივნისში ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მიწვევით ავსტრიაში იყო საქართველოს დელეგაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ჯავახიშვილის მეთაურობით (დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ გ. მიქელაძე, ნ. კაკაბაძე და სხვ.).

იმავე წლის ოქტომბერ-ნოემბერში ავსტრიის მხარის მიწვევით ერთი თვის განმავლობაში ვმუშაობდი ავსტრიის არქივებსა და წიგნსაცავებში. ჩვენი კვლევის საგანს შეადგენდა საქართველო-ავსტრიის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა და რუსეთის მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში (ავსტრიის საარქივო მასალების მიხედვით).

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მასალები ვიპოვეთ ავსტრიის

სახელმწიფო არქივში²⁷. ჯერ კიდევ 1965 წელს ისტორიულ მეცნიერებათა XII საერთაშორისო კონგრესზე ვენაში ყოფნის დროს, დოქტორ რუდოლფ ნეკის²⁸ დახმარებით, ჩვენ ამ არქივიდან მივიღეთ ვახტანგ VI-ის ორი წერილის ფოტობირი: ერთი, გაგზავნილი კონსტანტინოპოლში ავსტრიის ელჩის დირლინგის სახელზე, ხოლო მეორე — ამ ელჩის საშუალებით გაგზავნილი ავსტრიის იმპერატორის კარლოს VI-ის სახელზე²⁹. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ არქივში სხვა მასალებიც იქნებოდა საქართველოზე.

ავსტრიის სახელმწიფო არქივში 1937 წლის ივლისში რამდენიმე დღე უმუშავნია ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორს არქიმანდრიტ გრ. ფერაძეს. მისი თემა ყოფილა: „საქართველოსა და ავსტრიას შორის ურთიერთობა“. მაგრამ მას გამოუყენებია საქმეები მხოლოდ „რუსეთი“ (ტომები: 4ბ, 5ა, 5ბ, 7¹, 7¹¹). ეს ის საქმეებია, რომლებიც შეეხებიან რუსეთის ამბებს XVII ს. მეორე ნახევარში. ავსტრიის სახელმწიფო არქივის კატალოგებში მასალები საქართველოზე ცალკე არაა გამოყოფილი. ისინი გაფანტულია სხვადასხვა ტომებში. ამ ტომებიდან ჩვენ გადავთვალეირეთ: „თურქეთი“ (1721—1725 წწ., 7 ტომი), „რუსეთი“ (1719—1725. 1783 — 1784 წწ., 15 ტ.), „სარდინია“ (1770—1789 წწ., 2 ტ.), „ვენეცია“ (1771—1789 წწ., 2 ტ.), „საფრანგეთი“ (1783 წ., 1 ტ.), „სპარსეთი“ „ბათუმი“ (1899—1905 წწ. 3 ტ.), „ბაქო (1905 წ., 1 ტ.).

საქართველოსა და საერთოდ კავკასიაზე საინტერესო მასალები მოიპოვება საკონსულოების ტომებში, რომლებიც დაცულია შემდეგი სახელწოდებების ქვეშ: „თბილისი“ (1897—1914 წწ., 20 ტ.), „ბათუმი“ (1899—1905 წწ. 3 ტ.), „ბაქო (1905 წ., 1 ტ.).

რაც შეეხება პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებულ საკითხებს, აქ ჩვენ გვინტერესებდა პრობლემა: რუსეთი და დასავლეთის სახელმწიფოები (საგარეო პოლიტიკური ურთიერ-

²⁷ Österreichisches Staatsarchiv, Haus-Hof-und Staatsarchiv, 1010 Wien, I, Minoritenplatz I.

²⁸ об. R u d o l f N e c k, Diplomatische Beziehungen zum Vorderen Orient unter Karl V... რუდოლფ ნეკი აგრეთვე მუშაობს ვენაში 1913 წელს ი. სტალინის მოღვაწეობაზე, როდესაც იგი ვენაში ვ. ი. ლენინის დავალებით წერდა შრომას „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“. ვენაში, შობრტუნერ-შლოსტრასეს ქ. № 30, სადაც ი. სტალინი ცხოვრობდა, ახლაც არის ამის აღმნიშვნელი ბარელიეფი.

²⁹ об. ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს ურთიერთობა ავსტრიასთან), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, XLVII, № 1, 1967; მ ი ს ი ე ვ, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, თბ., 1972, გვ. 315—316.

თობანი 1914—1918 წწ.). ამ პერიოდის შესახებ ავსტრიის სახელმწიფო არქივში არსებული დოკუმენტები აღწერილია რობერტ სტოპის მიერ შედგენილ კრებულში, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდელ პერიოდსაც მოიცავს³⁰.

ჩვენ ვისარგებლეთ იმ ტომებით, რომლებიც შეეხებინან ავსტრიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას 1914—1918 წწ., დაწყებული სარაევოს ცნობილი მკვლელობიდან³¹; პირველი მსოფლიო ომისადმი ინგლისისა და საფრანგეთის³², რუსეთისა³³ და გერმანიის³⁴ დამოკიდებულებას და ამ ომში მათ მონაწილეობას. ასევე იმ ტომებითაც, რომლებიც ეხებინან ირანსა და თურქეთს³⁵. აქ არის ასევე ტომები, რომლებიც შეეხებინან ქართული ლეგიონის ბრძოლებს კავკასიის ფრონტზე პირველი მსოფლიო ომის დროს³⁶. შემდგომი პერიოდის საქართველოს ამბები გაფანტულია ტომებში, რომლებიც იწახება „რუსეთის“ სახელწოდებით³⁷.

საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ვატიკანისა და ზოგიერთი სხვა არქივებისაგან განსხვავებით, ავსტრიის სახელმწიფო არქივში დოკუმენტები ყოველთვის როდია ტომებში ჩაკრებული, მათ ასევე არა აქვთ საერთო პაგინაცია, ზოგჯერ თარიღების მხრივ დოკუმენტები არეულადაა ჩალაგებული. ყოველივე ეს ართულებს დოკუმენტებზე მუშაობას. ამ მხრივ არქივის თანამშრომლების დოქტო-

³⁰ Robert Stopp, Die Akten des k. u. k. Ministeriums des Aupern 1848—1918. Sonderdruck aus Mitteilungen des Osterreichischen Staatsarchiv 20, 1967, Wien.

³¹ P. A. rot. 810, Interna LXX/2, Krieg 1914—1918, Anfang.

³² P. A. rot. 823, Krieg 3, England, Frankreich, 1914; P. A. rot. 825, Krieg 3, England, Frankreich, 1914—1915; P. A. rot. 826, Krieg. 3, England, Frankreich, 1915—16; P. A. rot. 827, Krieg 3, England, Frankreich, 1917; P. A. rot. 828, Krieg, 3, England, Frankreich, 1914—18.

³³ P. A. rot. 829, Krieg 3, Russland a, 1914—15; A. rot. 830, Krieg 3, Russland a, 1915; P. A. rot. 831, Krieg 3, Russland a-d, 1914—17; P. A. rot. 832, Krieg 3, Russland e-f, 1916—18; P. A. rot. 833, Krieg 3, Russland f. 1917 P. A. rot. 834, Krieg 3, Russland f. 1917; P. A. rot. 836, Krieg, 3, f-k. 1917—18.

³⁴ P. A. rot. 837, Krieg 4, Deutschland a, 1914—15; P. A. rot. 838, Krieg 4, Deutschland a. 1916; P. A. rot. 839, Krieg 4, Deutschland a. 1916—17.

³⁵ P. A. rot. 892, Krieg. 7, Persen 1914—18; P. A. rot. 943, Krieg 21 a Türkei 1915; P. A. rot. 947, Krieg 21 b—K Türkei 1915—18.

³⁶ Commandant. Georgische Legion (infanterie 3. Offiziere). Georgische Legion in Trapezuns, 1915—18.

³⁷ 155. P. A. X. Russland XI i, XI k I, 1918; 166. P. A. X. Russland k 1—2. 1918; Russland XI k, Kaukasus, 1918; Russland XI r, Kaukasus, 1918; 157. P. A. X. Russland XI k 3—4. Russland XI r/4, Georgische Republik, 1918...

ტების რუდოლფ ნეისა და ლეოპოლდ აუერის გულისხმიერ კონსულტაციებს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

საინტერესო მასალები მოიპოვება ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. პირველ რიგში ჩვენთვის ეს არის ქართული ხელნაწერები³⁸. გავეცანი ვენის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მუშაობას, დავესწარი მსოფლიო ახალი და უახლესი ისტორიის ლექციებს. ასევე გავეცანი ვენის უნივერსიტეტის მთარგმნელთა ინსტიტუტის მუშაობას, რომლის დირექტორი დოქტორი ვ. პეტიოკი ორჯერ იყო თბილისში და დაინტერესებულია საქართველოს ხელოვნების ისტორიით.

საინტერესო მუშაობას ეწევიან ვენის ფონოგრაფ-არქივში. მათ პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთიდან ტყვედ ჩავარდნილ პირებისაგან ჩაუწვრიათ სიმღერები, ასევე სიტყვები ორივე (ორიგინალის და გერმანულ) ენაზე. შეუქმნიათ ნოტები და გამოუქვეყნებიათ. ფონოგრაფ-არქივის დირექტორმა პროფ. ვ. გრაფმა³⁹ გადმომცა რამდენიმე ტომი, რომლებიც შეიცავენ ქართულ (მეგრულ, გურულ, იმერულ, სვანურ, კახურ და სხვ.), აბხაზურ და ოსურ სიმღერებსა და ნოტებს⁴⁰.

³⁸ ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შენახული ქართული ხელნაწერები შედგება სამი წიგნისაგან: 1. Bibl. Pal. Vind. Cod. Georr. 1: 257 SS. (514 ff.); 2. Bibl. Pal. Vind. Cod. Georg. 2: 1+136 SS. (2+272 ff.); 3. Bibl. Pal. V nd. Cod. Georg. 3: 258 SS. (516 ff.); 4. Bibl. Pal. Vind. Cod. Georg. 4: 305 SS. (610 ff.); 5. Georg. 5: 560 SS., მაგარი ყლით, ჩასმულია ვერცხლის კოლოფში, რომელსაც ვარკაწზე ქართული ორნამენტები და მოჭრული ხატები აქვს. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების კატალოგ № 31-ში (გვ. 26) ეს ქართული ხელნაწერები აღწერილია. ამ აღწერილობაში პროფ. გრ. ფერაძეს შესწორებები შეუტანია, კერძოდ ხელნაწერთა თარიღის დადგენის საკითხში. იხ. Gregor Peradzé, Über die Georgischen Handschriften in Österreich, 692657-B, HSS; Neville Birdsall, A Georgian Polimpest in Vienna. Oriens Christianus. Band. 53, 1969, pp. 110—112. გრ. ფერაძე, როგორც ანტრეპრისტი, 1942 წელს პიტლერელმა ვარშავაში სიკვდილით დასაჯეს. მისი გვარი შეტანილია პოლონეთში პიტლერელთა ბატონობის პერიოდში დაღუპულ ვარშავის უნივერსიტეტის სხვა თანამშრომელთა სააღი. გვარები ამოკვეთილია ვარშავის უნივერსიტეტის ვესტიბულის კედელზე მიკრულ მარმარილოს დაფაზე.

³⁹ W. Graf, Zur Bedeutung der Klangfarbe im Musik-Erleben, Akademiakiado, Budapest, 1969.

⁴⁰ Robert Lach, Gesänge russischer Kriegsgefangener, III. Band, Georgische Gesänge (Karthlier, Kachethier, Phsaven, Thuse, Mesze, Raciner, Gurier, Imerier, Mingreljer), Wien und Leipzig, 1928; Ibid: Kaukasus-völker: Mingrelische, abchasische, svanische und ossetische Gesänge, Wien und Leipzig, 1931.

შედარებით ნაკლები, მაგრამ საქართველოს შესახებ საინტერესო, მასალები მოიპოვება ვენის მხითარისტთა მონასტრის ბიბლიოთეკაში⁴¹.

ავსტრიის განათლების სამინისტროს მივლინებით გრაცში ყოფნის დროს (ამ მოგზაურობაში ჩემთან ერთად იყვნენ პროფ. ჰუგო ჰუპერტი და ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების მდივანი კარლ მიორვალდი) გავეცანი გრაცის არქივებსა და წიგნსაცავებს, აქ ჩვენ მასპინძლობას გვიწვედა გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი სტ. გაფუერი.

გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის, კერძოდ მის ხელნაწერთა განყოფილების, დათვალიერების დროს, ამ განყოფილების უფროსმა ერნსტ ჰიუბშმა გვაჩვენა ჰუგო შუხარდტის ხელნაწერთა ფონდი. აქ ინახება მისი ორ ათასამდე სხვადასხვა ენაზე დაწერილი პირადი წერილი. გვაჩვენეს სპეციალური ყუთი, სადაც ჩალაგებულია ქართული ხელნაწერები⁴². ყუთის გახსნისთანავე პირველი ფურცელი, რომელიც ხელში ავიღე, იყო პროფ. აკ. შანიძის წერილი, შედგენილი გერმანულ ენაზე 1927 წლის 14 სექტემბერს. გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისაგან იგი ქართულ ხელნაწერთა ფოტოპირებს ითხოვდა.

ეს ქართული ხელნაწერები აღწერილი აქვთ პროფ. გრ. ფერაძეს⁴³, ჰუგო შუხარდტსა და ა. შანიძეს. 1927 წლის 7 მაისს პროფ. ა. შანიძეს მიუღია ვენის უნივერსიტეტის პროფესორ ჰუგო შუხარდტის ნაშრომი გერმანულ ენაზე: „შენიშვნები ქართული ხელნაწერების შესახებ“, რომელიც თანდართული ტაბულითურთ მთლიანად დაუბეჭდია (თარგმნის გარეშე) თბილისის უნივერსიტე-

⁴¹ 1701 წერს სომეხმა მხითარ სებასტიელმა (სებასტაცი, 1676—1749) ვენციის ერთ-ერთ კენძულზე — წმ. ლაზარეს კენძულზე (ამჟამად წმ. ლაზარეს კენძული მთლიანად სომხებს ეკუთვნის) ამავე სახელწოდების მონასტერში სომეხი კათოლიკე ბერების კონგრეგაცია დააარსა. იქვე შეიქმნა სომხური სტამბა. 1811 წელს მხითარისტების კონგრეგაციის ფილიალი ვენაში შეიქმნა. ამჟამად მხითარისტები ვენაში სცემენ ყოველთვიურ სამეცნიერო-რელიგიურ ჟურნალს — „ჰანდეს ამსორია“ („ყოველთვიური ჟურნალი“). ჟურნალი გამოდის სომხურ ენაზე გერმანული რეზიუმით. ამავე მონასტერში არის ბიბლიოთეკა, რომელსაც გააჩნია ხელნაწერთა განყოფილება და მუზეუმი ძველი კოლექციებით. ორივე მდიდარია არმენისტიკისათვის მნიშვნელოვანი მასალებით. აქვე ვნახეთ ქართული მასალებიც.

⁴² Graz, Universitätsbibliothek, Handschriftenverzeichnisse... SS. 410—411, № 2058.

⁴³ Gr. Peradze, Über die georgischen Hss. in Österreich. Zs. f. d. Kunde d. Morgenlandes 47, S. 219—232.

ტის მოამბეში⁴⁴. ამ დროისათვის პ. შუხარდტი უკვე გარდაცვლილი იყო. შემდგომში პროფ. ა. შანიძემ გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან მიიღო ქართულ ხელნაწერთა რამდენიმე გვერდის ფოტობირი, ხოლო 1928 წლის მარტში პროფ. გ. ჩუბინაშვილის (რომელიც იმ დროს მოკლე ხნით გრაცში იყო) საშუალებით მიიღო სხვა ხელნაწერთა ფოტობირებიც. ამის შემდეგ იმავე მოამბის მორიგ ნომერში გამოქვეყნდა პროფ. ა. შანიძის ნაშრომი: „ქართული ხელნაწერები გრაცში“⁴⁵.

გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება XIX ს. ბოლოს სინას მთიდან წამოღებული და პუგო შუხარდტის მიერ ნაანდერძევი შვიდი ქართული ხელნაწერი. კატალოგში ისინი აღნიშნულია შემდეგნაირად: ჯერ მოდის ხელნაწერთა ნომერი (2058) და მისი საერთო სახელწოდება. იქვე მითითებულია მათი აღმწერთა გვარები და ნაშრომები⁴⁶. შემდეგ ჩამოთვლილია შვიდივე ხელნაწერი და მოცემულია მათი მოკლე აღწერა. ეს ხელნაწერებია: 1. „ხანმეტი ლექციონარი“⁴⁷, 2. დავითნი⁴⁸, 3. სვიმეონ სალოსის ცხოვრება⁴⁹, 4. კონდაკი⁵⁰, 5. ყამის წირვა იოა-

⁴⁴ იხ. Hugo Schuchardt, Mitteilungen aus georgischen Handschriften, „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე“, თბილისი, 1928, VIII, გვ. 347—376.

⁴⁵ ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში, „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე“, თბილისი, 1929, IX, გვ. 310—353.

⁴⁶ № 2058, Sammelkassette, Georgische Handschriften aus dem Katharinen-Kloster auf dem Berge Sinai. Ein Vermächtnis des Grazer Prof. Hugo Schuchardt. H. Schuchardt. Mitteilungen aus georgischen Hss. Bulletin de l'Université de Tiflis 8. Tiflis 1928, S. 347—376. Hrsg. nach H. Schuchardt's Nachlass von A. Schanidze. A. Schanidzé, Die georgischen Hss. in Graz. Ibidem 9. 1929, SS. 310—353 (georgisch.). Gr. Peradzé, Über die...

⁴⁷ 1. Pergament 27 Bl. 19: 16 cm. VI Jh. Vielleicht in Jerusalem geschrieben. Der alte Einbanddeckel fehlt. Lektionar. Liturgische Lesungen aus den Evangelien und Paulusbriefen. Wahrscheinlich das älteste Sprach- und Schriftdenkmal in georgischer Sprache. Mich. Tarchnisvili, Zwei georgische Lektionar-Fragmente aus dem 5. u. 8. Jh. Kyrios, 6, 1942.

⁴⁸ 2. Pergament 274. u. 8 lose Bl. 14: 10 cm. Zwischen VIII u. X Jh. Vielleicht gleichzeitiger Ledereinband von Berge Sinai. Psalme. Codex rescriptus. Darunter ein gut lesbaren armenischer Text.

⁴⁹ 3. Pergament 171 Bl. 11: 10 cm. X Jh. Vielleicht gleichzeitiger Ledereinband vom Berge Sinai. Das Leben Symeons des Narren um Christi willen.

⁵⁰ 4. Pergament Bl. 20: 15 cm. Geschrieben von Johannes Zosima auf Sinai 4 J. 985 a) Bl. 1-94 v^o: Jakobusliturgie in ihrer ältesten Fassung. b) Bl. 96 bis 110v⁷: Liturgie der Praesantificatorum Gregor's des Grossen. Gr. Peradzé, Les monuments liturgiques prébyzantions en langue géorgienne. Le muséon. Louvain, Paris 45. 1932. S. 255—272. Michael Tarchnisvili, Eine neue georgische Jakobusliturgie. Ephemerides Liturgicae 62. 1948, S. 49—82.

ნე ოქროპირისა⁵¹, 6. ნაწყვეტი იოანეს სახარებიდან და 7. ნაწყვეტი მრავალთავიდან⁵².

ავსტრიის რესპუბლიკის მხარეთა შორის საქართველოსთან ყველაზე უფრო აქტიურად ტიროლის მხარის ურთიერთობა ვითარდება. ამას საფუძვლად უდევს ორივე მხარის სურვილი, დამყარდეს მათ შორის ისეთი ურთიერთობა კულტურის დარგში, როგორც არსებობს ავსტრიის რესპუბლიკის სხვა მხარეებსა და საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

საქართველოსა და ტიროლის მხარეს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით 1968 წელს ინსბრუკიდან (ტიროლის მხარის დედაქალაქი) თბილისში ჩამოვიდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ტიროლის განყოფილების დელეგაცია.

ვენის არქივებში მუშაობის დროს ავსტრია—საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ტიროლის განყოფილების მიწვევით რამდენიმე დღით ვიყავი ინსბრუკში, სადაც საქართველო-ავსტრიის ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობაზე ლექციები წავეკითხე საზოგადოების აქტივისათვის—ამავე საზოგადოების პრეზიდენტის წევრებისათვის (ჰანს ჰუბერტი, ლოჰმერი, აინკამერი, ბენკოვსკი, სვობოდა, ნონოვესკი, ვალდპარტი, ელერი, პრაქსმარერი, ანა კადლი). საუბრები და შეხვედრები მქონდა ქ. ინსბრუკის ბურგომისტრ ჰანს მაიერთან, ტიროლის მხარის მთავრობის მეთაურ დოქტ. პრიისთან და ინსბრუკის უნივერსიტეტის პროფ. ტიურნერთან. საქართველო-ავსტრიის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის საკითხებზე გამოვედი ინსბრუკის რადიოთი.

ამვე საკითხებს შეეხებოდა ჩვენი საუბარი ავსტრიის რესპუბლიკის განათლების მინისტრთან — ა. მოკთან მიღების დროს და ავ-

⁵¹ 5. Pergamentrolle 8+128+61 cm. lang., 24 sm. breit. X—XI Jh. Liturgie des Johannes Chrysostomos. Michael Tarchnisvili, Die georgische Übersetzung der Liturgie des hl. Joh. Chrysostomos nach einem Pergament-Rotulus aus dem X—XI Jh. Jahrbuch f. Liturgiewissenschaft 14 1938 S. 79—94.

⁵² 6 u. 7. Pergamentblätter X bis XI Jh. Fragmente. a) Aus dem Johannes evangelium, b) Epistolae Antonii (Eremiti). Gedruckt: Lettres de S. Antonoine ed par G. Garitte. Corpus script. orient. 1948 u. 149, c) Aus einer patristischen Sammlung. Es liegen bei: zwei armenische Blätter hohen Alters; Marcus II 10 ff.; eine Mappe; 8 Hefte mit Notizen von Hugo Schuchardt zu georgischen Hss., Photokopien und Briefe an H. Schuchardt.

სტრიის კანცლერ ი. კლაუსთან, საგარეო საქმეთა მინისტრ კ. ვალდჰაიმთან და ავსტრიის პრეზიდენტ იონასთან შეხვედრა-საუბრების დროს, ასევე იმ საუბრის დროს, რომელიც ელჩმა ბ. ფ. პოდცე-რობმა მოაწყო საელჩოში. საუბრეს, გარდა საელჩოს რამდენიმე თანამშრომლისა, ავსტრიის მხრიდან ესწრებოდნენ ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი დოქტ. ვ. პლატცერი, იმავე სამინისტროს განყოფილების გამგეები დოქტ. ა. ჰალუზა, ე. ნეტელი და გ. შუმბერგერი.

1970 წლის მაისში თბილისში სტუმრად იყო ზემო ავსტრიის მთავრობის დელეგაცია, იმავე მთავრობის მეთაურის დოქტ. პ. გლანსნერის მეთაურობით. დელეგაციამ დაათვალიერა არამართო თბილისისა და მცხეთის, არამედ თელავის (იყალთო, ალავერდი, წინანდალი), ყვარლის (ღვინის საცავები, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი), რუსთავის, აფხაზეთის (სოხუმი, ბიჭვინთა, რიწა, გაგრა) ღირსშესანიშნაობანიც.

1972 წლის მაისში თბილისში იყო ავსტრიელი მრეწველი, ფირმა „პიროლიტის“ დირექტორი მანფრედ სვარკოვსკი. იმავე წლის ივნისში თბილისში ჩამოვიდა ავსტრიის ფინანსთა მინისტრი პ. ანდროში. ივნისშივე თბილისის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის სტუმარი იყო ავსტრიელი პროფესორი ზაიდელბერგი. იმავე პერიოდში გამოცდილების გაზიარების მიზნით თბილისის უნივერსიტეტში იყო ისტორიკოსი და სოციოლოგი პროფ. ფელერი, რომელმაც ლექციები წაიკითხა თემაზე: „ავსტრიის სახელმწიფოს შექმნა, როგორც მოკავშირეთა შორის მოლაპარაკების საგანი 1940—1945 წწ.“ და „შუა ევროპის პოლიტიკური რუკა 1918—1919 წწ.“

1972 წლის სექტემბერში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სტუმარი იყო ავსტრიელი მეცნიერი უიბონუდი. 1973 წლის აპრილში თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექციების ციკლი წაიკითხა ავსტრიელმა პროფ. ე. ვნგელმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხე-ტყის მეურნეობის თბილისის ხე-ტყის ინსტიტუტი სოჭის სამეცნიერო-კვლევითი ხე-ტყის საცდელ სადგურთან ერთად 1972 წლიდან ეწევა საერთო მუშაობას ავსტრიის ხე-ტყის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან.

1973 წლის იანვარში ჩატარდა ავსტრიის კომპარტიის ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია. ამ დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

იმავე წელს თბილისში სტუმრად იყო ავსტრია—საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ტიროლის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე პროფ. ფრიც პრიორი; იმავე წელს თბილისში იყვნენ: ტიროლის მხარის დელეგაცია, ტიროლის სახალხო ცეკვის მხატვრული თვითმოქმედი ანსამბლი, ავსტრიელ ფილოსოფოსთა ჯგუფი ფილოსოფოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტის პროფ. გაბრიელის მეთაურობით.

იმავე წელს ტიროლში იყო საქართველოს კულტურული დელეგაცია (აკად. გ. ჯიბლაძე, პოეტი რ. მარგიანი, ალ. ქლენტი). საპასუხო ვიზიტით ტიროლიდან ჩამოვიდა დელეგაცია (ინსბრუკის ბურგომისტრი ალექსანდრე ლუგერი, მწერალი მ. სავარეკი, რ. კატარინი, ჰერმან აინკემერი). 1974 წლის სექტემბერში თბილისში სტუმრად იყო ავსტრია—საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ვიცი-პრეზიდენტი ტრენკლერი. მომდევნო წლის მაისში ავსტრიაში საგასტროლოდ იყო ქართული ანსამბლი „რუსთავი“. სხვადასხვა დროს ავსტრიაში იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის მედიცინის მუშაკები: პროფ. ნ. ყიფშიძე, ი. ფალავა, ზ. ხანთაძე, გ. გეგელიძე, ვ. ვარაზიშვილი, ნ. ლეჟავა და სხვ.

1975—1976 წწ. ავსტრიაში სამეცნიერო მივლინებაში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი (ამჟამად ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი) ვახტანგ იმნაიშვილი, რომელიც ავსტრიის წიგნსაცავებში (ვენასა და გრაცში) ძველ ქართულ ხელნაწერებზე (მათ შორის ჰუგო შუხარდტის არქივში) მუშაობდა.

საქართველო-ავსტრიის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ უშუალოდ შევეხებით საქართველოს მეფის ერეკლე II-ის ცდას, დაემყარებინა კონტაქტი ავსტრიასთან და მისი საშუალებით ევროპის სხვა სახელმწიფოებთან.

2. ეპიკლე II-ის ცდა ავსტრიასთან ურთიერთობისა

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ერეკლე II-მ გადაწყვიტა კონტაქტი დაემყარებინა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, ერეკლე მეფეს და საერთოდ საქართველოს ევროპაში უკვე კარგად იცნობდნენ. ევროპელი მწერლები და პოლიტიკური მოღვაწეები თავიანთ ნაწარმოებებში მოიხსენიებდნენ საქართველოსა და მის მეფეებს. ევროპაში ალტაცებას და თანაგრძნობას იწ-

ვევდა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა.

1713—1716 წწ. დასავლეთ ევროპაში დიპლომატიური მისიით სულხან-საბა ორბელიანის ყოფნის¹ შემდეგ, როდესაც საქართველოში შეიქმნა მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა, 1722 წლის ნოემბერში ვახტანგ VI კიდევ ერთხელ დახმარებისათვის მიმართა დასავლეთ ევროპას — ამჯერად რომის პაპს ინოკენტ XIII-ს და ავსტრიის იმპერატორს კარლოს VI-ს². ავსტრიის იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში ვახტანგი სწერდა: „ამ მძიმე ვითარებაში ჩვენ გვრჩება ერთადერთი გამოსავალი, მივმართოთ თქვენს გულმოწყალებას; მოვმართავთ რა თქვენ თხოვნით, აიძულოთ მაჰმადიანები, ძალით ან პორტაში თქვენი ელჩის საშუალებით, შეაჩერონ ჩვენზე გამანადგურებელი ლაშქრობა, რომლითაც ისინი გვემუქრებიან“³.

რომის პაპისა და ავსტრიის იმპერატორისადმი ვახტანგ VI მიერ გაგზავნილი ეს ორი წერილი, რომლებიც ჩვენ 1965 წელს ავსტრიის სახელმწიფო არქივში აღმოვაჩინეთ, დაწერილია იტალიურად, ხოლო ბოლოს ორივეს აქვს ვახტანგის ხელმოწერა ქართულად — ხვეულად.

ჯერ კიდევ 1738 წელს ახალგაზრდა ერეკლეს ნიქსა და უნარზე ალაპარაკდა აღმოსავლეთი და დასავლეთი. მან სახელი გაითქვა ნადირშაჰთან სამხედრო ექსპედიციებში (1738—1739) ავღანეთსა და ინდოეთში⁴.

1739 წლის დეკემბერში ერეკლე დაბრუნდა საქართველოში. 1744 წელს ქართლში გამეფდა თეიმურაზ II, ხოლო კახეთში — მისი შვილი ერეკლე. ამრიგად, ქართლ-კახეთი ფაქტიურად გაერთიანდა. მამა და შვილი შეთანხმებულად მოქმედებდნენ: ერეკლე უფრო საგარეო საქმეებით იყო დაკავებული. იგი ამ პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა აზერბაიჯანისა და ირანის საქმეებში. 1751 წელს მას ომი ჰქონდა თავრიზის მფლობელ აზატ-ხანთან. მან ამ ბრძოლაში ერეკლეს ახლოს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ერეკლეს ამ დროს ირანის დედაქალაქ ისფაჰანისაკენ გალაშქრების გეგმაც ჰქონია.

1752 წელს ყაზახ-შამშადილის საზღვარზე ერეკლეს მიერ შა-

¹ იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII ს.-სუკ. 1 შოთხედი), თბ., 1972.

² იხ. ი. ტაბაღუა, ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს ურთიერთობა ავსტრიასთან), „მოამბე“, XLVII, № 1, 1967.

³ იქვე, გვ. 244.

⁴ იხ. L. L o c h k h a r t, Nadir Shah, London, 1938.

ქის ხანის — აჯი ჩელების დამარცხებით შეწყდა დაღესტნელი ფეოდალების შემოსევა საქართველოში. ქართლ-კახეთი იმდენად გაძლიერდა, რომ მასთან მეგობრობას ეძებდნენ მეზობელი ^{სამხრეთ-აღმოსავლეთ} იმპერიის, განჯის და სხვ. სახანოები.

1752 წელს იმერეთში გამეფდა ახალგაზრდა სოლომონ I, იგი იყო ერეკლე მეფის ღირსეული თანამედროვე. მათი პოლიტიკა ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. ორივეს მოღვაწეობა და სახელი გასცილდა საქართველოს ფარგლებს.

1754 წელს პარიზში გამოვიდა ფრანგი ავტორის შარლ დე პესონელის წიგნი „მოთხრობა ახლანდელ არეულობაზე სპარსეთსა და საქართველოში“⁵, სადაც ავტორი ალტაცებით აგვიწერს „დიდი პრინციის“ — ერეკლეს მოღვაწეობას. აძლევს რა მას მაღალ შეფასებას, მიუთითებს მის არაჩვეულებრივ ჭკუა-გონებაზე, გამოცდილებაზე, მხნეობაზე, სამართლიანობაზე, შარლ დე პესონელის ეს ნაშრომი მაშინვე ითარგმნა გერმანულად.

ერეკლემ გაითქვა სახელი ევროპაში, გავრცელდა ხმა თითქოს პრუსიის მეფემ ფრიდრიხ დიდმა თქვა: „ევროპაში პირველი მე ვარ, ხოლო აზიაში — ერეკლე“.

თეიმურაზის II გარდაცვალების შემდეგ (1762 წ.) ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ გამოცხადდა.

1766 წ. პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში პორტუგალიურ ენაზე გამოვიდა ორი ბროშურა, სადაც მოთხრობილია ერეკლე მეფის მოღვაწეობაზე, მის გმირულ ბრძოლებზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ⁶. ამ ბროშურების სათაურია: „ახალი ცნობები სახელოვან ბრძოლასა და ბრწყინვალე გამარჯვებაზე, რომელიც სახელგანთქმულმა ქართველთა მეფემ ერეკლემ მოიპოვა თურქეთის თავხედი სულთნის საშინელი ჯარის წინააღმდეგ“. ხოლო მეორის: „ახალი ცნობები წარმატებით გამარჯვებაზე, რომელიც მეფე ერეკლეს ჯარებმა 1766 წლის 16 ივლისს მოიპოვეს ქალაქ ტრაპიზონის აღების დროს“⁷.

⁵ იხ. Ch. C. Peyssonel de, Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie, Paris, 1754; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს მოკლე ისტორია, თბ. 1920, გვ. 100—101.

⁶ იხ. Lajos Tardy, Héraclius de Géorgie d'après les documents portugais de 1766, «Bedi Kartlisa revue de kartvélologie», Paris, 1970, vol. XXVII, pp. 101—107.

⁷ Nova Relação da famosa batalha, e inclyta vitoria, que o famigerado Heraclio, principe dos Georgianos, alcançou contra hum formidavel exercito de

თითოეული ეს ბროშურა ნოიცავს 8 გვერდს, გარეყდა მორთუ-
ლია გრაფიურით. ბროშურებში გვხვდება ზოგიერთი ფაქტობრივი
შეცდომა, მაგალითად, ერეკლეს მიერ ტრაპიზონის აღება ისტორი-
აში ცნობილი არაა. ჩვენ არ ვიცით, ერეკლეს რომელ ბრძოლებს
გულისხმობს ავტორი. ბროშურებში საქართველოზე ლაპარაკია, რო-
გორც კათოლიკურ ქვეყანაზე. ჩანს, რომ ავტორის მიზანი იყო ევ-
როპის დაინტერესება საქართველოთი, ერეკლეს მოღვაწეობით, მი-
სი გმირული ბრძოლებით.

ცნობილია გერმანელი ავტორის გოტჰოლდ ფერაიმ ლესინგის
პიესა-კომედია „მინა ფონ ბარნჰელმი ანუ ჯარისკაცის ბედნიერება“.
რომელიც პირველად დაიდგა ჰამბურგის თეატრში 1767 წელს და,
სადაც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ერეკლეს.

საინტერესოა შემდეგი დიალოგი ამ პიესის ორ მოქმედ პირს
შორის: პაულ ვერნერი გაოცებული ეკითხება იუსტს: „იუსტ. ზომ
არაფერი გაგიგონია პრინც ერეკლეს შესახებ?“

იუსტი: ერეკლე? არ ვიცი, ვინ არის.

პაულ ვერნერი: ნუთუ არაფერი იცი აღმოსავლეთის დიდი გმი-
რის შესახებ?... ადამიანო, მე მგონია შენ გაზეთებსაც ისე იშვიათად
კითხულობ, როგორც ბიბლიას. მაშ, არ იცნობ პრინც ერეკლეს? იმ
მამაც ვაქცაეს, რომელმაც სპარსეთი დაიპყრო და დღეს, თუ ხვალ
თურქეთის კარიბჭეში შეიჭრება⁸.

ამ დროს დარბაზიდან გაისმოდა მგზნებარე სიტყვები: „ვაშა,
გაუმარჯოს პრინც ერეკლეს!“⁹

1768 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. საქართველო ამ
ომში რუსეთის მხარეზე მონაწილეობდა. ომში ქართველებმა სახე-
ლი გაითქვეს. ამ დროს საქართველოში ერთხანს იდგა რუსეთის ჯა-
რის ნაწილები, რომელთა რუსეთში დაბრუნების შემდეგ, 1773
წლის ივნისში, ერეკლემ და სოლომონმა კავშირი შეკრეს და იმავე

arrogantes Turcos. Lisboa, MDCCLXVI. Na Offic. da viuva de Ignacio Noguei-
ra Xisto. Comptodas as licencas necessarias.

Nova Relação dos felices progressos, que tiverao sa Tropas do Principe
Heracio, e conquista de cidade de Trapizona, em 16. mez de Julho de 1766.
Lisboa, MDCCLXVI. Na Offic. da viuva de Ignacio Nogueira Xisto. Com. to-
das as licencas necessarias. იხ. ლ. ტარდი, ი. ტაბალუა, ერეკლე II
პორტუგალიურ წყაროებში, „განთიადი“, 1978, № 1.

⁸ იხ. გოტჰოლდ ფერაიმ ლესინგი, მინა ფონ ბარნჰელმი ანუ ჯა-
რისკაცის ბედნიერება, კომედია ხუთ მოქმედებად, თარგმანი, წინასიტყვაობა და შე-
ნიშვნები გ. ნადირაძის, თბ., 1946.

⁹ «Juchel es lebe der Prinz Heraklius!»

წლის ოქტომბერში ჯავახეთისაკენ გაილაშქრეს. მათ ახალციხეს აღ-
ყა შემოარტყეს, მაგრამ სოლომონი ავად გახდა და ლაშქრობა შე-
ჩერდა.

რუსეთ-თურქეთის ომი დამთავრდა. 1774 წლის 10 ივლისს კუ-
ჩუკ-კაინარჯის ზავს ხელი მოაწერეს.

ერეკლე კვლავ დაკავებული იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო
საქმეებით. სამეფო კარზე ფიქრობდნენ საქართველოში სამთამად-
ნო მრეწველობის განვითარებაზე. 1772 წელს ერეკლეს თხოვნით
რუსეთიდან ჩამოსულმა პროფესორმა გილდენშტედტმა საქართვე-
ლოში ჩაატარა საძიებელი სამუშაოები და რკინის, სპილენძის,
ტყვიისა და ვერცხლის მადნები იპოვა.

გარდა წიაღისეული სიმდიდრეებისა, საქართველოს უცხოეთში
გასატანად ჰქონდა აბრეშუმი, საღებავი (ენდროს ძირი), ღვინო და
სხვა. განთქმული იყო ქართული ჯიშის ცხენი. მასზე დიდი მოთ-
ხოვნა იყო უცხოეთში. ყოველივე ამისა და სხვა საგნების გატანა,
ევროპის ქვეყნებთან ფართო ეკონომიური ურთიერთობის დამყა-
რება დიდ შემოსავალს მისცემდა საქართველოს.

მაგრამ ქვეყნისათვის პირველ რიგში აუცილებელი იყო სამ-
ხედრო ძლიერება. ერეკლეს უნდოდა მუდმივი ჯარის შექმნა, საქარ-
თველოს ისტორიული საზღვრების აღდგენა, უცხოელების მიერ მი-
ტაცებული საქართველოს მიწების დაბრუნება.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1768—1774) საქართველომ
გასწია დიდი ხარჯი — 430 ათასი მანეთი. საჭირო იყო ამ ხარჯების
დაფარვა. ერეკლემ რუსეთს სესხად სთხოვა ფული. „... რაკი რუსე-
თიდან ჯარით არ მეხმარებით, სესხად ან „პენსიონის“ სახით ფული
მომამუშელებთ, რომ სამი-ოთხი წლის განმავლობაში ჯარის დაქირა-
ვება და შენახვა შევძლო“ — სწერდა ერეკლე¹⁰. მაგრამ რუსეთი-
დან პასუხი არ ჩანდა. ამიტომ ერეკლემ გადაწყვიტა სესხად ფუ-
ლი ეთხოვა ევროპის სახელმწიფოებისათვის. ამ დროს თბილისში
ბევრი იყო ევროპელი კათოლიკე მისიონერი. თვით ერეკლეს სა-
მეფო კარზე მუშაობდა ორი უცხოელი: გერმანელი დოქტორი რა-
ინეგსი და უნგრელი გრაფი იანოშ კოპარი, რომლებიც 1778 წლი-
დან ცხოვრობდნენ თბილისში.

აღ. ცაგარელის აზრით, რაინეგსმა ურჩია ერეკლეს ევროპას-
თან კავშირის დამყარება და სესხის თხოვნა. პროფ. ი. ცინცაძე
იზიარებს ამ აზრს და ასევე შესაძლებლად მიაჩნია, რომ ასეთი გა-

¹⁰ იხ. ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960,
გვ. 85.

დაწყვეტილება დამოუკიდებლად მიეღოთ კართლ-კახეთის სამეფო კარზე. ჩვენ მხარს ვუჭერთ პროფ. ი. ცინცაძის აზრს, გამოვდივართ რა იქიდან, რომ დასავლეთ ევროპასთან კონტაქტის დამყარება არ იყო ახალი ამბავი ქართველი მეფეებისათვის. ამის ერთ-დაგვარი ტრადიციაც კი არსებობდა და სრულიადაც არაა გამორიცხული ასეთ გადაწყვეტილებამდე დამოუკიდებლად მისულიყო ერეკლე მეფე, ხოლო სამეფო კარზე მყოფი ევროპელები (კათოლიკემისიონერები თუ სხვანი), გამოეყენებინა თავისი მიზნის განსახორციელებლად. ამასთანავე, ერეკლემ იცოდა, რომ მას იცნობდნენ ევროპაში.

შემდგომში ერეკლეს მიერ ავსტრიის იმპერატორის იოსებ II-სადმი გაგზავნილი წერილის ერთ ადგილას ვკითხულობთ: „წინაპართა ჩვენთა ნათესაეთაცა სურვილი აქენდათ რათამცა თქვენისა მიმართ უმაღლესისა ტახტისა ნიადაგ თვისთა საჭიროთა შესაბამთა საქმეთა მოახსენებდნენ. მაგრამ დიდთა მიზეზებითა და მძლავრთა გეზობელთაგან მაჰმადიანთა მოაქამომდე ვერსადმე იპოვნეს თავისუფლება მოხსენებისა“...

ჩვენს განკარგულებაში არსებული საარქივო მასალებიდან დასტურდება, რომ დოქტ. რაინეგსს და გრაფ კოჰარს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ არამარტო თბილისში მცხოვრებ კათოლიკე-მისიონერებთან, არამედ ავსტრიის სამეფო კართანაც. გრაფი იანოშ კოჰარი დაკავშირებული იყო ავსტრიის წარმომადგენელთან კონსტანტინოპოლში ბარონ ჰერბერტთან. შესაძლებელია მასთან კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა რაინეგსსაც. ასე ხორციელდებოდა კონტაქტები კონსტანტინოპოლზე გავლით თბილისსა და ვენას შორის.

გრაფი იანოშ კოჰარი 1780 წლის 17 აპრილით დათარიღებულ წერილში ვენის სამეფო კარს მიუთითებდა თურქეთის სისუსტეზე, სპარსეთში არეულობასა და რუსეთის წარმატებით წინსვლაზე კავკასიაში. უნგრელმა ისტორიკოსმა ლაიოშ ტარდიმ მოგვაწოდა ბუდაპეშტის არქივიდან ამოღებული კოჰარის რამდენიმე წერილის პირი, რომლებიც ადასტურებენ ზემოაღნიშნულს.

ერეკლემ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან კონტაქტის დამყარების მიზნით, გამოიყენა საქართველოში მყოფი მისიონერები, რომელთაც ერეკლე დაჰპირდა მფარველობას, თუ ისინი დაეხმარებოდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან ასე აუცილებელი სესხის მიღებაში¹¹.

¹¹ იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1904, გვ. 398—403.

1781 წლის ზაფხულში ერეკლემ მისიონერი დომინიკე, წერილებით აღჭურვილი კონსტანტინოპოლზე გავლით დასავლეთ ევროპაში გაგზავნა, მაგრამ მისიონერი იმავე წლის 3 ივლისს გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში. თუ რა ბედი ეწვია ერეკლეს წერილებს, დღემდე არაა ცნობილი. ჩვენ არც ის ვიცით, თუ რამდენი წერილი მიჰქონდა მისიონერ დომინიკეს.

ერთ წლის შემდეგ, 1782 წლის ოქტომბერში, ერეკლემ ხელახლა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი დასავლეთ ევროპაში, ამჯერად რუსეთზე გავლით. ერეკლეს წერილები ახლა პატრი მავრო ვერონელს მიჰქონდა. მისი მოგზაურობის ზუსტი მარშრუტი ჩვენ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი ავსტრიაში გაემგზავრა რუსეთზე გავლით, მიიღწია პოლონეთის ქ. ბერდიჩევს და იქ გარდაიცვალა. იმ პერიოდში საქართველოში მოღვაწე უფროსი პატრი ანდრეასი 1782 წლის 14 ნოემბერს რომში ერთ-ერთ კარდინალს სწერდა, რომ იგი ერეკლე მეფეს გორიდან თბილისში ჩამოუყვანია და მისთვის დაუვალეზია, რათა ორი დღის განმავლობაში მოემზადებინა პატრი მავრო ვერონელი მოსკოვის გზით ვენაში გასამგზავრებლად: „მეფემ მომანდო, რომ მეთარგმნა წერილები, რომლებსაც უგზავნის (მეფე ერეკლე — ი. ტ.) ჩვენს წმიდა მამას, საფრანგეთის მეფეს, სარდინიის მეფეს, ნეაპოლის მეფესა და ვენეციის რესპუბლიკას“¹².

მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, პატრი ანდრეასს არ უთარგმნია ერეკლეს ეს წერილები და ამიტომ ისინი ვენაში ქართულ ენაზე დაწერილი ჩაიტანეს. პატრი მავრო ვერონელს დავალებული ჰქონდა ერეკლე მეფისაგან, რომ ერთი წერილი გადაეცა ავსტრიის იმპერატორისათვის (გარდა ამისა, მას ზეპირი დავალებაც ჰქონდა ერეკლესაგან იმპერატორისათვის გადასაცემად), ხოლო დანარჩენი წერილები ან თვითონ, ან სხვების საშუალებით უნდა ჩაებარებინა მისამართების მიხედვით.

1782 წლის აგვისტოში, ე. ი. ვიდრე პატრი მავრო ვერონელი გაემგზავრებოდა ევროპაში, უფროს პატრი ანდრეასს წერილი მიუწერია იმავე კარდინალისათვის რომში. იგი სწერდა ერეკლე მეფის განზრახვაზე, კავშირი დაემყარებინა ევროპის სახელმწიფოების მეთაურებთან და ეთხოვა მათთვის დახმარება „ურწმუნოთა წინააღმდეგ“¹³. პატრი ანდრეასი იქვე წერს, რომ იგი ვალდებულად

¹² მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 400.

¹³ იქვე.

თვლიდა თავს ერეკლეს მიერ ევროპის სახელმწიფოების მეთაურებთან გაგზავნილი წერილების თარგმანი გაეკეთებინა და გაგზავნა კარდინალისათვის, მაგრამ ამისათვის მას, როგორც თვითონ აღნიშნავს, დრო ვერ მოუნახავს, თუმცა საქმისათვის სჯობდა ერეკლეს თავისი წერილები ევროპის რომელიმე ენაზე თარგმნილი გაეგზავნა. იმის გამო, რომ ვენაში ქართული ენის მცოდნე არავინ იყო, საჭირო გახდა ერეკლეს წერილების რომში გაგზავნა, რათა იქ ეთარგმნათ, უკანვე ვენაში გამოეგზავნათ და შემდეგ დაეგზავნათ მისამართების მიხედვით. ეს პროცედურა კი ერთი წელი გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში ბევრად შეიცვალა საქართველოს მდგომარეობა.

მ. თამარაშვილს უნახავს ერეკლეს ორი წერილი, მიწერილი ვენეციის რესპუბლიკისადმი¹⁴. აი, რას წერს საერთოდ მ. თამარაშვილი მაუროს ვერონელისა და მის ხელში არსებული ერეკლეს წერილების შესახებ: „ეს პატრი მავრო თბილისიდან წასულა ამავე წლის (1782 წ.—ი. ტ.) 14 ნოემბერს. ერეკლეს მისთვის პასპორტი 28 ოქტომბერს მიუცია. ეს პასპორტი დაწერილი ყოფილა ქართულად, თათრულად და ლათინურად. სამწუხაროდ, როგორც წინეთ გაგზავნილი პატრი დომინიკე, ისე ეს პატრი მავროც გარდაცვლილა გზაში მაისის თვეს¹⁵ პოლონეთის ქალაქს ბერდიცოვიაში. ამ ქალაქიდან ორ პოლონელ კაპუცინს წაუღიათ ყველა მისი ქაღალდები ვენას პაპის ნუნციუსთან და უთქვამთ მისთვის, რომ მიცვალა მათ პატრი მავროს საქართველოს მეფისაგან ბევრი რამ ჰქონია პირადად დაბარებული. ეს ნუნციო 19 იანვარს 1783 წ.¹⁶ რომში უგზავნის წერილს, რომელიც კარდინალის შესახებ ყოფილა და რომელიც მოვიყვანეთ ზემოთ; ხოლო დანარჩენი წერილები მარტო ქართულად ყოფილა. ყველა გადაუცია ვენის მთავრობისათვის. მაგრამ იქ ქართული არავის სცოდნია და ამიტომ ვერ უთარგმნიათ წერილები. შემდგომ აღარაფერი სჩანს, თუ რა უყვეს წერილებს და რა შედეგი მოჰყვა მათ“¹⁷.

ეს არის და ეს. ამის შემდეგ ჩვენ არავითარი სხვა ცნობა არ მოგვეპოვებოდა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწვია შემდგომში ერე-

¹⁴ მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 402.

¹⁵ პატრი მაუროსი ვარადაცვალების თარიღი პროფ. ი. ცინცაძეს არაზუსტად აქვს მითითებული (იხ. ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 88). მაუროსი გარდაიცვალა 1783 წლის მაისში.

¹⁶ აქ ვაუგებარია. პატრი მაურო ამ დროს ცოცხალი იყო.

¹⁷ იხ. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 403.

კლე მეფის ზემოხსენებულ წერილებს. ჩვენ არც ის ვიცოდით ზუსტად, თუ რამდენი წერილი მიჰქონდა მაურო ვერონელს და ვის სახელზე იყო ისინი. ასეთ ვითარებაში ჩავედით ავსტრიაში 1969 წლის ოქტომბერში და შევეუდგეთ მუშაობას ავსტრიის არქივებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავსტრიის სახელმწიფო არქივში, კატალოგებში სიტყვა „საქართველო“ ცალკე არაა გამოყოფილი და ამიტომ საქართველოზე მასალებს ვეძებდი სხვადასხვა საქმეებში. მაგრამ არსად არაფერი ჩანდა. იყო მომენტი, როცა იმედი გადაგვიწყდა, მაგრამ რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ, 23 ოქტომბერს (საოცარი დამთხვევა: ერეკლეს წერილების შედგენიდან 187 წლისთავზე), სრულიად შემთხვევით წავაწყდი გერმანულ ენაზე შედგენილ ერთ პატარა საბუთს, სადაც დაახლოებით ნახევარ გვერდზე, მეტად გაკრული ხელით, აღნიშნული იყო თარიღები. თავში ძნელად, მაგრამ მაინც იკითხებოდა: „ჰერაკლიუს პრინც ფონ გეორგიენ“. საბუთს არ ჰქონდა არც შედგენის თარიღი, არც სათაური და ხელისმოწერა, არც პაგინაცია (იხ. აქვე საბ. № 7).

საბოლოოდ ეს საბუთი ამოვიკითხეთ, დავადგინეთ წერილების მისამართები და რაოდენობა. ეს წერილებია: ერეკლე მეფის წერილი რომის პაპის, ავსტრიის იმპერატორის, საფრანგეთის მეფის, ვენეციის რესპუბლიკის, სარდინიის მეფისა და სხვათა სახელზე შედგენილი ქართულ ენაზე; ორი წერილი თურქულ ენაზე, რომელთაც ერეკლეს ხელმოწერა აქვთ ქართულად „ერეკლე“. ერეკლეს ინსტრუქცია ქართულ ენაზე პატრი მაურო ვერონელისადმი; უფროს პატრი ანდრეასის სხვადასხვა სარეკომენდაციო წერილები იტალიურ ენაზე და სხვ.

რა ბედი ეწვია ამ წერილებს ბერდიჩევიში პატრი მაუროს გარდაცვალების შემდეგ?

ერეკლეს წერილები ბერდიჩევიდან ვენაში ორ პოლონელ კაპუჩინს — ვოლფგანგს და ჰილარიუმს წაუღია. ახლა, გარდა ერეკლეს წერილებისა, მათ მიჰქონდათ კიდევ ერთი წერილი, შედგენილი ვლოდიმირში 1783 წლის 15 მაისს. ეს წერილი, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდა ქართველი მეფის ერეკლეს წერილები ბერდიჩევიში, სხვა წერილებთან ერთად მათ უნდა წარედგინათ ვენაში იმპერატორის კარზე.

წერილის ავტორი, მიმართავდა რა ავსტრიის იმპერატორს, სწერდა: „ხელმწიფეო, თქვენო წმინდა უდიდებულესობაჲ... მოხდა, რომ პატრი მაუროუსი ვერონიდან, ვენეციის პროვინციიდან, კაპუჩინთა მოწაფე და საქართველოში მყოფი მისიონერი, საქართვე-

ლოს მეფე უნეტარესი ერეკლეს მიერ ევროპაში გამოგზავნილი და
მაჯერებლად ირწმუნებიან: აზიიდან მომავალთ პოლონეთის ქალაქ
ბერლინეში დიდი უსიამოვნებანი შეემთხვათ... პოლონეთის პრო-
ვინციის კაპუჩინ მღვდლებს ვოლფგანგს და პილარიუმს თქვენთან
ვაგზავნი“...

წერილს ხელს აწერს პოლონეთის პროვინციის კაპუჩინი პატ-
რი პაციფიკუსი¹⁸.

ამ წერილთან ერთად ერეკლეს წერილები ზემოხსენებულ პო-
ლონელ პატრებს ვენაში იმპერატორის კარისათვის ჩაუბარებიათ,
მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იქ ქართული არავის სცოდნია და გა-
დაუწყვეტიათ ეს წერილები რომში — პროპაგანდა ფიდეს კონგრე-
გაციისათვის სათარგმნელად გადაეგზავნათ.

1783 წლის 14 ივნისს, ორშაბათს, შედგენილ წერილში ვკითხუ-
ლობთ: „როგორც კი პოლონეთიდან აქ მოვალწიე... მამებმა გადმო-
მცეს სხვა წერილებთან ერთად მათდამი ქვეშევრდომობით დავალე-
ბული წერილი მეფისა... ქართულ ენაზე, როგორც ჩანს, ქართველი
მეფის ერეკლესი უნდა იყოს, რომელმაც პოლონეთის ქალაქ ბერ-
ლინეში გარდაცვლილ მისიონერ პატრი მაურო ვერონელს ჩააბარა
მისი უდიდებულესობისათვის (ავსტრიის იმპერატორი, — ი. ტ.) გა-
დასაცემად.

მე არ შემიძლია დავაყოვნო ეს წერილი, რომელიც როგორც
კონვერტიდან ჩანს, ლათინურ ენაზე უნდა იყოს შედგენილი. ასევე
გვრძნობ რა პატივისცემას თქვენი უდიდებულესობისადმი, ვფიქ-
რობ ქართულ ენაზე შედგენილი წერილები გადაუგზავნო კარდი-
ნალ პრზანს¹⁹ რომში, რათა მათი თარგმნა დაავალოს ვინმეს „პრო-
პაგანდაში“, რამდენადაც ამ ენის მცოდნე აქ არ მოგვეპოვება²⁰.

ჩვენს ხელშია ასეთივე შინაარსის მეორე წერილი, შედგენილი
იმპერატორის სახელზე და ხელმოწერილი კაუნიტცის მიერ. მასში

¹⁸ Wien, Österreichisches Staatsarchiv... 60. Russland, II, Berichte, Kar-
ton 137, 1783 15 Maje f. 39.

¹⁹ პრზან ფონ პარასი ფრანც ქსავერი, გრაფი, კარდინალი და სრულუფლებიანი
მინისტრი პაპის კარზე; დაიბადა პრალაში 1735 წ. 5 აპრილს, გარდაიცვალა 1803
წ. (იხ. W u r z b a c h, C. Biographisches Lexikon, 9. Theil, Wien, 1863,
S. 364).

²⁰ Wien, Staatsarchiv... 60. Russland, II. Berichte, 1783, I—VII, Karton
137, ff. 148—148 v°. წერილი ხელმოუწერელია, მაგრამ მისი ავტორი ავსტრიის კან-
ცლერი რ. კაუნიტცი უნდა იყოს.

ნათქვამია: „ყოვლად უკეთილშობლესო კაიზერო, მოციქულეობრივო მეფეე და... პოლონეთიდან აქ მოსულმა ორმა კაპუჩინმა გადმოგცა ქვეშევრდომობაში მიღებული წერილი მათი გამგებლიდან სხვა წერილებთან ერთად ქართულ ენაზე.

ამ გამგებლის წერილობითი ჩვენებიდან ჩანს, რომ ეს წერილი ქართველი პრინციც ერეკლესია, რომელიც პოლონეთის ბერდიჩევში გარდაცვლილ პატრი მაურო ვერონელს თქვენი უდიდებულესობის წყალობით აღსავსე ხელებისათვის უნდა გადაეცა.

მე არ ვაყოვნებ ამ წერილს, რომლის კონვერტიდანაც ჩანს, რომ იგი ლათინურადაა შედგენილი... იმ წერილთან ერთად, რომელიც ვათარგმნინე თურქულიდან, გადავცე თქვენს წყალობით აღსავსე ხელებს. დანარჩენი წერილები, რომლებიც ქართულ ენაზეა შედგენილი, აქ ამ ენის მცოდნის არ ყოფნის გამო, უნდა გაუფგავნო კარდინალ პრზანს რომში, რათა მათი თარგმნა დაევალოს ვინმეს პროპაგანდიდან. ვენა, 1783 წლის 14 ივნისი. კაუნიტცი“²¹.

იმავე წლის 30 ივნისს ვენიდან რომში კარდინალ პრზანს გაუფგავნეს შემდეგი შინაარსის წერილი: „რამდენადაც პოლონეთიდან ჩამოსულმა კაპუჩინებმა რამდენიმე დალუქული წერილი ჩამოიტანეს, რომლებიც ცნობილი ქართველი მეფის ერეკლესაგან მიწერილია კაიზერისადმი და ნაწილი კი სხვა ვეროპელი მონარქებისადმი, ერთ-ერთ იქ (საქართველოში — ი. ტ.) მყოფ მისიონერ მაურო ვერონელს განზრახული ჰქონდა პირველი წერილი აქ ჩამოსვლისას თვითონ გადაეცა, მგზავრობისას მოულოდნელად გარდაიცვალა პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევში.

რამდენადაც ზემოაღნიშნული წერილები ქართულ ენაზეა შედგენილი და ის აქ არავინ იცის, ალბათ, მისი უდიდებულესობა ჩათვლის საჭიროდ გამოუფგავნო ისინი თქვენს უთვალისჩინოესობას... რომ მათი თარგმნა იტალიურ ენაზე დაევალოს ვინმეს პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციიდან. იგივე შეეხება იმ წერილებსაც, რომელნიც მიმართულია კაიზერისადმი და ამ თარგმანის გარეშე ვერ გაირკვევა ვერცერთი აზრი. დანარჩენი კი, რომელთაც მისამართი სხვა მეფეებისადმი აქვთ, შეიძლება აქ ლუქის აუხსნელად დაბრუნებულ იქნან...

თქვენს უთვალისჩინოესობას ძალუძს ჩვენი კარის სახელით

²¹ Wien, Staatsarchiv... Russland, II... II. 146—147v^o. ეს წერილი შედგება ორი ვერდისაგან, მაგრამ მას ახლავს წინა ვერდი, რომელზედაც აწერია „1783 წლის 14 ივნისი. მოხსენება პრინცი ერეკლეს წერილის შესახებ“.

მონსენიორ ბორჯას ამ წერილების თარგმნა დაავალოს და ეპვი არ
მეპარება, რომ იგი ამას სიამოვნებით შეასრულებს²²...

მალე, 16 ივლისის თარიღით იმპერატორის სახელზე რომიდან
ვენაში შემდეგი შინააარსის წერილი მოვიდა: მის უდიდე-
ბუღესობა კაიზერისადმი და სხვა ევროპელი რევენტებისადმი
პრინცი ერეკლეს წერილი პროპაგანდა ფილეს კონგრეგაციის
მღვდელმსახურ კარდინალ ანტონელის გადაეცემა იმ მიზნით, რომ
პირველად მას თარგმნიდა და სხვა ბეჭედაუხსნელ, მაგრამ თარგმნილ
წერილებთან ერთად, დამიბრუნებდა და მე თქვენ გამოგიგზავნი-
დით... ქართველი პრინცი პავს, მის უდიდებუღესობა კაიზერს, ნე-
აპოლის მეფეს და ვენეციის რესპუბლიკას სთხოვს, რათა მათ ორი
პოლკი და გარკვეული თანხა მისცენ, რომ მან სპარსეთისა და კონს-
ტანტინოპოლის წინაშე უფრო უზრუნველყოფილად იგრძნოს თა-
ვი. ასევე იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც აწყობთ კათოლიკურ
რელიგიასა და ზემოხსენებულ ხელისუფალთ, ვიმედოვნებთ, რომ
ეს ნაბიჯი რუსეთის კარის მიერ სწორად იქნება გაგებული. ის კი
ცხადია, რომ პრინცი ერეკლეს მიმართ ეს ძვირფასი საჩუქრები უნ-
და გაკეთდეს²³... წერილის ბოლოს იმავე ხელით მიწერილია:
„პრინცი ერეკლეს წერილები გადაეცა სათარგმნელად“²⁴.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, 1783 წლის 9 აგვისტოს თა-
რიღით. კანცლერმა ფონ კაუნიტცმა რომიდან იმპერატორის „სახელ-
ზე კარდინალი პრზანის წერილი მიიღო, სადაც ნათქვამია“... ბა-
ტონმა კარდინალმა ანტონელიმ ყურადღება გამოიჩინა და პრინცი
ერეკლეს წერილი პირადად მომიტანა... ეს წერილი მიმართული მი-
სი უმაღლესობისადმი ყოველად უმაღლესის პრესკრიპტის ბეჭედახ-
სნილიქნა და შეიცავს: ორ წერილს სპარსულად და ორს ქართულად.
პირველი თარგმნის პროცესშია, ვინაიდან ის, ვინც პროპაგანდა ფი-
ლეს ამ კოლეგიაში და სპარსული ენა იცის, ავადაა, წერილები
წმიდა მამისადმი, საფრანგეთის, სარდინიისა და ნეაპოლის მეფეები-
სადმი, ასევე ვენეციის (რესპუბლიკისადმი — ი. ტ.) ბეჭედახდილია
და ამ სახით თავისი მისამართით უკან იგზავნება. ასევე მინაწერები
მისი უწმიდესობისადმი, ნეაპოლისა და სარდინიის მეფეებისადმი,

²² Wien... 276. Romana, Berichte und Weisungen, 1783. Weisungen, des
Fr. Kaunitz au Kard. Hrzan und Fr. Brunati 1783. Rom., Expedition 58, 1783,
ff. 32—32v°.

²³ Wien... Rom, Relation 32, 1783, IV—VIII, Rom., 276. 16 July 1783,
ff. 115—116.

²⁴ Ibid., f. 116v°.

ასევე ვენეციისადმი, თარგმანითურთ გზავია. შემდეგ მოსდევს წერილის ასლი და თარგმანი, რომელიც, როგორცა ჩანს²⁵ კრუსეტის დედოფლისადმი არის მიმართული. ეს წერილი გამოირჩევა სხვა ღია წერილებისაგან იმით, რომ ხელმოწერელია. დასაწყისში არავითარი სათაური არა აქვს. ბოლოს არის პატარა ფურცელი ქართულ ენაზე, რომელიც, როგორც ჩანს, შეიცავს პატარა მითითებებს პატრი მათუროსისადმი. ეს თარგმანები, მიუხედავად ზემოხსენებული წმ. კარდინალის დაპირებისა, დიდხანს დაგვიანდა. მიზეზი ის არის, რომ ამ კოლეგიაში მხოლოდ ორი ახალგაზრდაა, რომლებიც ქართულს ფლობენ და მხოლოდ ერთი, რომელიც სპარსულს ფლობს. ეს უკანასკნელი ისე ნაკლებად არის განსწავლული აველურ ენაში, რომ სხვა აღმოსავლური ენების მთარგმნელი სჭირდება მას. ამ ბიჭებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თარგმანში, ყოვლად უმაღლესობის სახელით 12 ღუკატი ვაჩუქე. სამეფო კარის ინტერესები მოითხოვდნენ ამას და მე ვფიქრობ, მის უდიდებულესობას ეს ფაქტი ასიამოვნებს“.

წერილის ბოლოს იმავე ხელით მიწერილია: „კარდინალი პრზანი გზავნის უკანვე პრინცი ერეკლეს წერილებს“²⁵.

ერთ-ერთ წერილში, რომელიც 2 სექტემბერსაა შედგენილი, მაგრამ არც სათაური და არც ხელმოწერა აქვს და რომელიც, ჩვენი ვარაუდით. კანცლერ კაუნიტცის მიერ იმპერატორისადმი მიწერილი უნდა იყოს, ვკითხულობთ „ქართველი პრინცის ერეკლეს წერილები თავიანთი თარგმანითურთ, თქვენი უბრწყინვალესობის გასული თვის 9 რიცხვის წერილით, ზუსტად მივიღე. ბატონ კარდინალ ანტონელის ამ ყურადღებისათვის მადლობას ვუხდი“. ის წერილები, რომლებიც მიმართულია უცხო კარისა და ხელისუფლებისადმი, თქვენი უდიდებულესობისადმი, ამ მოხსენების წარდგენის შემდეგ ქვეშევრდომებს გადავცემ, აგრეთვე ამავე მიზნით გავუგზავნი პაპს და თარგმანისათვის განკუთვნილ 12 ღუკატს მივცემ“...²⁶

3 სექტემბერს კანცლერი ფონ კაუნიტცი იმპერატორ იოსებ II-ს სწერდა: „თქვენო უდიდებულესობავ, ქართულ ენაზე შედგენილი წერილი, რომელიც პრინცმა ერეკლემ პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევში გარდაცვლილ მისიონერ პატრი მათუროს ვერონელს გამოატანა... შედეგად თქვენი უდიდებულესობისადმი მორჩილმა... პრობაგანდა-

²⁵ Wien... Ibid., 9 August 1783, ff. 136—139v. „აველურ“ — გაუგებარია. აღბათ, ავესტა.

²⁶ Ibid., 276. Romana, Berichte und..., 2 Sept. 1783, ff. 38—39v*.

ში ენის მცოდნეებმა თარგმნეს და კარდინალი სტეფანის საშუალებით აქ გადმოგზავნეს. მე არ ვაბრკოლებ ამ წერილებს და თქვენი ყოვლად უმაღლესობის წინაშე მათი თარგმანების წარმოდგენას.

თუ შინაარსის მიხედვით მათ არავითარი... არ ექნებათ, მაშინ მინდა ვთხოვო: ამ წერილებთან ერთად მოსული ზემოხსენებული პრინციის ერთი წერილი, რომელიც პაპს, საფრანგეთის, სარდინიისა და ნეაპოლის მეფეებს ეგზავნება, შინაარსით თუ ემთხვევა თქვენი უდიდებულესობისადმი მიმართულ წერილს.

კარდინალი სტეფანი ასევე იტყობინება, რომ მან ამ თარგმანისათვის პროპაგანდას (აქ და სხვაგან, იგულისხმება: პროპაგანდა ფილეს კონგრეგაცია. — ი. ტ.) გადაუხადა 12 დუკატი, რომლის ნახევარსაც თქვენი უდიდებულესობა მოწყალებით სამეფო სალაროდან გაიღებს²⁷.

ამ წერილს აქვს იმპერატორ იოსებ II-ის შემდეგი რეზოლუცია: „წერილი შეიძლება გადასცეთ ქვეშევრდომებსაც. იოსები“²⁸.

11 სექტემბერს ვენიდან რომში კარდინალ პრზანის სახელზე შემდეგი შინაარსის წერილი გაიგზავნა: „მას შემდეგ, რაც თქვენი უბრწყინვალესობის მიერ გამოგზავნილი პრინცი ერეკლეს წერილების თარგმანი მივიღე და მის უდიდებულესობას წარვუდგინე, ჩემამდე, მისი უმაღლესობის არ ყოფნის გამო, მე გვიან დამიბრუნდა, ახლა მას ვუგზავნი პაპის უსამღვდელოესობას“²⁹...

იმავე 11 სექტემბერს სარდინიის სამეფოს ელჩს ვენაში მარკო დე სილვას გადასცეს წერილი გრაფი ფონ ბრენერისათვის, რომელსაც თანდართული ჰქონდა ერეკლეს წერილი სარდინიის მეფისადმი.

ფონ ბრენერისადმი ვენიდან გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „...თქვენ სათანადო ხელით მიიღებთ ცნობილი პრინციის — ერეკლეს წერილს ქართულ ენაზე სარდინიის მეფისადმი. ერეკლეს წერილები სხვა წერილებთან ერთად გადაეგზავნათ სხვა უზუნაეს ხელისუფალთაც, ხსენებული პრინციის წარგზავნილის, ბერდიჩევი გარდაცვლილი კაპუჩინი ბერის მათროს ვერონელის ხელით.

როგორც შეიძლება დაეასკვნათ იმ წერილის თარგმანის მიხედვით, რომელიც კაიზერის უდიდებულესობისადმი იყო მიმართუ-

²⁷ Ibid., 3 Sept. 1783.

²⁸ Ibid.

²⁹ Ibid., 11 Sept. 1783, ff. 41—42v°.

ლი, ასევე მისი უდიდებულესობა სარდინიის მეფისადმი, გამოთქმულია თხოვნა დახმარებისა შექმნილი ვითარების გამო³⁰...

წერილის ბოლოს მიწერილია: „მიიღეთ წერილი პრინცი ერეკლესაგან სარდინიის მეფისადმი“³¹.

ახლა იმ წერილების შესახებ, რომლებიც მიჰქონდა მაურო ვერონელს და რომლებსაც ჩვენ მივაკვლიეთ ავსტრიის სახელმწიფო არქივში.

უფროსმა პატრმა ანდრეასმა მაურო ვერონელს თბილისიდან ავსტრიის იმპერატორის სახელზე წერილი გაატანა. ამ წერილში პატრი ანდრეასი სთხოვდა იმპერატორ იოსებ II-ს მიეღო მაურო ვერონელი და მოესმინა მისთვის. ანდრეასმა ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა რომში პრობაგანდა ფიდეს კონგრეგაციას და სთხოვა მას მხარდაჭერა.

ავსტრიის იმპერატორის სახელზე გაგზავნილ წერილში უფროსი პატრი ანდრეასი წერდა: „...მეფე ერეკლე თვითონ მიმართავს იმპერატორს იმის შესახებ, რომ გასულ წელს (1781 წელს. — ი. ტ.) ერეკლე მეფემ მისიონერი დომინიკე გაგზავნა (დასავლეთში. — ი. ტ.), მაგრამ მან მიზანს ვერ მიაღწია. ხოლო ახლა ჩემი რჩევით, მისი უდიდებულესობა ერეკლე აგზავნის მაუროს, მეტად ავტორიტეტულს, ახალ დესპანს. მე მას ვაძლევ სიგელს. იმედი გვექნება, რომ იგი მიზანს მიაღწევს. ჩვენ ვცხოვრობთ ერეტოკოსებსა და ქრისტიანებს შორის. დე, თქვენი გული ჩვენსკენ მობრუნდეს და ეს ელჩი მიიღოს მეტად ყურადღებით“. წერილის ბოლოს აღნიშნული იყო, რომ შემდგომში მაურო რომის პაპის წინაშე წარსდგებოდა³².

მაურო ვერონელისადმი ერეკლეს მიერ მიცემულ ინსტრუქციაში ვკითხულობთ: „ესეც უნდა იცოდე შენ, პატრი მაუროს ვერონელმა, რომ ყოვლად მოწყალე კეისრისა და აგრეთვე უქრისტიანესი ხელმწიფისა ჩვენი სათხოვარი ორი პოლკი არის და სხვათა ხელმწიფეებისა და აგრეთვე განათლებულთ შეკრებულთა ერთი პოლკი“.

ერეკლე მეფე დიდ მნიშვნელობას აძლევდა ამ მისიის საიდუმლოებას. იგი აფრთხილებს მაუროს: „ესეც ასე გქონდეს შეტყობი-

³⁰ Ibid., Sardinien, Weisungen, 1770—1789. An G. Breuner, № XVII, 11 Sept. 1783. ვენის სახელმწიფო არქივიდან ჩვენ ავიღეთ სარდინიის მეფისადმი ერეკლეს მიერ გაგზავნილი წერილის ასლის ფოტოპირი. 1975—1976 წწ. იტალიაში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის დროს რომის, ნეაპოლისა და კალიარის (კუნძულ სარდინია) არქივებში ბევრი ვეძიეთ ერეკლეს წერილის პირი, მაგრამ ვერ მივაგენით.

³¹ Ibid., Sardinien, Weisungen, 1770—1789. An G. Breuner, № XVII, 11 Sept. 1783.

³² Ibid., ff. 26—28.

ლი, რომ ღმერთმა ნუ ქნას თუ ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იყოსა გან ჩვენი სათხოვარი არ შესრულდეს, დიდად საიდუმლო ჩყოსა და არ გამოცხადდეს, რომ ჩვენი დიდი საზიანო იქნება ამ საქმის გამო-მოცხადება“³³.

ავსტრიის იმპერატორის იოსებ II-ის სახელზე გაგზავნილი ერეკლეს წერილი მოცულობით ყველაზე დიდია. მისი სათაურია: „ყოვლად უგანათლებულესსა, უდიდებულესსა და უთვითმპყრობელესსა უმაღლესსა ყოვლად მოწყალესა დიდსა იოსებ კეისარს“³⁴.

წერილში ერეკლე მიუთითებს იმაზე, რომ გადაწყვეტილება, მიმართოს მას, გამოწვეულია ორი მოტივით: „პირველად ერთი ოდენ ქრისტიანობა და მეორედ დამპყრობება ჩვენი რომელი ესე ვით არ გვაქვს...“ რომ აღრეც ყოფილა აზრი საქართველოს სამეფო კარზე იმის შესახებ, რომ მიემართათ ევროპისათვის, მაგრამ მაჰმადიანი მეზობლები ხელს გვიშლიდნენო. „წინაპართა ჩვენთა ნათესავთაცა სურვილი აქვდათ რათამაც თქვენისა მიმართ უმაღლესისა ტახტისა, ნიადაგ თვისთა საჭიროთა შესაბამთა საქმეთა მოახსენებდნენ, მაგრამ დიდთა მიზეზებთა და მძლავრთა მეზობელთაგან მაჰმადიანთა მოაქამომდე ვერსადმე იპოვნეს თავისუფლება მოხსენებისა, და აწ დროსა ამას წარმოადგინა ეჰმი ჩვენთვის, ზეგარდამომან მადლმან და მოწყალებამან, და მივიღეთ თავისუფლებაი, და აღვეცირულდა ჩვენთა ჩამომავლობათა ძველნი მათისა სასურველისა საქმისა წადილნი“.

ახლა კი ერეკლე სთხოვს იმპერატორს მოისმინოს მისი თხოვნა: „რომელნიცა პაზრნი და სიტყვანი წერილითაც და დაბარებული აქვს ამ პატრი მავროს, ამისგან მოგხსენდებათ, სრულიად თქვენი ყოვლად დიდებულება ერწმუნოს, რომელიც ამან მოახსენოს დიდებულებასა თქვენსა“.

ამასთანავე, ერეკლე სწერს იმპერატორს, რომ გასულ წელს გუგუზავნია მასთან მისიონერი დომინიკე, რომელსაც გარდა წერილისა ზეგირი დავალებაც ჰქონია ერეკლესაგან, მაგრამ იგი გზაში, კონსტანტინოპოლში, გარდაიცვალა.

მეფე ერეკლეს ამ წერილიდან ჩვენ ვგებულობთ იმ წერილის შინაარსს, რომელიც მაშინ მიჰქონდა ზემოხსენებულ მისიონერ დომინიკეს: „ეს იყო დაბარებულობა მისი რომელიც მოგეხსენებათ ამ მოხსენებაში: რადგანაც წარსრულს წელიწადებში ამ ჩვენის

³³ Ibid., 60. Russland, II. Berichte, Karton 138. Verträge, 1783 VI—XI; Verträge, 1783, IX—X, ff. 23, 25.

³⁴ Ibid.

მხრის აზიის ქვეყნებში ამბავი მოდიოდა, რომ თქვენს უმაღლესობასა და უდიდებულესობას თურქის სულთანზე საფარი აქვს, ამ სასიხარულო ამბავმა ჩემს გონებასა შინა მყოფი ერთგულება განაღვიძა და სიხარულად აღძრა, და ის პატრი ამისათვის გამოვგზავნეთ, რომ ეგება თქვენის უმაღლესობის საკადრისს სამსახურს ფელირსნეთ“.

შემდეგ ერეკლეს წერილში ნათქვამია, რომ „აზიაში რაც რომ სახელმწიფო ტახტი არის, ისინი სრულ მოშლილნი არიან და რაც კიდევ უფროსნი ვინმე არიან იმ ქვეყნებში, სულ ერთმანეთის მტრები არიან, და ყოვლის საომრის ძალისაგან მოკლებულნი არიან და წამბდარნი და თქვენის დიდებულებისაგან თურქის სულთანზე თუ აღდგომა იქნებოდა, და იქნება: მე ეს ვიცოდი ზედმიწევნით და კიდევ ვიცი, რომ თურქის სულტნის შეწევნა აზიიდან არც მაშინ იქნება და ეს იყო ჩემი მაშინდელი მოხსენება“³⁵.

როგორ გამოიყურება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ერეკლეს ამ წერილების ფონზე?

რუსეთის იმპერატორის კარს თვითონ ერეკლემ შეატყობინა იმის შესახებ, რომ ელჩსა და წერილს აგზავნის ავსტრიის იმპერატორთან და სესხს ითხოვს. ასე რომ, ერეკლეს ეს ნაბიჯი არ ყოფილა რუსეთისაგან ფარულად გადადგმული³⁶ ამასთან დაკავშირებით, პროფ. ი. ცინცაძეს აღ. ცაგარელის წიგნიდან მოაქვს ერეკლეს წერილის ტექსტი რუსეთის სამეფო კარისადმი, მაგრამ ეს არ არის ერეკლეს მიერ ევროპაში გაგზავნილი წერილების ასლი. ამასთანავე, პროფ. ი. ცინცაძის წიგნში მითითება იმაზე რომ „ავსტრიის იმპერატორთან გაგზავნილი წერილების რუსული თარგმანი იტალიური დედნიდან დაბეჭდილი აქვს აღ. ცაგარელს“³⁷, დაზუსტებას მოითხოვს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ წერილების დედანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო ქართულად და არა იტალიურად (ისინი რომ იტალიურად ყოფილიყვნენ დაწერილი, მათ სათარგმნელად არ გაგზავნიდნენ რომში); მეორეც, ერეკლეს მიერ ავსტრიის იმპერატორისა და ევროპის სხვა მონარქებისადმი გაგზავნილი წერილები აღ. ცაგარელს არ უნახავს.

დავუბრუნდეთ ისევ ერეკლეს ურთიერთობას რუსეთთან, რის შესახებაც, ავსტრიის იმპერატორის სახელზე ერეკლეს მიერ გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „...რუსეთის ყოვლად დიდებულნი

³⁵ Ibid.

³⁶ იხ. ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 88, 89.

³⁷ იქვე, გვ. 89. სქოლიო.

ხელმწიფენი ნეტარად ხსენებულნი წინაპარნიცა და ახლაც იმპერატრიცა დიდი ეკატერინა ჩვენსა და ჩვენს ქვეყანაზედ მწყალობებულნი იყვნენ და კიდევ არიან; რომ როდესაც ჩვენ უსჯულოთა მტერთაგან დიდად გაგვიფრებია, რუსეთის დიდებულს ხელმწიფეს შევხვეწივართ და იქ მოვრჩომილვართ და თუ მცირე შეწუხება და ან მტერთაგან ძალი დაგვიდგომია, კიდევ რუსეთის იმპერია და რუსეთსავე ხელმწიფეთაგან ნუგეში გვქონებია.

საქართველოს კაცნი მტრებისაგან რომ გაქცეულან, შეწყნარებით და გამოზრდით შეუწყნარებიათ, და ვინც შეწუხებულნი და გარბილებულნი მისულან, მოწყალებით და მიცემით და კიდევ ტყვეობისაგან გამოსხნით და განთავისუფლებით მოწყალება უქნიათ, როგორითაც ყირიმელთა ზედა რომ იმპერატრიცა დიდის ეკატერინას ჯარი მოვიდა, და ჩვენი მრავალი ათასი ტყვენი მრავალი წლის დატყვევებულნი და იქვე ყირიმში დაცოლშვილებულნი, გამოიხსნა და სრულიად განთავისუფლნა.

და ყოველთვის რუსეთის ხელმწიფედამ და რუსეთის იმპერიიდან უნგარიშოდ ნუგეშემულნი ვართ ყოველითურთ, და ჩვენ უმეტესის თავის შეწყენის კადნიერება არა გვაქვს. იმათი დიდად მადლობელნი ვართ და ამდენი იმათი წყალობა კიდევ ჩვენ და ჩვენს ქვეყანას არ ვყავით³⁸.

შემდეგ წერილში ლაპარაკია საქართველოს მიმე მდგომარეობაზე და იმაზე, რომ მას არ გააჩნია საჭირო ძალები. „რადგან ასეთსა შინა ადგილსა ვიმყოფებით, თუ რომ უდიდესი წამალი კიდევ ზედ არ დაგვერთო, საბოლოოთ დიდის განსაცდელის შიში გვაქვს, და არა გვაქვს ძალი ასეთის რიგისა, რომ ერთ რომელიც ევროპის შინა, ჯარის განწესება არის ის განწესება ვიპყრათ. ცოტანიცა, რომ ვიყვნეთ იმ რიგით, რამდენიც უნდა ბევრნი იყვნენ ჩვენს წინააღმდეგეთ ღმერთით მაინც მოვერევით და არც ჩვენი წინააღმდეგობა იმათლა შეეძლება საბოლოოთ.

რადგან სპარსეთშიაც და სულ აზიის სახელმწიფოში ძალი ყოველითურთ მოკლებულნი არის, და ერთი მეორესთან აშლილნი და მტერნი არიან ამის გამო ახლა არ შეუძლიანთ თუ ჯარი ევროპის წესზე გასწავლებული გვეყოლება რომ ამისათვის გვატანენ ძალას. დალისტნელნი და მაჰმადიანნი სხვანი ჩვენნი მეზობელნი, რომ სამუდამო ჯამაგირის ჯარი არა გვყავს და ესენი და დალისტანელნი ლეკნი ერთს პირს იქმონენ, ჩვენ ძალას დაგვატანენ და მომშველებელი ჩვენი ვინც არის ისინიც მაშინ უთეთროდ არ მოგვეშველებიან დიდი განსაცდელი იქნება მაშინ ჩვენზედ მომავალი.

და ამისათვის მათის დიდებულებისა, და ყოვლად მოწყალეებისგან ვითხოვთ რომ საბოლოოთ რაერთისაც პოლკის ჯარის შენახვის შეძლება გვეთხოვს შეგვადლებინონ და გვიბოძონ ეგება წყალობითა ზეგარდამოთა რომ ერთხელ ამ ქვეყანამაც აქედამ ევროპის დიდებულს ხელმწიფეებს მსახურის თავისის შეძლებით“.

წერილს ხელს აწერს: „მეფე ქართლისა კახეთისა და სხვათა ერეკლე“. წერილი შედგენილია 1782 წლის 18 ოქტომბერს³⁹.

1783 წლის 6 სექტემბერს ავსტრიის ელჩი პეტერბურგში კობენცილი⁴⁰ ატყობინებდა ვენას: „მოწყალეო ხელმწიფეო, ობერ-ლეიტენანტი ტამარა თავად პოტიომკინისაგან უკან მობრუნდა აქ, მოათავა რა საქმეები მოსკოვში გენერალ პავლე პოტიომკინთან. მან მოგვაწოდა ცნობა, რომ ამ უკანასკნელის მიერ ტამარასადმი დავალებული მოლაპარაკება მისასაღმებელია და რომ საქართველოს პრინცმა ერეკლემ თავისი სახელმწიფოები აქაური სკიპტრის უდიდებულესობას დაუმორჩილა და გაუგზავნა წარმომადგენლები გენერალ პოტიომკენს, რომელმაც მიიღო შეწყალება დიამანტებით მორთული გვირგვინისა და ხმლისა: თუმცა პრინცი სოლომონი ასეთ მორჩილებამდე არ მისულა, იმ სიფრთხილის გამო, რომ უკანასკნელი პრინცი ერეკლესთან დიდ უთანხმოებასა და საშინაო ომშია ჩაბმული, რომ იგი ამ პრინცის (ერეკლეს. — ი. ტ.) მიხედვით არაფერს არ აკეთებს და მრავალ საქმეში საწინააღმდეგოსაც აკეთებს.

დედოფალმა (იმპერატორმა ეკატერინემ — ი. ტ.) ტამარა ასეთი კარგი ცნობისათვის სარდლად დანიშნა“⁴¹...

იმავე წლის 12 სექტემბერს იგივე კობენცილი ატყობინებდა თავის იმპერატორს: „უბრწყინვალესად ღრმად პატივცემულო სახელმწიფო მეთაურო! მოწყალეო ხელმწიფეო!... ჩემი უკანასკნელი ცნობების მიხედვით მჭონდა შესაძლებლობა უფრო ახლო გამეცნო... ტამარა, მომტანი...“

მან არა მარტო გადააწყვეტინა პრინცი ერეკლეს რუსეთის ქვეშევრდომობა, არამედ დაიყოლია კიდევ მოაწყოს დივერსია თურქების წინააღმდეგ ანატოლიაში.

ზემოხსენებულმა პრინცმა ყველა თავისი ვასალი დაიმორჩილა და ამ მხარეების უძლიერესი ხელმწიფეა. საჭიროების შემთხვევაში

³⁹ Ibid., f. 17v^o.

⁴⁰ კობენცილი იოჰან ლუდვიგ იოსებ, გრაფი (1753—1809). ავსტრიის ელჩი რუსეთში 1779—1797 წწ. განსაკუთრებული სიმპათიით სარგებლობდა ეკატერინე მეორის ვიწრო წრეში.

⁴¹ Ibid., 61. Russland, II. Berichte, 1783 VIII—1784 III. Russland, Berichte, 1783 VIII—XII, № 9, Durch. Grädiger Herr! 6 sept. 1783, ff. 136—139.



შეუძლია 40 ათასი კაცის გამოყვანა. ამ პრინცმა პირობა დადო, როგორც კე მოითხოვენ, 40 ათასი კაცით თურქეთს შეუტეოს ისე, რომ არც კი აქვს იმედი რუსეთის მხრიდან არტილერიით ან ფულით დახმარებისა, მხოლოდ განზრახული აქვს მას, რომ რამდენიმე რუსული... თავის საზღვრების დასაცავად გაგზავნოს. რუსეთს შეუძლია ორი თუ სამი პოლკით გააქეთოს ეს.

რაც შეეხება პრინც სოლომონს, ტამარა ამბობს, რომ იგი, როგორც რუსეთის ქვეშევრდომობის, ისე თურქეთის წინააღმდეგ იერიშისათვის დიდსულოვნად არის განწყობილი. თუმცა ხსენებულმა სარდალმა ყურად არ იღო ამ პრინცის ბრძანებები, ამდენად იგი არაფერში არ დაჰყვა მას. ამ პრინცს ჯერ ვერ მოუხერხებია თავისი ვასალების დამორჩილება. ყველა მათგანს სურს თავი შესთავაზოს. მას შეუძლია სულ ბევრი 20 ათასი კაცის გამოყვანა. მაგრამ საჭიროებს ფულითა და არტილერიით დახმარებას. ამასთანავე, იგი ფიქრობს, რომ ძლიერია და შეუძლია თავისი საზღვრების დაცვა თურქებისაგან“...

წერილის ბოლოს ვკითხულობთ: „სახელმწიფო საბჭო. დასკვნა გადასინჯვისა. ...ცნობები ქართველ პრინც ერეკლესა და სოლომონთან მოლაპარაკებებისა. იქაური იმედები და მშვიდობიანი ყოფის შენარჩუნება“⁴².

იმავე 12 სექტემბრის მეორე წერილში ნათქვამია: „ღრმად პატივცემულო გრაფო! მინდა უმორჩილესად დავავალო თქვენს უბრწყინვალესობას, გადასცეს მის უდიდებულესობა მეფეს ქართულ ენაზე დაწერილი წერილი, რომელიც სხვებთან ერთად ხელმწიფე ერეკლემ გამოატანა პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევში გარდაცვლილ კაპუჩინ მისიონერ მაუროს ვერონელს. შესაბამისი ენის მცოდნის აქ არ ყოფნის გამო, ეს სხვადასხვა წერილები რომში ითარგმნა პროპაგანდას მიერ და ახლა არსებობს შესაძლებლობა გადაეგზავნოს ისინი შემდგომ დაწესებულებებს. მე ველოდები... ვენა, 1783 წლის 12 სექტემბერი. კ. კაუნიცი“⁴³.

1783 წლის 18 ოქტომბერს, ზუსტად ერთი წლის შემდეგ, რაც ერეკლემ წერილები გაუგზავნა ევროპის ქვეყნების მონარქებს, ავსტრიის ელჩმა პეტერბურგში კობენცლიმ ვენაში გაგზავნა გეორგიევსკის ტრაქტატის სრული თარგმანი გერმანულ ენაზე და მას თან დაურთო შემდეგი შინაარსის წერილი: „მოწყალეო ხელმწიფე! 7

⁴² Ibid., Durchlauchtig hochgeehrter Reichfürst. Grädiger Herr! 61. Russland, II, 12 Sept. 1783, ff. 142—145v^o.

⁴³ Ibid., f. 22.

ოქტომბრის ჩემს მოხსენებით ბარათში თქვენს თავადურ კეთილ-
შობილებას ვაცნობე...

რამდენადაც ცნობილი გახდა რუსეთისადმი პრინც ერეკლეს
მორჩილების აქტი, ამას თან ვურთავ.

(ასევე თან ერთვის) ამონაწერები 1783 წლის ოქტომბრის პე-
ტერბურგის ვაზეთებიდან. გასულ 30/22 სექტემბერს, მისი უდიდებ-
ულესობის გვირგვინის დღესასწაულზე ხელი მოაწერეს შემტკიც-
ების აქტებს, მისი უდიდებულესობა ქართლ-კახეთის მეფე ერე-
კლესა და მისი სამეფო უდიდებულესობას, მემკვიდრეებსა და მთავ-
რებს შორის, მისი უზენაესი ხელისუფლების განმტკიცების და ყვე-
ლა ხალხის და რეგენტების, მათ შორის ქართლ-კახეთის სამე-
ფოს დაცვის მიზნით. ამ ტრაქტატის 13 მუხლის ძირითადი შინაარ-
სია“... (ტრაქტატის ტექსტი თან ერთვის)⁴⁴.

ასე დამთავრდა ერეკლე მეფის ცდა, დაემყარებინა კავშირ-
ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან და მათგან დახმარება
მიეღო. როგორც ვახტანგ VI-ის დროს, ახლაც ევროპის ქვეყნები
„დაკავებული“ აღმოჩნდნენ. თუმცა, ამჯერად გადამწყვეტი როლი
შეასრულა 1783 წლის 24 ივლისის რუსეთ-საქართველოს მფარვე-
ლობითმა ტრაქტატმა, რომელსაც შემდგომში მოჰყვა რუსეთთან სა-
ქართველოს შეერთება. „არსებულ პირობებში, — წერდა აკად-
ნ. ბერძენიშვილი, — ეს იყო საუკეთესო გამოსავალი, რომელსაც
ერთადერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით ახალი ცხოვრებისა-
კენ წაეყვანა“⁴⁵.

ქვემოთ ჩვენ ვაქვეყნებთ ვახტანგისა და ერეკლეს მიერ ევრო-
პაში გაგზავნილ წერილებს და ამ წერილების გარშემო შექმნილ
საბუთებს.⁴⁶

⁴⁴ Ibid., № 12, 60, ff. 244—249, 18 Okt. 1783.

⁴⁵ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორი-
ული მნიშვნელობისათვის. წერილი პირველი. „მნათობი“, № 6, 1954, გვ. 139.

⁴⁶ როგორც თანდართული დოკუმენტების ზოგიერთი ფოტოპირიდან ჩანს (ეს
უმათერესად გერმანულ დოკუმენტებს შეეხება), მათი ამოკითხვა და ზუსტი ტექსტის
დადგენა შეუძლებელი გახდა (გაურკვეველი კალიგრაფია, შემოკლებული სიტყვ-
ები და სხვ.), ამიტომ ქართული თარგმანი ზოგჯერ მიახლოებითია. ამასთან დაკავშირე-
ბით, გვინდა მადლობა მოვახსენოთ პროფესორ ნ. კაკაბაძეს, დოცენტებს რ. ყარალა-
შვილს, ნ. ამაშუელს, ასევე პანს მალინოვსკის (იენას უნივერსიტეტი, გერმანიის
დემოკრატიული რესპუბლიკა), ბ. გორგაძეს, ი. დავითაშვილს, ნ. მაღალაშვილს,
ვ. კალაბეიშვილს, კ. ბერიშვილს, თ. გუჭაბოძეს და ყველა იმათ, ვინც კონსულ-
ტაცია და დახმარება გამოიწია ზოგიერთი დოკუმენტის გაშიფრვაში, თარგმანსა და
ტექსტების შედარებაში.

ვახტანგ VI-ის წერილი ავსტრიის ელჩს კონსტანტინოპოლში
დირლინგს

№ 15².

1722 წლის 20 ნოემბერი¹
მოწყალეო ხელმწიფევ!

გაცნობებთ თქვენ, როგორც მისი იმპერატორობის უდიდებულესობის სრულუფლებიან წარმომადგენელს პორტაში³, რომ ამჟამად იქაური მაჰმადიანი მმართველი ჩვენს საზღვრებთან ახლოს თავს უყრის მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს. რათა ჩვენზე მოულოდნელი თავდასხმით გაანადგუროს ჩვენი სამფლობელო და ძირფესვიანად აღმოფხვრას აქ ქრისტიანული სახელის ყოველგვარი ხსენება.

გვწამს, რომ განსაცდელი და ტანჯვა აქაური უბედური ქრისტიანებისა, რომელთა შორის არის ბევრი ადამიანი, რომელიც კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებს, გამოიწვევს თქვენს გულში სიბრაღულის გრძნობას, და... ვევედრები თქვენს გულმოდგინებას ქრისტიანობისათვის, რათა თქვენ პირადად აილოთ თქვენს თავზე პორტაში ყველაზე ქმედითი შუამდგომლობა, რაზედაც გევედრებით და ვლოცულობ თქვენზე სავსებით დარწმუნებული, რომ ღმერთი ერთი ასად მოგიზღავეთ თქვენ და თავისი სურვილისამებრ წარმართავს იმპერატორის იარაღს.

წერილი, რომელიც თან ერთვის, გთხოვთ კეთილი ინებოთ, გადაუგზავნოთ იმპერატორს⁴. ამჟამად ჩვენ საზღვრებთან გზებს მაჰ-

¹ მიწერილია სხვა ხელით.

² მიწერილია სხვა ხელით.

³ პორტა (ფრანგ. „პორტ“ — კარი) — ევროპის სახელმწიფოების დიპლომატიურ დოკუმენტებსა და ლიტერატურაში იხმარებოდა ოტომანის იმპერიის მთავრობის (დღი ვეზირის კანცელარიის) ოფიციალურ სახელწოდებად.

⁴ ივლისსმება ავსტრიის იმპერიის იმპერატორი კარლოს VI.

მადიანები სდარაჯობენ, რაც არ მაძლევს საშუალებას ეს წერილი ერთ-ერთი ჩემი შიკრიკის ხელით გამოგიგზავნოთ.



თქვენო უმაღლესობავ,

თქვენი უმორჩილესი მსახური.

ვახტანგი, საქართველოს მეფე.

[ვახტანგის ხელისმოწერა ქართულად, ხვეულად].
თბილისი, 1722 წლის 29 ნოემბერი⁵.

№ 2

ვახტანგ VI-ის წერილი ავსტრიის იმპერატორს კარლოს VI-ს

საღვთო და საიმპერატორო უდიდებულესობავ!

ოჰ, ხელმწიფე, ღვთისაგან ამაღლებულ საიმპერატორო ტახტზე, რათა თქვენი უმაღლესი ხელისუფლებით მფარველობა გაუწიოთ ყველა ქრისტიან ხალხს და დაიცვათ ყველა კანონი, რათა თქვენ თქვენი გულმოწყალებით გამოეხმაუროთ იმ წვალებას და სიმძიმეს, რომელსაც განიცდის ქრისტეს სახელისათვის ეს ხალხი.

ამჟამად მაჰმადიანი მბრძანებელი აგროვებს ჯარებს ჩვენ საზღვრებთან ახლოს, რათა გაანადგუროს ჩვენი სამფლობელო, ძირფესვიანად აღმოფხვრას აქ ქრისტიანული სახელის ყოველგვარი ხსენება.

ამ მძიმე ვითარებაში ჩვენ გვრჩება ერთადერთი გამოსავალი, მივმართოთ თქვენს გულმოწყალებას; მოგმართავთ რა თქვენ თხოვნით, აიძულოთ მაჰმადიანები ძალით ან პორტაში თქვენი ელჩის საშუალებით, შეაჩერონ ჩვენზე გამანადგურებელი ლაშქრობა, რომლითაც ისინი ჩვენ გვემუქრებიან. და, თუ აქაური ხალხის, რომლე-

⁵ Österreichisches Staatsarchiv, Wien. «Türkei», I, Kart. 190. f. 152. წინა — 151 გვერდზე იტალიურად მიწერილია «დირლინგი, 1722 წლის 29 ნოემბერი. ასლი». იმავე გვერდის მეორე მხარეზე ფანქრით მიწერილია: «advaria Turcica», ხოლო მეტწილად, იტალიურად: «საქართველოს მეფის ვახტანგის ორი წერილი, თბილისი, 1732 წლის 29 ნოემბერი». 152 გვერდზე მოცემულია თვითონ წერილის ზემომოტანილ ტექსტი. იმავე გვერდზე ქვემოთ მარცხენა კუთხეში მიწერილია: «Turcica, f. 90». 153 გვერდი კი ცარიელია. იხ. ი. ტაბაღუა, ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს ურთიერთობა ავსტრიასთან), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „ზოგადი“, ტ. 47, № 1, თბილისი, 1967; ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკ. პირველი მეოთხედი), თბილისი, 1972, გვ. 315—316.

ბიცი იმყოფებიან თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის მფარ-
ლობის ქვეშ, უმრავლესობა არ იმსახურებს ამ პატივს — განა-
განაც გაეყარნენ ჭეშმარიტ რომაულ ეკლესიას, მაინც მეტად მრავ-
ლად არიან ჩვენს სამფლობელოებში კათოლიკეები, და მათ რიცხვ-
ში მეც, ჩემი რწმენით, თუმცა ამ ადგილებში არეულობა ჯერ კი-
დეც საშუალებას არ მაძლევს გავამხილო ეს. ჩემს მოვალეობად მი-
ვიჩნევ, მაინც ვაცნობო ეს თქვენს უდიდებულესობას, ვინაიდან
თქვენი გულმონწყალე მფარველობა აქ მცხოვრებ კათოლიკური
ეკლესიის ჭეშმარიტი შვილებისადმი იქნება მეტად ნაყოფიერი სა-
შუალება, რათა კვლავ გაერთიანდნენ გათიშულნი და მოექცნენ ისი-
ნი ჭეშმარიტ, ნამდვილ სარწმუნოებაში. ამიტომ უმორჩილესად გე-
ვედრებით თქვენ კეთილ მფარველობას.

მაჰმადიანების მიერ გზები დაკავებულია, რაც ჩვენ საშუალებას
არ გვაძლევს გამოვიგზავნოთ თქვენ ეს მიმართვა შიკრიკის ხელით.

თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ,

თქვენი უმორჩილესი მსახური

ვახტანგ, საქართველოს მეფე.

თბილისი, 1722 წლის 29 ნოემბერი¹.

ვახტანგ VI-ის მიერ ავსტრიის იმპერატორ კარლოს VI-სადმი
გაგზავნილ ამ წერილთან ერთად ავსტრიის არქივში ჩვენ ვნახეთ
იტალიურ ენაზე ხელით შედგენილი საქართველოს რუკა.

ამ რუკას ქვემოთ იტალიურ ენაზე შემდეგი წარწერა აქვს:
„დარუბანდიდან ზღვამდე გრძელი კედელია, რომელსაც რკინის კარს
უწოდებენ. ეს რკინის კარი გასასვლელს ხელს უშლის“².

ჩვენ ვერ დავადგინეთ ვერც ამ რუკის ავტორი და ვერც ის,
თუ საქართველოს რომელი რუკით სარგებლობდა მისი ავტორი ამ
რუკის შედგენის დროს. ჩვენი აზრით, იგი ან კონსტანტინოპოლში
ავსტრიის საელჩოში შეადგინეს ან ავსტრიის საგარეო საქმეთა სა-
მინისტროში. უფრო კონსტანტინოპოლში, რათა ელჩს წარმოედგინა
შეექმნა თავისი ხელისუფლებისათვის საქართველოზე.

ამ რუკას აქვე ვურთავთ.

¹ Österreichisches Staatsarchiv, Wien, «Türkei», I, Kart. 190, f. 154. ამგვ
გვერდზე ზემოთ მარცხენა კუთხეში სხვა ხელით მიწერილია: „1722 წლის 29 ნო-
ემბერი“. ვახტანგის ეს წერილიც ისე, როგორც წინა წერილი, დაწერილია იტალიუ-
რად და აქვს ვახტანგის ხელისმოწერა ქართულად, ხვეულებად.

² «Da Derbend fino il mare vi è una longa muraglia la qual si chiama Por-
te feree per imperire il passaggio».





გარეყდა ბროშურისა, რომელიც პორტუგალიურ ენაზე გამოვიდა ლისაბონში 1766 წელს:

„ახალი ცნობა სახელოვან ბრძოლასა და ბრწყინვალე გამარჯვებაზე, რომელიც სახელგანთქმულმა ქართველმა მეფემ ერეკლემ მოიპოვა თურქეთის თავიხედი სულთნის საშინელი ჯარის წინააღმდეგ“¹.

NOVA
RELACAO

da

FAMOSA BATALHA,

e

incllyta victoria, que o famigerado

HERACLIO,

Principe dos Georgianos,

alcancou contra hum formidavel Exercito

DE ARROGANTES TURCOS.

Lisboa: MDCCLXVI.

Na Offic. da Viuva de Ignacio Nogueira Xisto

Com todas as licenças necessarias.

№ 4

გარეყდა ბროშურისა, რომელიც პორტუგალიურ ენაზე გამოქვეყნდა ლისაბონში 1766 წელს:

„ახალი ცნობა წარმატებით გამარჯვებაზე, რომელიც მეფე ერეკლეს ჯარებმა 1766 წლის 16 ივლისს ქალაქ ტრაპიზონის აღების დროს მოიპოვეს“².

NOVA
RELACAO

DOS FELICES PROGRESSOS,

que tiverao as Tropas

do Principe

¹ იხ. ლ. ტარდი, ი. ტაბაღუა, ერეკლე II პორტუგალიურ წყაროებში, „განთიადი“, 1978, № 1.

² იხ. ლ. ტარდი, ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ.



HERACLIO,

e conquista

da

CIDADE DE TRAPIZONDA,

Em 16. do mez de Julbo de 1766.

Lisboa: MDCCLXVI.

Na Offic. da Viuva de Ignacio Nogueira Xisto

Com todas as licancas necessarias.

№ 5.

ინსტრუქცია პატრი მაუროსადმი, რომელიც 1776 წელს
რომიდან საქართველოში გაგზავნეს¹

ჩვენ, მორჩილი ძმა იოჰან ანტონიუსი, ფლორენციაში განწესებული, ზედამხედველი და გენერალური კომისარი, წმიდა ფრანჩესკოს მინორიტების წესის კაპუჩინელი, წარმოგიდგენთ ქრისტეს მიერ იმავე წესის პატრ მაუროს, ვერონასა და ვენეციის პროვინციის მოქადაგეს, სალამს მოგახსენებთ უფალს.

წმიდა სარწმუნოების გამაგრებელი კონგრეგაცია, აღრინდელი სიყვარულით, გონიერებით, პატიოსანი და წმიდა მოძღვრებით, გამოცდილებით აზიურ საქართველოსა და მიმდგომ მხარეებში მოციქულებრივ მისიონერად გნიშნავს.

ყველაფერი მორჩილებით უნდა შეასრულო პატივცემული პატრი პრეფექტის ან ვიცე-პრეფექტისა, რომელიც სრულიად სამართლიანი და კანონიერია; შენი უფროსის უნდა გეშინოდეს; რაც ნაბრძანები აქვს დეკრეტში წმიდა კონგრეგაციას, ყოველივე თვალწინ იქონიე, ხსნისათვის მორჩილება ღირსეულად გადაიტანე, მისიაში იხსენიე არსებანი, რომელთაც პატივცემული პატრი პრეფექტი დავალებს.

შენი სამოციქულო თავმდაბლობის ღირსება იქნება ის, რომ გაბედული ღვაწლი გულმოდგინეთ შეასრულო. უფალმან ზეციით მოგანიჭოს სათნობა, რათა მისი უწმიდესი სახელი ადიდო; კათოლიკური სარწმუნოების წინსვლით უფრო უხვად მოიმკო არსებათა ნა-

¹ ამ პატრის გვარი სხვადასხვა წერილებში სხვადასხვანაირად წერია: მაურო, მაურუს, მაურუ, მაუროს. ჩვენ გადავწყვიტეთ დავაწერა „მაურო“, რამდენადაც უფრო მეტად მისი გვარი ასე მოიხსენიება.

ყოფი. უფლის ანგელოზი შენთანაა მოვლინებული. შენს ში და წირვის სამსხვერბლოზე ჩვენც გავიხსენე ხოლმე.

კარგად იყავ.

დაწერილია ჩვენს მონასტერში — რომში 1776 წლის 10 თებერვალს.

მორჩილი ძმა იოჰან ანტონიუსი,
როგორც ზემოთ...

№ 50

Lettera del Principe Eraclio della Giorgia,
accompagnata con Merciale dell'Incaricato
d'affari di S. M. l'Imperatore.

In di ottobre 1783¹.

Traduzione².

Li partecipa con perfettissima Cordialita ai Tribunali dell'i Gradiosi, e Potenti Comandanti del Dominio Veneto che dessiderando da molto tempo scrivergli, e non avendomi permesso di farlo l'angustie nella quali mi attrovavo, ora che l'oggiuto dell'Altissimo mi presente il momento felice gli notifico che il Latore della presente nominato Mauros, il quale è sacerdote Catolico acetà a voce rappresentargli le mia premura, che pregogl ascoltare con tutto l'impegno, che da Dio Signore saranno remunerati, e noi tutti porgaremo preci all'Altissimo acciochè maggi-orienta gli esalti a maggiori gloria.

Il Re de Geotgiani, ed altri
Primati dello Stato

Antonio Medun Pub. raq.³

¹ თარგმანი: „საქართველოს მეფის ერეკლეს წერილი, რომელსაც თან ახლავს მისი უდიდებულესობის (ავსტრიის იმპერატორის. — ი. ტ.) იმპერატორის საქმეებში რწმუნებულის მემორანდუმი. 1783 წლის ოქტომბერი“. ეს სიტყვები წინ ერთვოდა მეფე ერეკლეს წერილს, რომელიც ვენეციის არქივში ინახება.

² ეს არის მეფე ერეკლეს წერილის: „განათლებულთა მავათ დიდსა ვენეციის ქალაქსა შორის შემძლებელთა შეკრებულთა“-ს შემოკლებული თარგმანი იტალიურ ენაზე, რომელიც ერეკლეს ამ წერილს თან ერთვოდა. ვენეციის არქივში ერეკლეს წერილების მონახვაში დაგვეხმარა ახალგაზრდა იტალიელი ქართველოლოგი, ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორი ლუიჯი მავარიოტო, რისთვისაც მადლობას ვუძღვნი.

³ მეფე ერეკლე II-ის ეს წერილები ამოღებულია ვენეციის არქივიდან: Venezia. Archivio di Stato. Lettere Principi. B, 15. Lettere del re di Georgia.

**პატრი პაჩიფიკუსის წერილი (ერეკლეს წერილები
შესახებ) გაგზავნილი ბარლიჩავიდან ვენაში**

წმინდა სამოციქულო სამეუფეო უდიდებულებობას!

თქვენო წმიდა სამეუფეო უდიდებულებობავ, თითოეული ერთ-გული ქრისტიანი მოვალეა აღავლინოს ყოველდღიური ლოცვა ღვთისადმი, უპირველესად კი ჩვენ, რომელნიც შენი სახელით სულიერ ღვთაებას ვუხმობთ, უფლის საკურთხევლის წმიდა ადგილას ვდგევართ და თქვენი წმიდა მეფური უდიდებულებობის სიმართლისა და ხანგრძლივობისათვის ცისკენ ხელებ და გულაპყრობილნი ვლოცულობთ. ყველა მოვალეა; თქვენი სამეუფეო უდიდებულებობის ერთგული იყოს.

დამაჯერებლად გვარწმუნებენ, რომ საქართველოს უბრწყინვალესი მეფე ერეკლეს მიერ ევროპის ქვეყნებში მრავალგზის ექსპედიციაში წამყოფი კაპუჩინელთა მოწაფე, საქართველოში მყოფი მღვდელ-მისიონერი, ვენეციის პროვინციის პატრი მათრო ქალაქ ვერონიდან, აზიის შორი გზიდან მომავალი პოლონეთის ქალაქ ბერლიჩეში მძიმედ ავად გამხდარა და მომკვდარა, ამიტომ თავისი მიზნისათვის ვერ მიუღწევია, რის გამოც ყველა წერილი, რომელიც თქვენი უდიდებულებობისათვის იყო დანიშნული, ჩვენთან დაბრუნდა. ახლა ჩემი უდიდესი საზრუნავი ის არის, რომ თქვენი მეფური უდიდებულებობისათვის ვენაში საიმედოდ გამომეგზავნა. ვინმე ამიტომ ეს საგანგებოდ ძნელი საქმე დავეაღლე პოლონეთის პროვინციის კაპუჩინელთა ორდენის მღვდლებს: პატრებს ვოლფგანგსა და ჰილარიუმს.

ყოველის შემძლე ღვთისადმი თქვენი წმიდა სამოციქულო სამეფო უდიდებულებობისათვის ყოველდღიურ ლოცვას თავმდაბლად აღავლენთ.

თქვენი უდიდებულებობის პატივისმცემელი,

პოლონეთის პროვინციის ერთგული ქვეშევრდომი,
კაპუჩინელი პატრი პ ა ჩ ი ფ ი კ უ ს ი.

დაწერილია 1783 წლის 15 მაისს.
ვლოდიმირი, პოლონეთი.

ერეკლეს წერილებისა და მათ გარშემო არსებული სხვა საბუთების სია

ერეკლე: საქართველოს მეფე. მისმა უდიდებულესობამ გადაუგზავნა წერილები და ეპისტოლენი, რომლებიც ეხებოდნენ ერეკლეს წერილებს მიწერილთ დანარჩენი სამეფო კარებისადმი.

პოლონეთის პროვინციის კაპუჩინისადმი 14 ივნისს.

მითითება 24 დუკატის გადახდაზე, 14 ივნისი.

მოხსენებითი ბარათი: 14 ივნისი, 3 სექტემბერი. მათ თან ერთვის ქართული წერილები.

კ. (ალბათ, კარდინალი. — ი. ტ.) პრზანს; 30 ივნისი, 2 სექტემბერი, 11 სექტემბერი.

კ. პრზანს: 16 ივლისი, 9 აგვისტო.

გრაფ ბრენერს 11 სექტემბერი, გრაფ მერსის... 12 სექტემბერი, მისი მოწყალება და თავად სოლომონის...

რუს მეფეს და სხვა.

გრაფი კობენცლი... 10 მაისი, 12 სექტემბერი, ... 6 სექტემბერი.

რუსეთი... 18 ოქტომბერი.

იგრძნობა მათი მოქმედება პორტას წინააღმდეგ...

ბარონი ჰერბერტი... 25 სექტემბერი... 10 ოქტომბერი!

№ 8.

საქართველოში მყოფი უფროსი პატრის ანდრეასის წერილი დომინიკასა და მასურს შესახებ წმიდა კეისარულ უდიდებულესობას!

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ბრწყინვალე მეფე ერეკლემ ტერჯესტის მისიონის ყოფილი პრეფექტი, პატივცემული პატრი დომინიკე, თქვენი მბრძანებელი (იმპერატორობის) უდიდებულესობის კარზე წერილით მიაღვლინა. იგი კონსტანტინოპოლში, პერაზე მოულოდნელად გარდაიცვალა და ამის გამო თავისი მისია მცირედაც კი ვერ შეასრულა. მეფის საკუთარი სურვილით მე ავარჩიე და დიდის პატივით წარვადგინე პატივცემული პატრი მასურო, ვერონას ღირსეული კაპუჩინი მისიონერი და ვურჩიე მეფეს გაეგზავნა იგი ახალი წერილით. მე მას საბუთზე უდიდესი უტყუა-

¹ ეს საბუთი მეტად ცუდი ხელითაა დაწერილი. სიტყვები და ზოგჯერ წინააღმდეგობა დაუმთავრებელია, ამიტომ ზოგიერთი ადგილი სრულებით ვერ ამოვიკითხეთ. ამასთანავე, ჩვენ ვერ მივაგენით აქ აღნიშნულ ყველა საბუთს.

რობისათვის, ჩემი კარის ბეჭედი დავუსვი, რათა თქვენმა უმაღლესობამ ღირსპყოს და უფრო ღმობიერი გულისხმიერებით შეიწყნაროს.

ასეთი რამ სარწმუნოების გამავრცელებელი წმიდა კონგრეგაციის გზით აშკარად უნდა გავაკეთოთ, რათა თქვენი და ღვთის დიდების წინაშე, აგრეთვე ამ მისიონის სარგებლობისათვის, არასოდეს უბედურთა და დევნილთა შიშით ცახცახი არ გამოიწვიოთ. რადგან წინი ხელისუფლების ძლიერება იმდენად განთქმულია ბარბაროს ხალხში, რომ თქვენი მბრძანებლობის (სახელმწიფოს) ნებასურვილი, ასევე სიფრთხილე ურწმუნოთა და მწვალებელთა წინაშე, პატივისცემას და ასევე მფარველობას იწვევს. ამ მისიონის სიმშვიდეს ღვთის წყალობა და კეთილგანწყობა განაგებს. არავითარი სააქიო ზრუნვა და პატივი მათ არ აინტერესებთ. ხსენებული პატრი მათრო მხოლოდ კავშირს, შუამდგომლობას, ასევე თქვენს კეთილმოქმედებას თხოულობს. იმედი მაქვს, რომ კეთილმოსურნეობით შეასრულებთ.

ჩვენი ეკლესია უკვე დიდხანია მიტაცებულია. თქვენი წმიდა უდიდებულესობის ხელრთვას [ხელისმოწერას] მისართმეველ საჩუქრებამდე მიჰყავს. კათოლიკური რელიგიის აღსრულების თავისუფლება რომ არა, მემკვიდრეებს საზეიმოდ რას დაპირდებოდით? წინასწარ არ ვიციტ სულიერი სარგებლობის რამდენი არა მცირე შემთხვევა ექნება მომავალში ამ მხარეებს. ამის გამო თქვენს უდიდებულესობას მუდარებითა ვთხოვთ, რათა თქვენი ღმობიერი შებრალებით ხსენებულ პატრ მავროს, ნამდვილად ამ უმაღლესი მეფეების კარზე გაგზავნილს, მეორეხარისხოვანმა მეფეებმა აუდიენცია გაუმართონ. იმედი, რომ უთუოდ შეუსრულებენ თხოვნას.

შემდეგ თავმდაბლად ვთხოვთ ყოვლის შემძლე უფალს, რომელიც ჩვენ, ურწმუნოთა, ერეტიკოსთა და სქიზმატიკოსთა შორის მყოფ მისიონერებს, უბრალო გარემოში მცხოვრებთ, გემფარველობს და, ახლაც მისი გამგონი გული ჩვენი მწყალობელი გახდეს.

ჩვენ, წმიდა უმაღლესო მბრძანებელო, გისურვებთ ხანგრძლივ და მშვიდ კეთილმდგომარეობას, თქვენს წმიდა კეისარულ უდიდებულესობას პატივისცემას გიდასტურებთ.

დაიწერა თბილისში 1782 წლის 24/25 ნოემბერს.

ყოვლად თავდადებული არქიმანდრიტი
ან დ რ ე ა ს პ ა ლ ე რ მ ო ე ლ ი,
პრეფექტი და განწმენდილი... კაპუჩინელთა
მოადგილე.

**უფროსი პატრი ანდრეასის წერილი ავსტრიაში მაუროს
გავზავნის შესახებ**

დიდად მორჩილი პატივცემული პატრი მაუროსი,
კაპუჩინელი მისიონერი.

პატივცემულ პატრ მაუროს, ვერონაში მოქადაგესა
და სამოციქულო მისიონერ კაპუჩინს!

მორჩილი ძმა ანდრეასისაგან, იმავე წესის პრეფექტი და მოად-
გილე პალერმოში, სამოციქულო პონტიფიკალური მისიონერი სა-
ქართველოში, განჯაში, გილანში და სხვ.

დი დ ე ბ ა უ ფ ა ლ ს!

საქართველოს მისიონის სიმშვიდის გამო, რადგან აუცილებ-
ლობით ნაკარნახევია სარწმუნოების გამავრცელებელ წმინდა კონ-
გრეგაციას ჯერ ვაცნობებ, რომ ძალიან ეცდილობთ ჩვენი პატივცე-
მული პატრი ავსტრიის სახელმწიფოში — ვენაში გავგზავნოთ. სათ-
ნო, ღირსეული და მორჩილი ადამიანი სასარგებლოა იქ, სადაც თა-
ვის მოაველეობას შეასრულებს, თუ მგზავრობაც კარგად ჩაივლის.
რის შემდეგაც ამ მიზნით ხელმეორედ უკან უნდა დაბრუნდეს. იგი,
მისთვის რაც კი რამ საჭირო იქნება გზაში, თავისი პრივილეგიითა
და საშუალებით მიდის.

ღმერთმა ხელი მოუშართოს, რასაც ესწრაფვის, წარმატებით
მიალწევენოს. მისი დახმარებ მხოლოდ ეს მხარეა, სადაც თავის მი-
სიონში უვნებლად უკან დაბრუნდება.

დაიწერა თბილისში 1782 წლის 24/25 ნოემბერს.

მორჩილი ძმა ანდრეასი,
პრეფექტი და სხვ.

№ 10

**უფროსი პატრი ანდრეასი წარმატებას უსურვებს
მაუროსს მოგზაურობაში**

პატივცემულო პატრ მაუროს, ვერონაში მოქადაგე
და სამოციქულო კაპუჩინო მისიონერო!

მორჩილი ძმა ანდრეასისაგან, იმავე წესის პრეფექტი და მოად-
გილე პალერმოში, სამოციქულო მისიონერი საქართველოში, გან-
ჯაში, გილანსა და სხვ.

დიდებანუფალს!

როცა საქართველოს მეფე ერეკლემ თქვენი მამობრივი პატივცემულება სათხოვრით ელჩად გაგზავნათ ჩვენს იმპერატორ იოსებთან იმ საკითხებზე, რითაც იგივე მეფე თავის ორიენტაციას მის საიმპერიო უდიდებულესობას ატყობინებდა, ამ მეფის სურვილსა და წინადადებას ჩვენ ძალიან ღირსეულად მივიჩნევდით საკმაო თავმდაბლობითა და კმაყოფილებით. ჩვენ ვერ მოვახერხეთ თქვენი პატივცემულობის ვენაში გაგზავნა, მაგრამ პირადად მეფე ერეკლემ თავისივე სურვილით ღირსეულად და დიდი მონდომებით შეასრულა იგი.

ამასობაში ღმერთსა ვთხოვ, რათა მეფის გაგზავნილმა ელჩმა წარმატებით და უვნებლად ვენას მიაღწიოს.

დაწერილია თბილისში 1782 წლის 24/25 ნოემბერს.

მორჩილი ძმა ანდრეასი და სხვ.

№ 11.

უზროსი პატრი ანდრეასის სარეკომენდაციო წერილი პატრი მაუროსადმი

ვინც ამ წერილს მიიღებს, ყველასა და თითოეულს,
სალამი მარადიულ ღმერთში!

ამ წერილის წარმომდგენი პატივცემული პატრი მაურო, რომელიც ვერონაში მოქადაგე, მინორიტების წესის სამოციქულო მისიონერი და წმიდა ფრანცისკანელი კაპუჩინია, ევროპის სამართლიანმა ადამიანებმა (დიპლომატიურ საქმეზე) რუსეთში გაგზავნეს, რათა მათ წინადადების წარმატებისათვის იშუამდგომლოს.

იმის გამო, რომ ზემოხსენებული პატრი მაურო მეტად გულმოდგინე მისიონერია, ღვთის წყალობით ის შორდება საქართველოს ქალაქ თბილისისა და პროვინციების საღ ჰაერს.

ყველას და თითოეულისათვის, ვისაც კი ეს წერილი ხელთ ჩაუვარდება და მათთვის, ვისთანაც ამ სიტყვებმა ვერ მიაღწიეს, რამდენადაც შეეძლებ, ღმერთთან ვიშუამდგომლებ მათთვის.

უფალს შევთხოვ, რათა მათი წინასწარი განზრახვა და კეთილმსურველობა სრულდეს, ყველა მათი პატიოსანი სურვილი წინ წაწიოს და ღირსეულ შეწყვეტისა.

ღვთისმოყვარეობისათვის და უფლის სამადლოდ მაუროსს საქმე გაუკეთეთ, სხვა სახის სამსახურს კი მე გაუშვებოდით.

დაწერილია თბილისში 1782 წლის 24/25 ნოემბერს.

მორჩილი ძმა ანდრეასი

პრეფექტი და მოადგილე პალერმოში,

ვატიკანის მოძღვარი.



ქვეყნის ურთიერთ ურთიერთობის მართლმართლობის
 ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის
 ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის
 ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის
 ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის

და ქვეყნის ასე ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის
 ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის
 ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის
 ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის
 ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის ურთიერთობის

მაუროსისადმი ერაკლეს საინსტრუქციო წერილის
თარგმანი იტალიურიდან



უნდა იცოდეთ თქვენ, მაუროს ვერონელო, რომ ჩვენი თხოვნა მოწყალე კეისრისა და ამასთან უქრისტიანესი ნეთისა და სხვა მეფეებისადმი არის ორი პოლკი. ამით გვეჭნებოდა ბრწყინვალე თავმოყრა და შესაძლებლობა არჩევანისა.

თქვენ კარგად უნდა იცოდეთ და ღმერთიც მოწმეა, რომ თუ თქვენი თხოვნა არ შეუსრულებია ხსენებულ იმპერატორს და არც სხვა მეფეს, ეს საიდუმლოა და არც უნდა გაიგოს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი გამოცხადება დიდად საზიანო იქნება.

№ 14.

თურქულად შედგენილი, ერაკლეს ერთ-ერთი
წერილის თარგმანი¹

...მუდმივი ორი პოლკის ქირა გვიწყალობეთ და გვიბოძეთ. ამ ნაბოძებთ თანხით ჩვენ ხალხსა და ჯარს ვიწოვით, თანხმობის შემთხვევაში ევროპული წესით მოვემზადებით. არარაობანი — მტრები ამ წესისა და ამის შესახებ, რომ გაიგებენ და მისი თვითმხილველნი გახდებიან, ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებას ვერ შესძლებენ და ვერც გაბედავენ.

პატივმოსილ, ძლევამოსილ, დიდებულ ჩენს ბატონს, ჩვენი მეხარის მონამორჩილი მეფე გურჯისტანისა და სხვა სამფლობელოებისა.

ერაკლემ².

№ 15.

ავსტრიის იმპერატორის სახელზე იტალიურ ენაზე
შედგენილი ერაკლეს წერილის თარგმანი

უდიდებულესსა და ყოვლად მოწყალე კეისარს!

თუმცა ამ თხოვნისა ჩვენ ძალიან გვერიდება და გერცხვენია, შეუხედავად ამისა, რადგან ჩვენ ქვეყნებს მძიმე უბედურება ელის

¹ წერილი თურქულიდან თარგმნა ნოდარ შენგელიამ.

² 60. Russland, Berichte, 1783. Karton 138. Verträge, 1783, S. 30 (182).

(როგორც სხვა მოხსენებით ბარათში უკვე აღნიშნული იყო), ეს გვა-
ბედვინებს გთხოვით, ჩვენს განკარგულებაში მოგვეცეთ ორი მოლ-
კი, რათა ჩვენ დავეუფლოთ წერთნის წესებს და ასეთი ცოდნით ევ-
როპული სისტემის წესზე განვაწყობოთ ჯარი. ამის შემდეგ, როცა მო-
წინააღმდეგე შეიტყობს ჯარის დღენიადაგ მზადყოფნას, ვეღარ გა-
ბედავს ჩვენს ტანჯვა-წამებას.

ქართლის, კახეთისა და სხვათა მეფე
ერეკლე.

1782 წლის 18 ოქტომბერი.

უბრალოდ უნდა იყოს შენთვის ყველა



ქ. თუმცა ამ შესწავლის დროს ვინც ვინც და ვინც
 ა. მეტად ბევრი სიტყვა შეგვიჩვენა და მეტი
 ყველა სიტყვა შეგვიჩვენა და მეტი
 სიტყვა მისი იქ არის. რად იქვე ვინც ვინც
 ვინც და ვინც სიტყვა ვინც. რად ვინც ვინც
 ვინც ვინც ვინც. რად ვინც ვინც
 ვინც ვინც ვინც. რად ვინც ვინც
 ვინც ვინც ვინც. რად ვინც ვინც
 ვინც ვინც ვინც. რად ვინც ვინც

მეტი მათთვის ვინც. და სიტყვა

~
 18
 1754

1754

შაი უნათლებლობა ღის ყველას უყურებოდა

ორდეს ამ მხნეობისათვის ღისა ფრუხობდა და ვერაღ
 ღა მდგომარეობა იყოს ყველას მხნეობა და უფრო
 უფრო სიყრის მხნეობა და უფრო უფრო
 უფრო სიყრის მხნეობა და უფრო უფრო
 და უფრო უფრო უფრო უფრო უფრო
 და უფრო უფრო უფრო უფრო უფრო
 და უფრო უფრო უფრო უფრო უფრო
 და უფრო უფრო უფრო უფრო უფრო

Eractio, pr. della Georgia,
 1762 (1800) - 1800

შეგი დათვალის უნებროს და სხვათა

მ. ჯ. მ. მ. მ. მ.
 1784

სიყრის

ვინაჲთ რამ ეს მსგებრებათი თქულის განათლებულად გუბიან არა
უნდა

საქმის
სახელი

განათლებულად თქულის
უერთგულსი შუგა ჩათობს
ყარს და სხვათა

1781

დაწერა ქუთაის ციხის
თავადმთრის 18 დღის
ნოცხა 1781

Թողանալով ինչ որ հրատարակված էր լուրս և քննարկած ինչ որ
 Թ թղթի վրա ընդհանուր տղային դրանից հետո Բրիտանացի հրատարակիչը
 լուրս եւ մասնաւոր զգոյշութեամբ լուրս Բրիտանացի և Եւրոպացի
 հրատարակիչի միջոցով ինչ որ Բրիտանացի հրատարակիչը ընդհանուր
 լուրս և լուրս Բրիտանացի լուրսի դրանից հետո Բրիտանացի հրատարակիչը
 ընդհանուր և Եւրոպացի հրատարակիչը ընդհանուր լուրսից Եւրոպացի
 ընդհանուր և Եւրոպացի հրատարակիչը ընդհանուր լուրսից Եւրոպացի

ընդհանուր լուրսից Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից
 Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից
 Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից
 Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից

Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից Եւրոպացի լուրսից

(1781)

Բրիտանացի 1781
 Եւրոպացի լուրսից 16



Կրթութեան հարցադրումը և Կրթության հարցադրումը
Կրթության հարցադրումը և Կրթության հարցադրումը

Երկրի մասերը և Կրթության հարցադրումը և Կրթության հարցադրումը
Կրթության հարցադրումը և Կրթության հարցադրումը

Կրթության հարցադրումը և Կրթության հարցադրումը և Կրթության հարցադրումը
Կրթության հարցադրումը և Կրթության հարցադրումը

Կրթության հարցադրումը և Կրթության հարցադրումը և Կրթության հարցադրումը
Կրթության հարցադրումը և Կրթության հարցադրումը

Կրթության հարցադրումը և Կրթության հարցադրումը և Կրթության հարցադրումը
Կրթության հարցադրումը և Կրթության հարցադրումը

სა თქვენი მამა ისმინს ჩვენი ესე ყველა და რ-მელიცა მ-ცხსს...
იქს ისმინე ღმრისათჳს. და დრო უღმრესოჲ ყრბათ ღ წყა
ლ-და დაჲ ესე ღ-ღარათა ქრბათა ზღ- ვნათგან უიჭყრთად რწამს
ელ მიწიყრით ესე უგანთლოქმულისა წმინდასა გონიერებასა თქვე
ნსა რ-მ ესე ვითარნი მწყრობანი შეწიქობულისა ქრისტიან
ეთა ზღ- მინ-ღმისა ცხრ-გონიერობის თქვენი სწავსმანთიქმული
არის

რ-მელნიცა მამრნი ღ სიტყუანი წერილითაც ღ მეჭინადაც და
შინიქმული აქვს ამ პატრი მარ-ს ამისგან მ-ცხსს ღმრისათ
ლოად თქვენი ესე ღმრისათობა რწამ-რ-ს რ-მელიცა ამან მ-ს
სერ-ს ღმრისათობასა თქვენი
უწინაღეს ამის სწავსმანთის წილოქმისა წინა მ-ცხსს ვნათგან პატრი
ლომინაჲ ცხლანსა მან მ-ცხ-ს ღ გმ-მ-ცხსს წინა მ-ცხსს ღმრისათ
უღობისა თქვენიცა არნი ერთი რ-მ ამ არ-სა არა ღმრისათ
მინი მ-ცხსს მწინა ღმრისათ სიტყუანი მ-ს სწავსმანთი ღ ამ
მ-ცხსს ღმრისათ მისა ზღ- ვნათგონის ცხრ-გონიერობისა ღმრისათ
უღობი მ-ცხსს

ღ ეს იყ ღმრისათობა მისა რ-მელიცა მ-ცხსს მ-ცხსს ამ მ-ცხსს
აქობი: რ-მელნიცა სწავსმანთის წილოქმისა ამ ჩვენი მხრის მინ
ის ქვენიქმნი ამან მ-ცხსს რ-მ თქვენი უმალთქმობის ღ უღობ
უღობისა თუნიქს სულოთნიცა სთქნი აქობი ამ სსსსსსსს
მ ამმამა ჩვენი გონიერობისა მინ მ-ცხსს ვნათგონობა ვნათგან ღ ს
სსსსსსსს ადმან ღ ის პატრი ამისათჳს გმ-მ-ცხსს რ-მ მ-ცხსს
თქვენი უმალთქმობის სწავსმანთის სსსსსსსსსსსსსსსსსსსს

მინი რაც რ-მ სწავსმანთი მ-ცხსს არის ისინი სწავსმანთი



րի սրբանքն ի նոր շրջանսն զիցից արուսն ում ի յայնորումն խաղաղ ցնորմա
 քնորտան ընդհանրի արուսնքն ի պարտան խաղաղան ծառանսցան թշուղթուղ
 րի արուսն ի նամեւտանն ի տիպիսն ընդմուտիցնսցան տարուցան խա
 լաքանից տար զընդմա յիցնոր՝ ի իցնոր՝ մի զի զարուսն իցնոր
 րուսն ի շրջան զարուսն տարուցան խաղաղան ընդմուտ մասուսն արուսն
 րուսն յիցնոր՝ ի իցնոր ընդմուտ իցնոր՝ ի իցնոր իցնոր մասնուսն
 րուսն իցնոր

պարտան ընդմուտ իցնոր զարուսն իցնոր ի իցնոր ընդմուտ մասնուսն
 իցնոր տիպիսն ընդմուտիցնսն ի իցնոր ընդմուտ մասնուսն
 րուսն տիպիսն տարուսն ընդմուտիցնսն իցնոր իցնոր տիպիսն ընդմ
 րուսնսցան իցնոր իցնոր մասնուսն տիպիսն ընդմ
 րուսնսն արուսնսն

მეფე ერაკლეს ერთ-ერთი წარიღის თარგმანი
იტალიურიდან



მისმა ბრწყინვალე უდიდებულესობამ იცის, რომ ჯერ კიდევ მოსკოვის ადრინდელი დიდებული მეფეები, როგორც ახლანდელი დედოფალი ეკატერინე, ჩვენი და ჩვენი ქვეყნის წყალობელნი იყვნენ და არიან ახლაც იმდენად, რომ, როდესაც საზიზღარი მტრები უსამართლოდ გეტანჯავდნენ, დახმარებას მოსკოვის სახელოვან მეფეებს ვთხოვდით და ვიყავით თავისუფალი. და თუ ჩვენ გაგვაჩნდა რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო გასაქირი ან მტერი მოულოდნელად თავს გვესხმოდა, მაშინ მხოლოდ რუსეთის იმპერატორისა და მოსკოვის მეფისაგან ვღებულობდით ნუგეშს.

როდესაც ქართლიდან მტერს ხალხი გაურბოდა, მათ ნებაყოლობით ღებულობდნენ და საკვებასაც აძლევდნენ. ისინი, რომელნიც ამ მხარეში გატანჯულნი და გალატაკებულნი მიდიოდნენ, მოწყალეობით, საჩუქრებითა და გამოსყიდვით მათ ათავისუფლებდნენ და გულმონწყალედ ეხმარებოდნენ.

როდესაც დედოფლის, დიდი ეკატერინეს არმია ყირიმში დაბანაკდა, მან გამოისყიდა მრავალი ათასი ჩვენი ყმა, რომლებიც დატყვევებულნი იყვნენ მრავალი წლის წინ და იქ ცხოვრობდნენ. საერთოდ ყველაფერში და ყველაფერზე მოსკოვის მეფისა და რუსეთის იმპერატორისაგან განუწყვეტლივ იმდენ ნუგეშს ვღებულობდით, რომ ვერ ვებედავთ მეტად მათს შეწუხებას და ერთი სიტყვით ნოვახსენებთ სათანადო მადლობას. მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ უფრო და უფრო იზრდება მათი წყალობა ჩვენი ქვეყნის მიმართ.

რამდენადაც ვცხოვრობთ ისეთ ადგილას, რომელიც გარემოცულია საფრთხით, თუ ჩვენ არ გავაძლიერებენ, მუდმივი საშიშროება გვემუქრება. ჩვენ არა ვართ აღჭურვილნი ძალით, რომ შევქვნათ ისეთი რიგის ჯარი, როგორიც ევროპისა ჰყავს.

თანაფარდობის მიხედვით ჩვენ ჯერ კიდევ ცოტანი ვართ და მტერი კი გვჭარბობს. ღვთის წყალობით, მოვიკრებთ ძალას მათ დასამარცხებლად. ჩვენი მოწინააღმდეგენი ვერ შესძლებენ წინააღმდეგობის გაწევას.

ვიმყოფებით სპარსეთსა და აზიის სხვა სამეფოებს შორის. ამ სამეფოებს შორის მტრობა ჩამოვარდა, ყველა შფოთვამ მოიცვა და ახლა ისინი დასუსტებულნი არიან. ამჟამად მათ არაფერი შეუძლიათ, განსაკუთრებით, თუ ჩვენ გვეყოლება დისციპლინირებული ევრო-

პული რიგის ჯარი. მაგრამ რაკი არ გვეყავს ასეთი ჯარი, ლეკები და ლესტიანიდან და კავკასიიდან და სხვა მეზობელი მაჰმადიანები ერთიანდებიან და ჩვენ გვაწიოკებენ.

ვინც უნდა დაგვხმარებოდა, ისინიც ნაკლებად გვეშველებიან და ამიტომ ჩვენ დიდ განსაცდელში ვვარდებით უფულობის გამო.

ამრიგად, ვთხოვთ თქვენს დიდებულებას და მოწყალე უდიდებულესობას, ერთი პოლკი ჯარის შესანახი თანხა მოგვცეს ჩვენ გასაძლიერებლად. შესაძლებელია, ერთ დღეს უზენაესის წყალობით, თავისი ძალების შესაბამისად, ეს ქვეყანაც ჩადგეს ევროპის მეფის სადიდებლად მის სანსახურში.

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე-
1782 წლის 18 ოქტომბერი¹.

№ 21

ერმალეს წერილი ავსტრიის იმპერატორს იოსებ II-ს. თარგმანი იტალიურიდან

თქვენს უმაღლესობას, უდიდებულეს, უძლიერეს, უმაღლეს,
უმოწყალეს დიდ კეისარ იოსებს!

არავითარი დამსახურება არ მიგვიძღვის თქვენი დიდებულების წინაშე, რომ უფლება გვქონდეს უფრო გაბედულად მოგმართოთ თქვენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნები ასე დაშორებულია ერთმანეთისაგან, შეგვიძლია სრული ერთგულება დაგიმტკიცოთ. დღემდე შემთხვევა არ გვქონია, რომ ჩვენი ძალების შესაბამისად, სისხლის დაქცევის დაუზოგაეად, რაიმე სამსახური გაგვეწია თქვენთვის.

ამიტომ რანაირად უნდა დავიჭიროთ ჩვენი თავი, რომ ნდობა მოვიხვეჭოთ თქვენი უდიდებულესობის წინაშე? ორი რამ მაამოქმედებს: პირველი ის, რომ ქრისტიანი ვარ და მეორე — დიდ გასაჭირში ვიმყოფებით. თქვენს უდიდებულესობას ნათლად რომ არ წარმოვუდგინოთ ვითარება, უაღრესად დიდ უბედურებაში ჩავეარდებოდით, დიდებულო და მოწყალეო კეისარო, ამიტომ ვსარგებლობთ თქვენი კეთილგანწყობით.

დიდი ხანია, რაც ჩვენი მამა-პაპა დიდ სურვილს გამოთქვამდ-

¹ წერილი შედგება სამი ხელნაწერი გვერდისაგან. წერილს სათაური არა აქვს და ამიტომ ვაუკვებარია, თუ ვისაღმია იგი მიმართული. მისი ქართული ორიგინალი, საიდანაც ის ითარგმნა, ჩვენ ვერ ვიპოვეთ ვერც ავსტრიისა და ვერც იტალიის არქივებში.

ნენ. მიემართათ თავიანთი თხოვნით თქვენი უდიდებულესობის ტახტისათვის. მაგრამ სხვადასხვა სერიოზული მიზეზის გამო, მეზობელი ურწმუნო სახელმწიფოების მტარვალობის შედეგად, ამ დრომდე ვერ შევძელით დაგვებრუნებინა დამოუკიდებლობა. ამის გამო მიემართავთ თქვენი კეისრის უდიდებულესობას. მაგრამ აი ღვთის წყალობა და მადლი კვლავ განახლდა, რამაც უკვე მოგვანიჭა თავისუფლება და აგვისრულდა ჩვენი თანმიმდევრული სწრაფვა და სურვილი.

ასეთი მორიდებული მომართვის შემდეგ ნდობისათვის ხელს გიწვდით დიდის ვედრებით, რომ თქვენი კეისრის ბრწყინვალეების გულმოწყალება და დიდსულოვნება ჩვენს თხოვნას შეიწყნარებს და ყველაფერს იმას, რასაც დიდი ღმერთის სიყვარული გვალაპარაკებს. ო, დიდებულო და მოწყალეო კეისარო, შეიცოდეთ ეს ხალხი! ქრისტიანულად ყოველ რწმენაზე მალა მდგომი თქვენი დიდად განათლებული და ნათელმოსილი გონება, დამწუხრებული ქრისტიანობისადმი გულშემატკივრობა თქვენი ჯანმრთელობის საწინდარი გახდება.

წერილობითი მითითებანი და სიტყვები, ისევე როგორც პატრი მალროსისადმი სიტყვიერად დანაბარები თქვენ ზედმიწევნით დაგარწმუნებთ. თქვენო უმაღლესობავ, რასაც ის მოგახსენებთ, მას ყველაფერში ერწმუნეთ.

ამ წერილზე ბევრად აღრე, გასულ წელს, გამოგვხავე თბილისში მყოფი პატრი დომენიკო. თქვენი უმაღლესობისათვის მას გამოვატანე ჩვენი თხოვნა, რაც წერილში არ იყო ნახსენები. სიტყვიერად დავაბარეთ, თუ რა მნიშვნელობას ვანიჭებდით მას. მაგრამ პატრი დომენიკო გზაში გარდაიცვალა.

ჩვენი მაშინდელი დავალება ახლანდელის შესაბამისია. ასე რომ, გასულ წლებში აზიის ამ მხარეში ცნობა მოვიდა, თქვენს აღმატებულებასა და უდიდებულესობას მოუნდომებია თურქების დიდი სულთანისაგან თავის დაცვა. ამ დამამწვიდებელმა ახალმა ამბავმა ხელახლა გამოაღვიძა ის ერთგულება, რომელიც ჩვენს შეგნებაში ცოცხლობდა, მან სიხარული აღმიძრა, ამისათვის პატრი გაახელით. შესაძლოა, რომ თქვენი აღმატებულება ინებებს ღირსეული სამსახური გავვიწიოს ჩვენ. ამ მხარეებში მყოფი მთავრები ერთმანეთსა მტრობენ, ამიტომ ისინი ომის საწარმოებლად საჭირო შესაძლებლობას მოკლებულნი არიან, განადგურებულა მათი მხნეობაც. თქვენი დიდებულებაც თურქების სულთანს დააშინებს. მე უკვე ვიცოდი ამის შესახებ და ვიცი ახლაც, რომ თურქების სულთან არც მაშინ და არც ახლა ვერ შესძლებდა, რომ აზიას დახმარე-

ბოდა. აი ამიტომ ახლა და მაშინაც (თურქების წინააღმდეგ) გამოვ-
ლიოდი და გამოვდივარ.

დიდად სახელოვანო მოწყალეო ხელმწიფევ, ვბედავ თქვენი
დიდებულების შეწუხებას და გთხოვთ შემწყალებლობას
შეწუხებისათვის. თქვენი უდიდებულესობისაგა ნებითოვ შენდობას,
ოლონდ ამან ზიანი არ უნდა მიაყენოს თქვენი უგანათლებულესო-
ბის ფიქრებს.

№ 22.

**ერეკლეს მიერ ავსტრიის იმპერატორისადმი ქართულად
მიწერილი წერილის იტალიური თარგმანი,
შეასრულებული რომში**

დიდად პატივცემულო და მწყალობელო უდიდებულესობავ,
დიდად მშვენიერო უზენაესო იმპერატორო კეისარო, დიდად
სამართლიანო მეფევ, ჩემო პატრონო და სულთანო!

თქვენი უდიდებულესობის სიძლიერისა და სიდიადის პირველი
შთაბეჭდილება მავალეებს თავმდაბლად პატივი გცეთ და მორჩილე-
ბის გამოცხადებისთანავე გისურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე, სიმ-
დიდრე, კარგად ყოფნა და სიცოცხლის ბედნიერი დასასრული, რათა
თქვენ დიდად კეთილშობილ კარს ბედნიერების მომასწავებელი ნი-
შანი თან სდევდეს.

ჩვენს შორის შეთანხმების საკითხში თქვენი მსახურისათვის
ნიშნადობლივია გულწრფელობის გამოჩენა, რადგან უდიდებულე-
სობის საიმპერიო სამსახურისათვის ვერავითარი მომსახურება,
თქვენი მსახურის მხრიდან, თავის შედეგს ვერ მიაღწევს, ასევე სა-
წინააღმდეგო საბაბით შორეული თავდაცვით ერთგულებასაც ვერ
გამოამჟღავნებს. აქამდეც ვერც შემთხვევა და ვერც ხელსაყრელი
დრო ვერ გამოენახეთ, რადგან მტანჯავ გარემოებაში მოხვედრილი
გოღებასა და ჩივილში დაეუძღურდით. ჩვენ თავი აღარ გვაქვს,
რომ ავკრძალოთ მონობა, რომელიც სისხლის ღვრით შეიქმნა.

კმარა. ჩვენ დიდებულების სახელოვანი ნიშნით უნდა დავებმა-
როთ ყოველ ქვამ უმძღავრეს ხელისუფლებას და ჩვენსავე თავში
ძლიერი მხნეობა დავასადგუროთ.

ამ კარში ორი მოტივი გვაქვს წამოყენებული: პირველი, ქრის-
ტიანობის თხოვნა; მეორე, თუკი შესაფერისად მიიჩნევთ, საქიროა

ფიცის დადება, რათა გამბედაობა გვეყოს თქვენს უმაღლესი ^{კარის} რეზიდენციაში მარად თავაზიანი წარდგომისა. ისე ნურასოდეს იქნება, რომ დროის გასვლასთან ერთად ჩვენი სამეგობრო განწყობა და სწრაფვა მიიმე უსიამოვნებად იქცეს, რაც ხელს შეუშლის ჩვენს წარგზავნილს, რომელიც შიკრიკის მოვალეობას ასრულებს.

ჩემო მოწყალეო და შორსმჭვრეტელო სულთანო, წარსულში ჩვენი მამაპაპანი გულით მოსურნენი და მოწადინებულნი იყვნენ; მათ ყოვლად განათლებული და მოწყალე ჩემი პატრონის ბრწყინვალე კარამდე შეეძლოთ მიეღწიათ სანუკვარი თხოვნით და სურვილიც აღესრულებინათ, მაგრამ ყოვლად ძლიერი მაჰმადიანური სექტის გამო ამ მიზნთან დაკავშირებული ვერც დრო და ვერც შემთხვევა ვერ გამონახეს. ახლა კი დახმარებითა და ხელისშეწყობით ჩვენ შევიგნეთ საკუთარი ძალა და ნება, რათა გამოვხატოთ სურვილი და თხოვნა ჩვენ მამა-პაპათა; უფრო თავდაჯერებულად ებედავთ და მოგმართავთ, რათა თქვენმა მეფურმა უდიდებულესობამ თავაზიანად და სულგრძელად ბოლომდე შეიწყალოს ჩვენი თხოვნა და სურვილი.

ო, ჩემო დიდად მოწყალეო და უმაღლესო მწყალობელო კეისარო, ჩემო პატრონო, ინებეთ და შეისმინეთ ჩვენი თხოვნა და მომართვა. უმაღლესი უფალი თქვენი უდიდებულესობის მეშვეობით ლოცავს და იცოდებს დიდად გატანჯულ და აწიოკებულ ქრისტიანებს.

იმპერატორები და მეფეები, მზებზე უფრო ბრწყინვალენი, სიკეთითა და სამართლიანობით ცნობილნი იყვნენ; ასეთ უბედურებაში ჩავარდნილი ქრისტიანების შემწეობა და დახმარება მათს უდიდეს ღირსებად ითვლებოდა, ერთი სიტყვით, სააქაო და საიქაო ცხოვრებისათვის საჭიროა სამართლიანი ღვთის მადლიერების მოპოვება. ამ მიზნით თქვენმა მსახურებმა მწიგნობარი და გულწრფელი პატრი მალრო გამოგზავნეს. ის თქვენს რეზიდენციაში მიუდგომლად გაცნობებთ და შეგატყობინებთ დანაბარებს, თუ კი უმაღლესი უფალი ინებებს, ის დროც დადგება, როცა თქვენს ბრწყინვალე და უდიდებულესობის სამეფო კარზე სამთხვევად ჩამოვალთ. რაც შეეხება იმ მოტივებს, რაც ჩვენს განძრახვას უღევს საფუძვლად, საიდუმლო მუდარასთან ერთად საკმარისი იქნება ჩვენი ქვეყნის მიმართ დახმარებისათვის, რაც ერთმანეთთან სიშორის მიუხედავად ჩვენ ხელს დიდად შეგვიწყობდა.

თბილისში მცხოვრები პატრი დომინიკო მრავალი მსახურისა და თარჯიმნის თანხლებით გასულ წელს გამოგზავნე თქვენი ბრწყინ-

